# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 24 იანვარი, 2009 წელი.

№ 13 (6114)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ნდობის რეიტინგების მიხედვით ალასანიას სააკაშვილი მეტოქეობს



*ნდობის რეიტინგებს თუ დავეყრდნობით, სამი კანდიდატი შეიძლება ვივარაუდოთ, ესენია: ირაკლი ალასანია, სოზარ სუბარი და მიხეილ სააკაშვილი... ამათგან ალასანია და სააკაშვილი მონაცვლეობით პირველ-მეორე ადგილს იკავებენ*

3

## პრეზიდენტის ტელეინტერვიუ საქართველოსთან



**გუშინ,** 23 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, პირველად თავისი პრეზიდენტობისას ტელევიზიით უპასუხა მოსახლეობის უამრავ შეკითხვას.

ტელეინტერვიუ, რომელშიც მოსახლეობის სხვადასხვა ფენები იყვნენ ჩაბმული, რამდენიმე საათს გაგრძელდა.

2



4

## ხელისუფლების შეთითხნილი საქმე და ქუცნაშვილების საგა

**შვილის გამო სასჯელს მამა იხდის**



3

**მატვეი განაპოლსკი:**

## პუტინს სააკაშვილის მიმართ აბსოლუტურად პირადი ზიზღი აქვს

## ედუარდ შევარდნაძის „ნადავლი“



6

*ედუარდ შევარდნაძე იმ ქუდბედიანთა სათვალავის პოლიტიკოსია, რომელთა საცილობელ-საკამათოდ გამხდარ ისტორიულ კვალსაც დრო კი არ აფერმკრთალებს, არამედ მუდმივად თან იდევნებს და მუდმივად სულ სხვადასხვა წახნაგით წარმოაჩენს. ხვალ, 2009 წლის 25 იანვარს, ედუარდ შევარდნაძე უკვე 81 წლისა მოიყრება. თავისი წუთისოფლის დიდ გზაზე მან ბევრი აღმართ-დაღმართი ნახა. განვლილი წლები უამრავ წოდებად და ჯილდოდ აქცია. ედუარდ შევარდნაძის სწორედ ამ „ნადავლზეა“ მოთხრობილი ჩვენს დღევანდელ პუბლიკაციაში.*

## Human Rigtch Watch ბრალს სდებს!!!

### აგვისტოს ომი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო

**ადამიანის** უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rigtch Watch-ის ანგარიშის მიხედვით, აგვისტოს ომი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო.

როგორც სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, 2008 წლის გაზაფხულიდან მზადდებოდა კონფლიქტი, რომელიც 7 აგვისტოს საქართველოს სამხედრო ძალების სამხრეთ ოსეთში შესვლით დაიწყო; მეორე დღიდან კი, რუსეთმა საპასუხო სამხედრო ოპერაცია განახორციელა. კონფლიქტი 15 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტამდე გაგრძელდა და დამთავრდა ქართული სამხედრო შენაერთების სამხრეთ ოსეთიდან უკან დახევით.

ორგანიზაციის წარმომადგენლებმა კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარე — ქართული, ოსური და რუსული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევაში დაადანაშაულეს და კონკრეტული ფაქტებიც მოიყვანეს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მხრიდან მოხდა „გრადის“ ტიპის იარაღის გამოყენება, რამაც საფრთხე შეუქმნა მშვიდობიან მოქალაქეებს. ძირითადი შემთხვევები გამომდინარეობდა ქართველი ძალების მიერ ამ ტიპის იარაღის გამოყენებით ცხინვალში და სოფლებზე შეტევის დროს. სოფლები და მოსახლეობა სამხედრო სამიზნე გახდა, საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რომ მიზანში მხოლოდ სამხედრო წერტილები იყო ამოღებული. საქართველოს ხელისუფლებას ევალებოდა, მინიმუმამდე დაეყვანა მოსახლეობაში მსხვერპლი და ზიანი. ქართველები ვალდებულები იყვნენ, ერთმანეთისგან გაერჩიათ სამხედრო და სამოქალაქო პირები, სამხედრო ობიექტები. ამის სანაცვლოდ კი, მოხდა ის, რომ „გრადის“ ტიპის იარაღით სამოქალაქო და სამხედრო პირები დაზიანდნენ. ეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევაა, — აღნიშნა ორგანიზაციის წარმომადგენელმა რეიჩარ დემბერმა.

2



## აფხაზეთის კრიმინალები ხრავენ...




12

**ჭეშმარიტების კვალდაკვალ**

## აგვისტოს ომი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო

(პირველი გვერდიდან)

ორგანიზაციამ საქართველოს ხელისუფლება „არაპროპორციულ შეტევაშიც" დაადანაშაულა. როგორც მათ აღნიშნეს, ქართველებმა დააკავეს რამდენიმე ოსი, ეროვნების ადამიანი, საიდანაც 5 იყო ნაცემი, როდესაც დაკავების ადგილზე გადაჰყავდათ.



ქართველების ცემასა და არაადამიანურ მოპყრობაში დადანაშაულებულია ოსური მხარეც. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მას შემდეგ, რაც ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა სოფლები დატოვეს, ოსურმა მხარემ ეთნოწმენდა დაიწყო. ისინი მაროდიორობდნენ, ხდებოდა მკვლელობები, გაუპატიურებისა და სხვადასხვა კრიმინალური ფაქტები.

საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია ყველა კონკრეტული საქმის გამოძიება და საქმეების აღძვრა იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც მსგავს დანაშაულებს ჩადიოდა.

გარდა ამისა, Human Riaghts Watch -ს რეკომენდაციაა, საქართველო და რუსეთი შეუერთდეს კასეტური იარაღის გამოყენების აკრძალვის ხელშეკრულებას, რომელზეც 95 ქვეყანაა შეერთებული.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშის პრეზენტაცია ზუსტად იმავე დროს მოსკოვშიც გაიმართა.

## რუსეთს ომის კანონების დარღვევაში ადანაშაულებენ

**ორგანიზაციის წევრთა განმარტებით, რუსეთის სამხედრო ძალებმა საქართველოს არასადაო ტერიტორიებსა და სამხრეთ ოსეთს საჰაერო დარტყმებით, საარტილერიო ცეცხლითა და ტანკებით შეუტიეს.**

რუსულმა ძალებმა არ შეასრულეს ვალდებულება დაეზუსტებინათ, ობიექტი რომელზეც ახორციელებდნენ შეტევას, იყო თუ არა სამხედრო.

რუსულმა ძალებმა არ მიიღეს ზომები ზიანის მინიმუმამდე შესამცირებლად.

Human Riaghts Watch -ის მოხსენებაში ასევე საუბარია, რომ რუსული სამხედრო ძალების მიერ შეტევის განხორციელების დროს დარღვეული იყო პროპორციულობის პრინციპი.

რუსმა სამხედროებმა მიზანმიმართულად მიიტანეს იერიში სამოქალაქო მანქანებზე, რაც სამხედრო დანაშაულია, — ნათქვამია მოხსენებაში.

ორგანიზაციის წარმომადგენლები ქართველი მოსახლეობის მასობრივ ძარცვაში რუსი სამხედროების განსაკუთრებულ როლსაც აღნიშნავენ და განმარტავენ, რომ რუსი სამხედროები ხელს უწყობდნენ და მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო დანაშაულში, ოს სამხედროებს მარადიორობის საშუალებას აძლევდნენ.

რუსეთის საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის ფაქტს კი ორგანიზაცია ოკუპანტი სახელმწიფოს ქმედებად აფასებს და მას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების შესრულებას ავალდებულებს.

## ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალებს მიზნად ქართული სოფლების ეთნიკური წმენდა ქონდათ დასახული

**Human Riaghts Watch -ის მიერ მომზადებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ოსური ძალების მხრიდან ადგილი ქონდა მასობრივ და სისტემატურ ძარცვას, მშვიდობიანი მოსახლეობის ცემასა და დაშინებას.**

ოსები შედიოდნენ სახლებში, იტაცებდნენ ქონებას, წვავდნენ სახლებს და აპატიმრებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ოსურმა სამხედრო ძალებმა 159 ეთნიკური ქართველი აიყვანეს. დანარჩენებს კი სასტიკად ეპყრობოდნენ და ღირსების შემლახველ პირობებში ამყოფებდნენ. მათ 4 სამხედრო ტყვე აწამეს და 3 დახვრიტეს, — ნათქვამია დოკუმენტში.

ორგანიზაციის განცხადებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალებს მიზნად ქართული სოფლების ეთნიკური წმენდა ჰქონდათ დასახული.

**ინტერპრესნიუსი**

**დამოკიდებულება**

## საქართველოს საპატრიარქოს სპეციალური განცხადება „დიდი ათეულის" გარშემო შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით



**გადაცემა „დიდი ათეულის" ირგვლივ შექმნილი სიტუაცია საპატრიარქოსთვის ორი მიზეზის გამოა გაუგებარი: 16 იანვრის დებატების შემდეგ I არხის ღამის ეთერის მთავარ თემად უკვე თითქმის ერთი კვირის განმავლობაში საკითხი ეკლესიის წარმომადგენელთა გარეშე განიხილება, რაც საპატრიარქოს განმარტებით, არასწორია.**

**„უზნეობისა და ძალადობის შემცველ ფილმებთან და სერიალებთან დაკავშირებით, ე.წ. „რეალითი შოუების", ასევე ქართულ ფულზე წმიდანების გამოსახვის გამო, ეკლესიას არაერთხელ დაუფიქსირებია საკუთარი აზრი, თუმცა ამ განცხადებებს საჯარო განხილვა საერთოდ არ მოჰყოლია და, რა თქმა უნდა, არც შედეგი.**

**ბუნებრივია, იბადება კითხვა: საპატრიარქოს მიერ ბოლო დროს გამოთქმული პოზიციის გამო რატომ შეიქმნა ასეთი ხელოვნური ვნებათაღელვა და რატომ უნდათ ზოგიერთებს, ეკლესია წარმოაჩინონ ცენზორად, რომელიც თითქოს ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას და თავის თავს კანონზე მაღლა აყენებს?" — ნათქვამია განცხადებაში.**

**საპატრიარქოში განმარტავენ, რომ „ეკლესია არასოდეს მიმართავდა იძულებას ვინმეს მიმართ, არამედ ყოველთვის იყო და არის რჩევის მიმცემი. მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება იმისა, რომ ზემოაღნიშნული პოლიტიკის გამტარებელთ სურთ, ეკლესიამ და თვით კათოლიკოს-პატრიარქმაც თავი შეიკავონ ამა თუ იმ საკითხზე აზრის გამოთქმისაგან"**

**საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ქართული ეკლესია მიესალმება შემეცნებითი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას, თუმცა, ეკლესიისთვის მიუღებელია „დიდი ათეულის" მიერ შემოთავაზებული რიგითობა და ერთგვარი შეჯიბრი წმიდანთა და საერო პირთა შორის.**

**საქართველოს ეკლესია, მართლმადიდებლურ სწავლებაზე დაყრდნობით, ახლაც და მომავალშიც საზოგადოებას ყოველთვის მიაწვდის ინფორმაციას აუცილებელ და მნიშვნელოვან თემებსა და მოვლენებზე. ეს არის მისი ვალი და ამისი აკრძალვის უფლება არავის აქვს. ამით საქართველოს საპატრიარქო ამ თემაზე საუბარს ამთავრებს — ნათქვამია განცხადებაში.**

**ენერგეტიკა**

## ლადო პაპავა: „ენგურჰესის" საქმეში ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომა სწორედ ის არის, რომ მემორანდუმი უშუალოდ რუსულ მხარესთან გაფორმდა და არა აფხაზურთან



**„ენგურჰესთან" დაკავშირებით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და რუსულ კომპანია „ინტერ რაო-ეესს" შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ავკარგიანობასა და იმავე მემორანდუმზე „ინტერ რაო-ეესის" მიერ უარის თქმის შემდეგ, ამ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტზე შექმნილი ვითარების თაობაზე „ინტერპრესნიუსი" ეკონომიკის ექსპერტს ლადო პაპავას ესაუბრა.**

**— ბატონო ლადო, მას შემდეგ რაც „ინტერ რაოს" თავმჯდომარემ ევგენი დოდმა „ინტერ რაოსა" და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალადაკარგულად გამოაცხადა, რა ვითარება მივიღეთ „ენგურჰესთან" დაკავშირებით?**

— მემორანდუმი არ არის ხელშეკრულება. „ენგურჰესთან" დაკავშირებით მთავარი და აუცილებელი, რაც საქართველოს მთავრობამ უნდა გააკეთოს, მემორანდუმის ტექსტის გამოქვეყნებაა. ვინაიდან ამ მემორანდუმმა საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, ის ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2004 წლის შემოდგომაზე საქართველოს მთავრობას სურდა „ენგურჰესის" პრივატიზაციის განხორციელება. „რაო ეესმა, სანამ ის დაიშლებოდა, გამოთქვა სურვილი ყოფილიყო „ენგურჰესის" პოტენციური მყიდველი. მაშინ საქართველოს მთავრობას ამის გაკეთება არ დასცალდა და პრაქტიკულად, ამ ობიექტის პრივატიზაცია არ მომხდარა.

რუსეთსა და საქართველოს შორის, გასული წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რომ „ენგურჰესის" თემამ კვლავ წამოიწია, თავიდანვე გასაკვირი იყო. თუ ეს მხოლოდ მემორანდუმია, არ არის ხელშეკრულება და მას სამართლებრივი ძალა არა აქვს, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოაქვეყნოს დოკუმენტი. ახლა, როცა ამ საკითხზე ბევრი მოარული ჭორია, მემორანდუმის გაუქმების შემდეგ ხელისუფლების სიმართლეს ყველა დაიჯერებდა. ჭორები სასიკეთო არავისთვისაა, მათ შორის არც ჩვენი მთავრობისთვის ამიტომ საჭიროა, პირველ რიგში ხელისუფლებამ ამ დოკუმენტის გამოქვეყნებაზე იზრუნოს.

**— ოკუპანტ ქვეყანასთან, მნიშვნელოვან ობიექტთან დაკავშირებით, ქართული მხარის მიერ მოლაპარაკებების დაწყებისა და შემდეგ მემორანდუმის გაფორმების თავად ფაქტს როგორ შეაფასებდით?**

— პოლიტიკური თვალსაზრისით ეს, რა თქმა უნდა, მცდარი ნაბიჯია. თუ ამდენი ხანი ჩვენ მილიონებს ვკარგავდით იმის გამო, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხმარებულ ელექტროენერგიის საფასურს არავინ იხდიდა, რაღა ახლა გახდა ეს მილიონები ასეთი მნიშვნელოვანი, მაშინ, როდესაც რუსეთმა აფხაზეთის ანექსია განახორციელა და, საერთოდ, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ცნო? ამ საკითხზე ფინანსური დასაბუთების დოკუმენტი რეალურად ხომ არ არსებობს!



მეტნაკლებად კიდევ მისაღები იქნებოდა, ქართულ მხარეს დაედო შეთანხმება აფხაზეთის ენერგოკომპანიასთან აფხაზეთში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით, მაგრამ ამაში რუსული კომპანიის მონაწილეობა აბსოლუტურად გაუგებარი და პოლიტიკურად გაუმართლებელი იყო. მე მაინც ვფიქრობ, რომ მთავრობამ მემორანდუმის ტექსტი გამოაქვეყნოს, რომ „ენგურჰესთან" დაკავშირებით მის მიმართ არსებული კითხვები მინიმუმამდე დაიყვანოს.

**— „ენგურჰესის" შემდგომ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, თბილისს სოხუმთან კონტაქტი მოსკოვის გვერდის ავლით, ანუ პირდაპირ რომ დაემყარებინა ეს ქვეყნისთვის უფრო ნაკლებად საზიანო იქნებოდა?**

— ყოველ შემთხვევაში ქართულ მხარეს ურთიერთობა უნდა დაემყარებინა არა სამინისტროების, არამედ ენერგეტიკული კომპანიების დონეზე. ამ შემთხვევაში ეს იქნებოდა წმინდა ეკონომიკური შეთანხმება. „ინტერ რაოსთან" მემორანდუმი ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშავა, სამინისტრო კი, მოგეხსენებათ, პოლიტიკური ორგანოა. „ენგურჰესის" საქმეში ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომა სწორედ ისაა, რომ მემორანდუმი უშუალოდ რუსულ მხარესთან გაფორმდა და არა აფხაზურთან. თუ ეს მილიონები ამდენ ხანს იკარგებოდა, ჯანდაბა, ახლაც დაკარგულიყო.

**— ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამის შემდეგ „ენგურჰესის" როგორც ენერგოკომპანიის რეგისტრაცია სოხუმში მოხდება და შემდეგ „ინტერ რაო" შეთანხმებას აფხაზურ მხარესთან გააფორმებს.**

— ამის შესახებ ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერ უნდა ვიცოდეთ რა წერია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და „ინტერ რაოს" შორის გაფორმებულ მემორანდუმში და მერე შეიძლება ვიფიქროთ იმაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლია „ენგურჰესთან" დაკავშირებით თბილისის გარეშე მოსკოვსა და სოხუმს.

**კობა ბენდელიანი**

თვალსაზრისი



*ბოლო დროს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა იმედიანი განცხადებები, რომ ხელისუფლება 2009 წლის ბოლომდე ან, უკეთეს შემთხვევაში, სამ-ოთხ თვეში შეიცვლება, საზოგადოებაში კარგა ხანია, კითხვებს აჩენს. უწინარესად, ხალხს აინტერესებს, რის საფუძველზე კეთდება ასეთი განცხადებები და, საერთოდ, თავად ოპოზიციონერებს როგორ წარმოუდგენიათ ეს „სანუკვარი“ პროცესი. ან რატომ ჰგონიათ, რომ ხელისუფლება, რომელსაც ჯერჯერობით წამსვლელის არაფერი ეტყობა, მალე ქუდს დაიხურავს და წინამორბედის მსგავსად. შინისკენ უხმაუროდ მიაშურებს; თვითონ კი, ხალხის არაერთი იმედგაცრუების მიუხედავად, კვლავ მხარდაჭერასა და საზოგადოების კეთილგანწყობას ელირსებიან.*

*ამ და სხვა საკითხებზე ჟურნალისტი ია ანთაძე გვესაუბრა.*

# ნდობის რეიტინგების მიხედვით ალასანიას სააკაშვილი მეტოქეობს

**— დღესდღეობით, არასაპარლამენტო ოპოზიციაში და საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში მთავარი „სასაუბრო“ თუ სადისკუსიო თემა ხელისუფლების შეცვლის საკითხია და ბევრი ფიქრობს, რომ ამის მისაღწევად ერთ-ერთი ყველაზე ოპტიმალური გზა ქუჩის აქციებია. როგორ ფიქრობთ, რამდენად საჭირო და აუცილებელია მთავრობის შესაცვლელად ქუჩაში გამოსვლა და საერთოდ, რამდენად გაყვება ხალხი ოპოზიციას, რომელმაც არაერთი ხალხმრავალი აქცია გამართა უშედეგოდ?**

— ჩვენ, როგორც საზოგადოება, ახლა ვდგავართ ურთულესი არჩევანის წინაშე: ან უნდა დავიცვათ კონსტიტუციური ვადა, რომელიც პარლამენტს 2012, ხოლო პრეზიდენტს 2013 წლამდე ანიჭებს ლეგიტიმაციას და უნდა ვემზადოთ იმისთვის, რომ ამ ვადების ამოწურვის შემდეგ ავირჩიოთ უფრო უკეთესი ხელისუფლება ან უნდა ვცადოთ სხვა მეთოდების გამოყენება, უფრო კონსტიტუციურის, რათა ხელისუფლებამ გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომ ხალხს ვადაზე ადრე მიეცეს ნორმალური არჩევანის გაკეთების საშუალება. თუ ჩვენი ქვეყანა მზად არის, რომ 2012-13 წლამდე იცხოვროს ამ ხელისუფლების პირობებში, რა თქმა უნდა, არავითარი ქუჩის აქციები არ იქნება, თუმცა დღევანდელი პოლიტიკური პროცესები ცხადყოფს, რომ საზოგადოება არ აპირებს, კიდევ სამი და ოთხი წელი იცადოს...

...ხელისუფლების შეცვლის რამდენიმე გზა არსებობს, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ვერ წარმომიდგენია, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ სააკაშვილმა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნოს. მით უმეტეს, მას უფლება არა აქვს, მის მიერვე დანიშნულ არჩევნებში კენჭი იყაროს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ქუჩის აქციები მაინც გარდაუვალია...

**— აქციები აქამდეც იყო, მაგრამ უშედეგოდ. იმ შემთხვევაში, თუ ქუჩაში გამოსული ხალხი ხელისუფლებას გადადგომის ზღვრამდე მიიყვანს, რამდენად მოსალოდნელია, მთავრობამ ძალა გამოიყენოს?**

— ამის თქმა წინასწარ ძნელია, თუმცა ფაქტია, ეს ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, რომ დარჩეს.

პრეზიდენტი და მისი გარემოცვა არჩევანის წინაშე დგას; ან ძირფესვიანად უნდა შეცვალონ ის პოლიტიკა, რომელსაც აქამდე ატარებდნენ, რასაც არ გამოვრიცხავ, ან უნდა იფიქრონ იმაზე, თუ რითი შეიძლება გადაიფაროს საზოგადოების მხრიდან მოსალოდნელი აღშფოთება. არსებობს მესამე გზაც — საზოგადოებაში ნიჰილიზმისა და უიმედობის დანერგვით დროის გაწელვა, რომლის საბოლოო შედეგი ის იქნება, რომ ხელისუფლება ბოლომდე ამოწურავს თავის კონსტიტუციურ ვადას...

**— რომც დაინიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, რა გარანტიები არსებობს, რომ ხელისუფლება ისევ გაყალბების ნაცად ხერხს არ მიმართავს?**

— ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, გარკვეულწილად, ობიექტურობასაც გულისხმობს, ვინაიდან, როგორც გითხარით, ამ შემთხვევაში სააკაშვილს არ ექნება კენჭისყრის უფლება და, შესაბამისად, გაყალბების ალბათობაც მინიმუმამდე დავა.

**— ამ რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა განაცხადა: სამ თვეში სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ იქნებაო... როგორ ფიქრობთ, რამდენად მზადაა თვითონ საზოგადოება იმისთვის, რომ ახალი არჩევნების ობიექტურობა უზრუნველყოს და, რაც მთავარია, გააკეთოს მართებული არჩევანი?**



— ის პოლიტიკოსები, რომლებიც მთავრობის შეცვლის კონკრეტულ ვადებს ასახელებენ, თუ რამე უფრო მნიშვნელოვან და სანდო ინფორმაციას არ ფლობენ, ვიდრე ჩვენ, ჟურნალისტები და საზოგადოება, არ მესმის რის საფუძველზე ლაპარაკობენ, რომ ხელისუფლებას სულ ცოტა დარჩა. მსგავსი განცხადებები 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგაც ისმოდა, მაგრამ კარგად გვახსოვს ხუთი იანვრის არჩევნებში ხმების რამდენი პროცენტი მიიღო მარტო ნაცმოძრაობამ და რამდენი მთლიანად გაერთიანებულმა ოპოზიციამ...

...მთავარი ის კი არ არის, ვინ წავა და ვინ მოვა, მთავარია, შეიქმნას ისეთი საარჩევნო გარემო, რომ ხალხს რეალური არჩევანის გაკეთება შეეძლოს. ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების დროს ოპოზიციამ არა თუ საზოგადოების იმ ნაწილის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, რომელიც ხელისუფლების მიმართაც კრიტიკული იყო, არამედ ის ხმებიც დაკარგა, რაც მართლა ეკუთვნოდა, ანუ ოპოზიციამ ვერ ივარგა და ვერ მოუარა თავის ხმებს...

**— და მაინც, რის საფუძველზე აცხადებენ, რომ ხელისუფლება ოთხ ან ხუთ თვეში შეიცვალოს, თუ პოლიტიკური პროცესები ამაზე არ მიანიშნებს?**

— მიმაჩნია, რომ ამის სამი მიზეზი არსებობს. პირველი — ეს არის აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ფაქტორი, ვინაიდან ოპოზიციაში ფიქრობენ, რომ ობამას გუნდი სააკაშვილის მიმართ, ბუშის ადმინისტრაციასავით არ იქნება თავგადაკლული. მეორეა ევროკავშირის კომისიის დასკვნა აგვისტოს მოვლენების თაობაზე, სადაც თუ ჩაიწერება, რომ ომი ქართულმა მხარემ დაიწყო, ხელისუფლების პოზიციები კიდევ უფრო შეირყევა და მესამე, რისი იმედიც ოპოზიციას აქვს, საზოგადოების მხარდაჭერაა, რაც, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია ზემოთ ჩამოთვლილებთან შედარებით.

**— თქვენ აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, ობამას პოლიტიკური კურსი როგორ შეიძლება აისახოს ამერიკა-საქართველოს ურთიერთობაზე?**

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით, თუმცა თუ გადავხედავთ ამერიკულ და ევროპულ პრესას, დავრწმუნდებით, რომ ნდობა სააკაშვილის მიმართ დასავლეთში ძალიან დაბალია...

**— ამ დღეებში აშშ-სთან გაფორმებულ ქარტიაზე რას იტყვით? ექსპერტთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს სრული ფორმალობაა.**

— გააჩნია, რა იდეაა ჩადებული დოკუმენტში, ანუ რა მიზნით შეიქმნა. ზოგადად, რა თქმა უნდა, ქარტია პრინციპების უბრალო ჩამონათვალია, რომელსაც არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნია, მაგრამ თუ ეს ხელშეკრულება იმისთვის დაიდო, რომ ამერიკის ბაზები განლაგდეს საქართველოში (როგორც რუსული საagენტო „რეგნუმი“ იტყობინება), მაშინ მისი ფორმალურ და უმნიშვნელო ხელშეკრულებად განხილვა არაადეკვატურია...

**— დაბოლოს, ისევ არჩევნების თემას დავუბრუნდეთ, როგორ ფიქრობთ, ვინ შეიძლება პრეზიდენტობის ყველაზე რეალურ კანდიდატებად მოვიაზროთ?**

— ნდობის რეიტინგებს თუ დავეყრდნობით, სამი კანდიდატი შეიძლება ვივარაუდოთ, ესენია: ირაკლი ალასანია, სოზარ სუბარი და მიხეილ სააკაშვილი... ამათგან ალასანია და სააკაშვილი მონაცვლეობით პირველ-მეორე ადგილს იკავებენ. ხოლო სუბარი მყარად არის მესამე ადგილზე.

**— რატომღაც მეგონა, რომ მესამე ბურჯანაძე იქნებოდა...**

— ნდობის რეიტინგების ჩვენთვის ცნობილი მონაცემებით, ბურჯანაძე სამეულში არ არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოება მის მიმართ უნდობლობას გამოხატავს, შეიძლება სხვა გამოკითხვებში პირველ ადგილზეც არის, თუმცა ფაქტია, რომ მას ხშირად აკრიტიკებენ, რაც დიდწილად განსაზღვრავს მის რეიტინგს და გარკვეულწილად იმის მაჩვენებელიცაა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისი როლი და ფუნქცია დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში.

**ჯაბა ჟვანია**

თვალსაზრისი

# მატვეი განაპოლსკი:
# პუტინს სააკაშვილის მიმართ აბსოლუტურად პირადი ზიზღი აქვს



*თეთრ სახლში აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ აშშ-სა და რუსეთის სავარაუდო ურთიერთობებზე და საქართველოსთან დამოკიდებულებაში ვაშინგტონისა და მოსკოვის გეგმებზე, იმაზე თუ რა როლს შეასრულებს აშშ-საქართველოს შორის ხელმოწერილი ქარტია ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაში, იმოქმედებს თუ არა ეკონომიკური კრიზისი რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე და ვითარებაში, როცა კრემლი ქართული საზოგადოებისა და ხელისუფლების დაპირისპირებას ცდილობს, როგორ განვითარდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, „ინტერპრესნიუსი“ ჟურნალისტ მატვეი განაპოლსკის ესაუბრა.*

**— ბატონო მატვეი თქვენი აზრით, თეთრ სახლში აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის შეცვლის შემდეგ როგორი ურთიერთობები ჩამოყალიბდება ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის და როგორი დამოკიდებულება ექნებათ მათ საქართველოს მიმართ?**

— ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთში აშშ-ს ახალ პრეზიდენტთან დაკავშირებით პოზიცია ძალიან მოზომილია, არ გამოითქმება იმედი. ყველა ქვეყანა აშშ-ს ახალ ადმინისტრაციაზე გარკვეულ იმედს ამყარებს. რუსეთი ამგვარ რამეს არ აკეთებს და გასაგებია რატომაც. საქმე ის არის, რომ ბარაკ ობამას მოსვლა რუსეთისთვის ერთის მხრივ, კარგია და მეორე მხრივ, ცუდი. კარგია იმიტომ, რომ რუსეთს „დემოკრატებთან“ ტრადიციულად კარგი ურთიერთობები ჰქონდა. „დემოკრატები“ ნაკლებად აგრესიულები არიან და მოსკოვი, ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას იმედოვნებს.

პირველი პრობლემაა, ევროპაში ამერიკის მიერ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის განუთავსებლობა. რუსეთში მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ობამა უარს იტყვის ამ სისტემის ევროპაში განლაგებაზე და ეს საკითხი, შესაძლოა, შემდეგ დავიწყებას მიეცეს. მეორე საკითხი, რომლის გადაჭრა მოსკოვს აუცილებლად სურს, და ამას მისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ვაშინგტონმა არ იჩქაროს საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღების საკითხში. რუსეთი თვლის, რომ ნატოს გაფართოება და მის საზღვრებთან მიახლოება რუსეთის თავდაცვისუნარიანობას საფრთხეს უქმნის. რუსეთში პოზიტიურად აფასებენ ობამას განცხადებებს, რომელშიც ობამა არ აცხადებს, რომ აშშ ხვალვე დაუჭერს მხარს საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრებას. ობამას ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია. უცნობია, აშშ-ის ახალი პრეზიდენტი მიიჩნევს თუ არა „ჰამასს“ ტერორისტულ ორგანიზაციად. ეს ის საკითხებია, რომელიც რუსეთისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ამასთანავე, რუსეთში ობამას მიმართ დიდი შიში გამოითქმის. შესაძლოა, ეს შიში სასაცილოც იყოს. ობამა, შესაძლოა, თავისი პოზიტიურობით რუსეთისთვის სიურპრიზიც იყოს. რუსეთის პოლიტიკა საგარეო მტერზეა აგებული. კრემლის დოქტრინის თანახმად, რუსეთს სამი მტერი ჰყავს — აშშ, უკრაინა და საქართველო. რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო მოსახლეობის კონსოლიდაცია ანტიამერიკულ ტალღაზე, იმის მტკიცებაზე, რომ ამერიკა ანტირუსულ პოლიტიკას ატარებს. ობამა რუსეთისკენ რომ შემოტრიალდეს და განაცხადოს, აშშ რუსეთის მტერი კი არა, მეგობარიაო, ეს რუსეთის ხელისუფლებისთვის კატასტროფა იქნება. ობამამ რომ ამგვარი განცხადებები აკეთოს, მოსკოვში ხშირად ჩამოვიდეს და კრემლის ინიციატივებს მხარი დაუჭიროს, მაშინ კრემლი იძულებული იქნება აღიაროს, რომ აშშ რუსეთის მეგობარია. ასეთ ვითარებაში ხალხი იკითხავს — თუ აშშ რუსეთის მეგობარია, რატომ არის რუსეთში ასე ცუდად საქმე. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებისთვის წამიერად ყველაფერი დაიმსხვრევა. ეს რუსეთის ხელისუფლებისთვის იმაზე საშიშია, ვიდრე საქართველოსა და უკრაინის ნატოში შესვლა.

იხ. 5 გვ.

**სამართალი**

# ხელისუფლების შეთითხნილი საქმე და ქუცნაშვილების საგა

## შვილის გამო სასჯელს მამა იხდის

***დვაწლმოსილი პიროვნება, პროფესორი ომარ ქუცნაშვილი თავის 67-ე დაბადების დღეს განსასჯელის სკამზე შეხვდება. სასამართლო 28 იანვარს 16 გამომძიებლის მიერ შესწავლილ დეტალებს გაეცნობა. განსასჯელის ბრალეულობას გამოკვეთენ ან ვერ გამოკვეთენ(!). ომარ ქუცნაშვილს, შპს „ჯეო ინჯინერინგის“ დირექტორს ბრალს დებენ სახელმწიფო თანხების მითვისებაში, საანგარიშო დოკუმენტების გაყალბებაში. საქმის ამ დეტალებზე ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ წინა ნომრებში.***

პროფესორი 7 თვეა პატიმრობაში იმყოფება, თუმცა საზოგადოებაში იმთავითვე გაჩნდა ეჭვი მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო დაკავებისა.

საქართველოში არსებულმა ხუთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დამოუკიდებლად შეისწავლა ეს სისხლის სამართლის საქმე, გასული წლის 23 დეკემბერს ერთობლივად ჩაატარეს საზოგადოებრივი მოსმენა, თუმცა ქუცნაშვილის ქმედებაში დანაშაული ვერ გამოკვეთეს და მისი განთავისუფლება მოითხოვეს...

მაშ, რაში მდგომარეობს 67 წლის პროფესორის დაპატიმრების ნამდვილი მიზეზი და რატომ არ ათავისუფლებენ მას? – ამის შესახებ ვრცლად ისაუბრა „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ომარ ქუცნაშვილის შვილმა, ყოფილმა პარლამენტის წევრმა, იურისტმა **ზაქარია ქუცნაშვილმა**.

მან ჟურნალისტებს ის პირველი კრიტიკული განცხადება გაგვაცნო, რომელსაც 2004 წლის 5 თებერვალს 16 პარლამენტის წევრმა მოაწერა ხელი: „ჩვენ, საქართველოს პარლამენტის წევრები პროტესტს გამოვთქვამთ საყოველთაო, სახალხო განხილვის გარეშე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის“ განხილვის დაწყებასთან დაკავშირებით.

საქართველოს საზოგადოების მოსაზრებების გარეშე პროექტის განხილვა და მიღება ანტიკონსტიტუციურია და ლახავს ჩვენ მოქალაქეთა ძირითად უფლებებს.

წარმოდგენილი ცვლილებები გამოიწვევს ძალაუფლების კონცენტრაციას საქართველოს პრეზიდენტის ხელში, დააკნინებს პარლამენტის როლსა და ფუნქციას, რაც დემოკრატიის არათუ განვითარებას, არამედ არსებობასაც შეუქმნის საფრთხეს და შესაბამისად დიქტატურის დამყარებას გამოიწვევს“.

ამ ტექსტს მოჰყვა ზაქარია ქუცნაშვილის პოლიტიკური გააქტიურება, ბრძოლა სამართლიანობისთვის, საპროტესტო აქციებში მონაწილეობა, არა მარტო მისი, არამედ მისი ოჯახისა.

ზაქარია ქუცნაშვილმა გაახმაურა ის დეტალები, რომელიც წინ უძღოდა მამამისის დაკავებას. ის რამდენჯერმე დაიბარეს ნაციონალური პარტიის ოფისში, თუმცა შეგნებულად არ მივიდა. ამის შემდეგ პარლამენტარი **ხათუნა გოგორიშვილი** დაინტერესდა მიიღებდა თუ არა არჩევნებში მონაწილეობას ზაქარია ქუცნაშვილი, მარტში საქმე აღძრეს „ჯეოინჯინერინგის“ წინააღმდეგ, თუმცა ერთი დღით ადრე გააფრთხილეს, რომ შეეწყვიტა ხელისუფლების კრიტიკა, საპარლამენტო არჩევნებში არ მიეღო მონაწილეობა, თორემ მამას დაუპატიმრებდნენ.



21 მაისის არჩევნების ჩავლის შემდეგ ომარ ქუცნაშვილის დევნა კვლავ განახლდა. ზაქარია ქუცნაშვილმა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის დაფინანსებით საზოგადოებას გააცნო საქართველოს ისტორიის მანძილზე არჩევნების გასაყალბებლად გამოყენებული ყველა მეთოდი. ამის შესახებ ორენოვანი ბუკლეტი დაბეჭდა და გაავრცელა.

10 ივლისს ომარ ქუცნაშვილი დააპატიმრეს. ქუცნაშვილის ოჯახის წევრებს მრწამსი არ შეუცვლიათ, მთელი შვიდი თვე ზაქარია ქუცნაშვილიც ამაოდ ეძებდა სამსახურს.

ყველაფრის მიუხედავად, **ომარ ქუცნაშვილს არაერთხელ უთქვამს შვილისთვის: ჩემი თავისუფლება შენს თავისუფლებაში რომ გაცვალო, ჩემი შვილი არ იქნებიო.**

* * *

***გთავაზობთ ინტერვიუს ზაქარია ქუცნაშვილთან, რომელსაც სხვა დეტალებზეც ვესაუბრეთ.***

**– ამჟამად რა ფაზაშია ძიების პროცესი და ხომ არ აპირებთ ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებას?**

– მიმდინარეობს სასამართლო გამოძიება, 28 იანვარს არის საქმის განხილვა. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ყველა ლეგიტიმურ საშუალებას გამოვიყენებ მამაჩემის უფლებების დასაცავად.

**– შვიდი თვე დუმდით, სხდომის წინ ალაპარაკდით, რამე ისეთი ინფორმაცია ხომ არ გაქვთ, რაც შესაძლოა სხდომაზე მოხდეს?**

– არა, ეს არ ეძღვნება სხდომას. პრესკონფერენცია ზოგადად პროცესს მივუძღვენი. შვიდი თვეა მამა დაპატიმრებულია, თუმცა ნამდვილ მიზეზებზე ჯერ არ მისაუბრია. ჩვენი ტაქტიკა ასეთი იყო: საზოგადოება მამას უდანაშაულობაში რომ დარწმუნებულიყო, პოლიტიკურ მიზეზებზე არაფერი გვითქვამს, საშუალება მივეცით პროფესიულ ორგანიზაციებს გამოეძიებინათ და საქმის არსში გარკვეულიყვნენ. არ გვინდოდა ვინმეს ეთქვა – ეს ქუცნაშვილები ხმაურობენ იმიტომ, რომ ფორმალურ მიზეზში „ჩაჭრილები“ არიან. 7 თვის შემდეგ „შეთითხნილი საქმის“ ნამდვილი მიზეზები დავასახელეთ. ბევრმა იკითხა: თუ ეს კაცი უდანაშაულოა, რატომ ჰყავთ დაჭერილი, თუ საქმე პოლიტიკას ეხება, მაშინ რატომ არ ლაპარაკობენო? აი, დადგა დრო და მე ავლაპარაკდი.

**– ბატონი ომარი მართლა მონაწილეობდა საპროტესტო აქციებში?**

– მონაწილეობდა, როგორც რიგითი მოქალაქე, თუმცა ეუბნებიან, ამ აქციებს აფინანსებდიო.

**– საქმის ძიების პროცესში, საინტერესო იყო სამუშაოების შემკვეთის ამერიკული კომპანიის პოზიცია, რომელმაც ქუცნაშვილი შესრულებული სამუშაოების გამო სერტიფიკატით დააჯილდოვა.**

– დიახ, თუმცა წინასწარი გამოძიება ცდილობდა ეს მთავარი მტკიცებულება საქმეში არ ჩაერთო. ჩვენ სასამართლო ძიების პროცესში მოვითხოვეთ ამ დოკუმენტის ჩართვა.

**– დამკვეთი ხომ არ ჩამოსულა საქართველოში და სხდომას თუ დაესწრება?**

– დიახ, დამკვეთი – კოლინ ჰიუფაკრი თბილისშია. 28 იანვარს ჩვენ მის დაკითხვას მოვითხოვთ. ისიც თანახმაა, უბრალოდ, ჯერ გარკვეული ბიუროკრატიული პროცედურებია გასავლელი.

**– ჯეოინჯინერინგი“ კერძო კომპანიაა, რატომ ჩაერია ფინანსური პოლიცია ამ საქმეში და ჰქონდა თუ არა უფლება?**

– იმიტომ, რომ ეს ხელისუფლების დავალება იყო. ფინანსური პოლიცია ჩაერეოდა მაშინ, თუ დამკვეთი უკმაყოფილო იქნებოდა, ან კომპანია არ გადაიხდიდა გადასახადებს. დამკვეთი კმაყოფილია, ხოლო საგადასახადო ინსპექცია გადასახადებს არ ედავება.

**– რა თანხას ითხოვენ განთავისუფლების სანაცვლოდ?**

– ერთ ქაღალდზე წერია – 200 ათასი დოლარი, მეორეზე – 300 ათასი დოლარი, უფრო ნაკლებ თანხაზეც დაგვთანხმდებოდნენ, მე და მამას უკან რომ დაგვეხია.

**– პატიმარი როგორ პირობებში იმყოფება?**

– სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, კანონის თანახმად, ვალდებულია 65 წლის ასაკის ზემოთ განსაკუთრებული პირობები შეუქმნას პატიმარს. ის სასჯელს მე-8 საპყრობილეში იხდის და მას მართლაც კარგად ექცევიან. ადმინისტრაციის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

**– ბრალის „დამტკიცების“ შემთხვევაში, რამდენწლიანი პატიმრობა ემუქრება?**

– მინიმუმის შემთხვევაში – 11, მაქსიმუმის – 18 წელი.

**– ულირს კი სახელმწიფოს ამდენ ხმაურად და კრიტიკად ქუცნაშვილის დაპატიმრება?**

– მათ პრინციპების გადახედვის ეშინიათ. ლოზუნგი „მიშა მაგარიას“ ქვეშ კომპრომისებს არ დაუშვებენ. მათ ვერ გატეხეს ბიზნესმენი და ნებაყოფლობით ფული ვერ გადაახდევინეს. ვერც მე გამაჩუმეს. **„ადამიანი თავისუფალი იბადება და თავისუფალი უნდა მოკვდეს!“.**

ესაუბრა

**თეა მოსია**

**ინფორმაცია**

### სალომე ზურაბიშვილი: რა გარემოს დაცვაზეა ლაპარაკი, როდესაც ქვეყანა იღუპება

**ჩვენ ამ ხელისუფლებასთან არანაირ მოლაპარაკებაზე აღარ მივდივართ და მათ თამაშებში არ ვიღებთ მონაწილეობას – ასე პასუხობს პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მინისტრის გოგა ხაჩიძის ინიციატივას, რომელიც ბუნებრივი რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავებაში სამინისტროსა და პოლიტიკურ პარტიების თანამშრომლობას და ამ საკითხზე მრგვალი მაგიდის გამართვას ითვალისწინებს.**

**– რა გარემოს დაცვაზეა ლაპარაკი, როდესაც ქვეყანა იღუპება, მთავრობამ ყველა რესურსები ამოწურა და სანამ გარემოს დაცვაზე დავიწყებდეთ ლაპარაკს, სასწრაფოდ საჭიროა გადადგეს მიხეილ სააკაშვილი და მისი მთავრობა, – ნათქვამია განცხადებაში, რომელიც „საქართველოს გზის“ ლიდერმა გოგა ხაჩიძის შეთავაზების პასუხად გაავრცელა.**

ჯი-ეიჩ-ენი

**რეზონანსი**

# ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის პრეზიდენტისეული გეგმები

***რამდენიმე თვის წინათ პარლამენტში გია თორთლაძის თავმჯდომარეობით ანტიკრიზისულმა კომისიამ აქტიურად დაიწყო მუშაობა. კომისიის მიზანია შეიმუშაოს სამოქმედო პროგრამები ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის დასაძლევად. ამ მიზნით ანტიკრიზისული კომისია შეხვედრებს აწყობს პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ინსტიტუტებთან, სამინისტროებთან და ცდილობს მოახდინოს აზრთა შეჯერება, მივიდეს სწორ გადაწყვეტილებამდე. კომისიის წევრთა ბოლო შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან გაიმართა. რა საკითხებზე ისაუბრეს მიხეილ სააკაშვილთან და რა დაპირებები მიიღეს მისგან შეხვედრის მონაწილეებმა, ამაზე პოლიტოლოგი იგორ კვესელავა გვესაუბრება.***

**– ბატონო იგორ, ვისი ინიციატივით მოხდა პრეზიდენტთან შეხვედრა, რა საკითხებთან დაკავშირებით ესაუბრეთ მას?**

– ეს შეხვედრა პრეზიდენტის ინიციატივით შედგა, მაგრამ მთავარ როლს პარლამენტის ანტიკრიზისული კომისია ასრულებდა. ხანგრძლივი საუბრის დროს თითქმის ყველა ის საკითხი განვიხილეთ, რომლებიც დღეს აწუხებს საზოგადოებას, საგარეო პოლიტიკით დაწყებული, საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებით დამთავრებული. ეს კომისია სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ მოაგვაროს აგვისტოს ომის მძიმე შედეგებისა და მოსახლეობის ეკონომიკური კრიზისის სავარაუდო მძიმე ვითარება, რაც ერთნაირად მნიშვნელოვანი იქნება ყველასთვის – ოპოზიციონერი იქნება ის თუ ხელისუფლების წარმომადგენელი, ჩვეულებრივი მოქალაქე.

**– პრეზიდენტს თუ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სამოქმედო გეგმა?**

– გეგმები აქვს, მაგრამ ამ შეკითხვაზე, ჩემი სატკივარიდან გამომდინარე, გიპასუხებთ. თქვენ იცით, რომ პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებით, 65 წელს გადაცილებულ პროფესორებს აღარ ექნებათ კონკურსში მონაწილეობის უფლება უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ ათობით პროფესორი, მეცნიერი დარჩება უფუნქციოდ, რაც ძალიან ცუდ შედეგს მოიტანს. მსგავსი რამ მსოფლიოს არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ ხდება. პრეზიდენტი დაგვპირდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტს რეკომენდაციას შესთავაზებს და ჩვენთვის სასურველ და მისაღებ გადაწყვეტილებას მიიღებს.

**– თქვენ ისაუბრეთ რუსეთთან, ევროპასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაზე...**

– პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ პერიოდისთვის რუსეთთან გვაქვს სტრატეგიული და დიპლომატიური ურთიერთობების პაუზა. თუ ჩვენ ღიად წავალთ რუსეთთან დათმობაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ვაღიარებთ მის გადაწყვეტილებას აფხაზეთთან და ე. წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ამერიკასთან და ევროპასთან მიმართებაში კი არაფერი შეიცვლება და ახალ ადმინისტრაციასთან ისევე გაგრძელდება ურთიერთობა, როგორც ადრე იყო. ამაში პრეზიდენტი დარწმუნებულია.

**– არანაკლები პრობლემებია საშინაო პოლიტიკაშიც. ოპოზიცია გაერთიანებას აპირებს და რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით რა თქვა პრეზიდენტმა?**

– ყველა ქვეყანას უნდა ჰყავდეს ძლიერი, ეროვნული ღირებულებების მქონე ოპოზიცია. პრეზიდენტი ამას მიესალმება, მაგრამ მე ჩემდათავად გეტყვით, ოპოზიციას რომ ჰგონია, საქმე ეგრე მარტივად არ არის, თუნდაც არჩევნებთან დაკავშირებით. არჩევნები რომც ჩატარდეს, ოპოზიცია გამარჯვებას ვერ შეძლებს. იმიტომ, რომ ერთიანი არ არის და არც საერთო ხედვა აქვს.

**– კი, მაგრამ ოპოზიცია ერთიანდება და როგორც აცხადებენ, მათი საერთო მიზანი სააკაშვილის მმართველობის დასრულება იქნება.**

⦿ თვალსაზრისი

# მატვეი განაპოლსკი:
# პუტინს სააკაშვილის მიმართ აბსოლუტურად პირადი ზიზღი აქვს

(მესამე გვერდიდან)

ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რადიომსმენელმა სტუდიაში დარეკოს და თქვას, რომ ამერიკა რუს ჟურნალისტებს ფულს უხდის, რომ ცრუ რუსეთს ებრძვის, რომ მალე აშშ და საქართველო რუსეთს თავს დაესხმებიან და რომ საჭიროა რუსეთმა ახალი ტერიტორიები ისევე დაიპყროს, როგორც საქართველოში 2008 წლის აგვისტოში გააკეთა. ეს იმისთვის კეთდება, რომ რუსეთის მოსახლეობამ საგარეო მტერი აღიქვას. მაგრამ თუ მტერმა თქვა, თქვენი მტერი არა ვარო, ამ შემთხვევაში ხელისუფლებას გაუჭირდება მოსახლეობისათვის განმარტებების მიცემა და ყველაფერ იმის უარყოფა, რასაც ის აშშ-ს მისამართით ამბობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა დასრულდეს ესკალაცია. ეს კი გამოიწვევს მოსახლეობის გამოფხიზლებას და ხალხი იკითხავს, ვინ არის დამნაშავე იმაში, რა მდგომარეობაშიც რუსეთია და რატომ ატყუებდნენ მათ. ამიტომაა, რომ რუსეთის ხელისუფლებას, მართალია იგი ამას არ აღიარებს, მაგრამ ფაქტია, რომ ობამას მიმართ რთული და გაორებული დამოკიდებულება აქვს.

**— აშშ-საქართველოს ქარტიაზე ვაშინგტონის როგორც წარმავალმა, ისე ახალმა ადმინისტრაციამ იმუშავა. უკრაინასთან ხელმოწერილი ქარტიისაგან განსხვავებით მასში ნათქვამია, რომ აშშ მხარს დაუჭერს საქართველოს ნატოში გაწევრებას და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თქვენი აზრით, რა უთხრა ამ ქარტიით თეთრმა სახლმა კრემლს?**

— ქარტია მოსკოვისთვის კარგს არაფერს ნიშნავს. ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ მას რუსეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს. მოსკოვში კარგად ესმით, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ვაშინგტონისაგან პერიოდულად მხარდაჭერას იღებს. ეს სააკაშვილს საშინაო მოხმარებისთვის ისევე სჭირდება, როგორც მოსკოვს იმის მტკიცება, რომ აშშ რუსეთის მტერია. გარდა ამისა, სააკაშვილს ქარტია იმისთვისაც დასჭირდა, რომ მოსკოვს აგრძნობინოს, რომ საჭიროების შემთხვევაში საქართველო მარტო არ იქნება.

სააკაშვილისთვის მნიშვნელოვანი იყო ქარტიის ხელმოწერა ძველი ადმინისტრაციის დროს. მისი ვარაუდი ალბათ ასეთი იყო — ღმერთმა უწყის მომავალში როგორ მოიქცევა ობამა. აშშ-ში არსებობს ტრადიცია — ახალი ადმინისტრაცია არასოდეს ამბობს უარს წინა ადმინისტრაციის მნიშვნელოვან სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე. სააკაშვილმა ბუშის ადმინისტრაციასთან კარგი ურთიერთობები ქარტიით ფორმალურად გაამყარა. მას შემდეგ, რაც საქართველოს ნატოში გაწევრება შეუძლებელი გახდა, ჩემთვის გასაგებია, რატომ ითხოვდა დაჟინებით პრეზიდენტი სააკაშვილი ქარტიის ბუშის ადმინისტრაციის მიერ გაფორმებას.

მე წარმოუდგენლად მიმაჩნია და გამოვრიცხავ, რომ ობამას ადმინისტრაციამ უარი თქვას ქარტიაზე, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, სააკაშვილი აშშ-ს აღებულ ვალდებულებებს წინ დაუდებს. აშშ ქარტიაზე უარს არ იტყვის, ვინაიდან იგი თავის სტრატეგიულ გეგმებზე უარს არასდროს ამბობს. აშშ-ს კავკასიაში სტრატეგიული პარტნიორი სჭირდება და ამ როლისთვის ყველაზე საუკეთესო ქვეყანა საქართველოა.

**— რამდენად სავარაუდოა, რომ ეკონომიკური კრიზისის გამო და იმის გამო, რაზეც თქვენ უკვე ისაუბრეთ, რუსეთმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანოს თავის საგარეო პოლიტიკაში და შესაბამისად, საქართველოს მიმართ წარმოებულ პოლიტიკაში?**

— მე არ ვფიქრობ, რომ ეკონომიკური კრიზისის გამო რუსეთი თავის საგარეო პოლიტიკას შეცვლის. ახლა ის ვითარება არაა, როცა ბრეჟნევის დროს აშშ ოპეკს მოელაპარაკა ნავთობზე ფასის დაცემაზე და საბჭოთა კავშირი დაღუპა. მაშინ მიღწეულ იქნა მიზანი, რომელმაც საბჭოთა მეურნეობის სრული უუნარობა დაამტკიცა. ეს იყო სსრკ-ის დაშლის ერთ-ერთი ფაქტორი. მე ამისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ასე რომ არ მომხდარიყო, საქართველო ახლაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იქნებოდა.

ყოველთვის სასურველია, არარაობას, რომელიც ბირთვული იარაღით იმუქრება, მიუთითო, რომ ის არარაობაა. ასე იქცეოდა სსრკ. საქმე ისაა, რომ ახლა რუსეთი პრაქტიკულად არანაირად არ არის ჩართული საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში. რუსეთი იმის გამო კი არ იშლება, რომ მას საგარეო მტერი ჰყავს, არამედ იმის გამო, რომ მას არანაირი ეკონომიკური სისტემა არა აქვს. რატომ არის ეკონომიკური კრიზისი ჩინეთსა და იაპონიაში? იმიტომ, რომ აშშ-ში ეკონომიკური კრიზისის გამო იაპონურ მანქანებსა და ელექტროტექნიკას არ იძენენ. იაპონური კომპანიები იძულებული არიან დაითხოვონ თანამშრომლები. ჩინეთში კრიზისი და უმუშევრობა იმიტომაა, რომ ჩინური ნაწარმის გიგანტურმა მომხმარებელმა აშშ-მ ჩინური პროდუქციის შეძენა შეამცირა.



რუსეთში ეკონომიკური კრიზისი იმის გამო არ არის, რომ აშშ-მა და ევროპამ რუსული ნაწარმის შეძენა შეწყვიტეს. გაზისა და ნავთობის გარდა ბუნებაში სხვა, კონკურენტუნარიანი რუსული ნაწარმი არ არსებობს. იმის გამო, რომ გაზზე და ნავთობზე ფასი დავარდა, რუსეთი მუხლებზე დაეცა. ამიტომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გაზსა და ნავთობზე ფასი გაიზარდოს. პუტინისა და შემდეგ მედვედევის 9-წლიანმა მმართველობამ რუსეთის მეურნეობის უუნარობა დაამტკიცა. ამიტომაა, რომ ეკონომიკურ კრიზისთან წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისით რუსეთს არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ენერგომატარებლებზე ფასის ზრდისათვის კი მას მხოლოდ ინტრიგების ხლართვა შეუძლია.

დღეს რუსეთი მსოფლიო ეკონომიკიდან გვერდზე მდგომი ქვეყანაა, რომელშიც უმძიმესი ეკონომიკური კრიზისია და რომელიც წინა წლებში დაგროვილ მარაგს ხარჯავს და ბრიყვულად ელოდება კვლავ გაზზე და ნავთობზე ფასის ზრდას. ეს მას იმისათვის სჭირდება, რომ ქვეყანა უფსკრულში არ აღმოჩნდეს და ხალხი ქუჩაში არ გამოვიდეს. როგორც კი კრიზისი კონკრეტული ადამიანების ჯიბეს შეეხება, ხალხი ქუჩაში აუცილებლად გამოვა.

**— იმის ფონზე, რომ კრემლი ქართველი ხალხისა და ხელისუფლების დაპირისპირებას ცდილობს და კრემლთან დაახლოებული „რუსეთში ქართველთა კავშირის“ პრეზიდენტი მიხეილ ხუბუტია მოსკოვში ქართველთა ყრილობის ჩატარებას გეგმავს, თქვენი აზრით, როგორ განვითარდება რუსულ-ქართული ურთიერთობები და რამდენად სავარაუდოა, მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება?**

— მე დიდ პატივს ვცემ მოსკოვში ქართულ დიასპორას. მასში ძალიან ღირსეული ადამიანები არიან. ეჭვს არ იწვევს, რომ კრემლი შეეცდება თავის თამაშში მათ გამოყენებას და ისინი ყოველთვის ვერ შეძლებენ წინააღმდეგობის გაწევას. არ გამოვრიცხავ, მოსკოვში ყრილობების ჩატარებას. არ გამოვრიცხავ, დევნილობაში პრეზიდენტების დანიშვნასა და ჩრდილოვანი მთავრობის შექმნას. მოსკოვში, ისევე როგორც თბილისში, ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არანაირ გავლენას არ მოახდენს საქართველოში არსებულ ვითარებაზე.

მოსკოვმა საქართველოსთან მიმართებაში რამდენიმე სტრატეგიული შეცდომა დაუშვა და დაამტკიცა მისი კავკასიური პოლიტიკის სრული უუნარობა. დღეს საქართველოს რუსეთთან პრაქტიკულად არანაირი, მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობა არა აქვს. რუსეთმა ნეგატიური რაც შეეძლო გააკეთა — აკრძალა საქართველოსთან საჰაერო მიმოსვლა და წაიღო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ამიტომ, როგორ შეიძლება ქართველი ხალხი აიძულო ჩამოაგდოს სააკაშვილი? ჩემი აზრით, არანაირად. ადამიანები, რომლებიც კრემლში საქართველოს მიმართ წარმოებულ პოლიტიკაზე აგებენ პასუხს და ანტიქართული ისტერიის პოლიტიკას ახორციელებენ, დღეს კრიზისში არიან. როგორ შეიძლება გავლენა მოიპოვო იმ ქვეყანაზე, რომელთანაც არანაირი ურთიერთობა არა გაქვს. შეიძლება გამოჩნდნენ ეკრანზე პოლიტიკოსები და საქართველოს მიმართ ლამაზი სიტყვები წარმოთქვან, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამას საქართველოსთან მიმართებაში არანაირი მნიშვნელობა არ ექნება.

დღეს მე დავინტერესდი, როდის შეიძლება აღმდგარიყო თბილისთან საჰაერო მიმოსვლა. მითხრეს, რომ ჯერ არ იციან. ეს კრემლის პოზიციას უკავშირდება, რომლის არსი ასეთია — სანამ ხელისუფლებაში სააკაშვილია, ჩვენ მის რეჟიმთან არ ვისაუბრებთ. ასე უნდა რუსეთს საქართველოზე გავლენის დაბრუნება? გავლენის მოპოვება მაშინ შეიძლება, როცა მეორე მხარესთან დიალოგში ხარ. თუ ქვეყნის ხელისუფლებას არ ცნობ, ამ ქვეყანას ვერაფერს მოუხერხებ. რუსეთის ხელისუფლებას რომ კუბის მაგალითი გაეხსენებინა, სადაც 50 წელი ფიდელ კასტროს დამხობა სურდათ, მაგრამ ვერ შეძლეს, მიხვდებოდა, რომ ასე მოქმედება არ შეიძლება.

მაშინ, როცა რუსეთი „ჰამასთან“ გარკვეულ დიალოგშია და ხაზს უსვამს მის ლეგიტიმურობას და საქართველოსთან კონტაქტებზე უარს ამბობს, ეს პუტინის საყვარელ ორმაგ სტანდარტებზე მიუთითებს. გასაგებია, რომ „ჰამასი“ კაციჭამიობის თვალსაზრისით უფრო კარგად გამოიყურება, ვიდრე სააკაშვილი, მაგრამ თუ რუსეთი „ჰამასთან“ ურთიერთობს, მაშინ სააკაშვილთან ურთიერთობაზეც არ უნდა თქვას უარი.

პუტინს სააკაშვილის მიმართ აბსოლუტურად პირადი ზიზღი აქვს და ვიდრე ერთ-ერთი ამ ლიდერთაგანი პოლიტიკიდან არ წავა, რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არაფერი შეიცვლება.

**კობა ბენდელიანი**

---

— ოპოზიციამ ისე არ უნდა გაიხადოს საქმე, რომ სააკაშვილისთვის ნასროლი ქვა საქართველოს მოხვდეს და დააზიანოს. პრეზიდენტი მზად არის დიალოგისთვის თითოეულ ოპოზიციურ პარტიასთან. მისი ინიციატივები ოპტიმალურ განწყობას გვიქმნის. ოპოზიციამ უნდა შეიგნოს, რომ მთავარი ქვეყნისთვის სასარგებლო შედეგებია. მათ უნდა დადონ ძლიერი სამოქმედო პროგრამა და ხალხი მხარს დაუჭერს.

**— ენგურჰესის გასხვისებასთან დაკავშირებული საკითხები თუ წამოიჭრა შეხვედრაზე?**

— პრეზიდენტმა გარკვევით აგვიხსნა საქმის ვითარება. ეს ხელშეკრულება არ გაფორმებულა საქართველოსა და რუსეთს შორის, როგორც ამას ამბობენ, არამედ — კერძო ორგანიზაციებს შორის. აქედან საქართველო შემოსავალს მიიღებს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი მალე გახდება ღია საზოგადოებისთვის და მითქმა-მოთქმაც ამ საკითხთან დაკავშირებით შეწყდება.

**— მედიასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რა ითქვა?**

— დღეს ქართული პრესა არანაირ შეზღუდვას არ განიცდის, ისინი ცენზურის გარეშე მუშაობენ. რაც შეეხება „იმედის“ დარბევას, ეს იყო უზარმაზარი შეცდომა, გაუმართლებელი ქმედება და მე ვფიქრობ, რომ პრეზიდენტს შესაბამისი დასკვნა გამოაქვს. მას აქვს გეგმა, რომელიც ეხება მასმედიის ლიბერალიზაციასა და დემოკრატიზაციას. შეზღუდვები, რაც ჯერ კიდევ არსებობს, მთლიანად მოიხსნება.

**— მთლიანობაში როგორ შეაფასებდით ამ შეხვედრას?**

— პრეზიდენტი იყო აბსოლუტურად გულახდილი. ჩვენ თვითონაც ბევრი რამ გავიგეთ ახალი, აქამდე უცნობი. პრეზიდენტს ესმის, რომ ვითარება ქვეყანაში არ არის მარტივი. სახელმწიფო იბრძვის, რათა მსოფლიოში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან რაც შეიძლება ადვილად გამოვიდეს. ამისთვის კი ერთიანობა და დიალოგი აუცილებელია. ამიტომ მსგავსი ტიპის შეხვედრები მომავალშიც გაიმართება.

**ანა წიწილაშვილი.**

---

⦿ ოჰ, ეს გაზაფხული!

# ბრძოლა იმიჯისთვის?

**2009 წლის დადგომასთან ერთად საქართველოში პოლიტიკური ცხოვრება გააქტიურდა, გაზაფხული კი ამ მხრივ ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი იქნება ოპოზიციური პარტიებისთვის. ისინი მოქმედებების გააქტიურებას სწორედ გაზაფხულიდან გეგმავენ და ხელისუფლების წინააღმდეგ პერმანენტული და მრავალრიცხოვანი აქციების ჩატარების ინიციატივით გამოდიან.**

ოპოზიციური პარტიები უწინარესად ცდილობენ ერთი იდეის ირგვლივ მოახერხონ გაერთიანება. ყველას კარგად ახსოვს, განსაკუთრებით მათ მხარდამჭერ და შემდეგ შეურაცხყოფილ ადამიანებს, როგორ დაიშალა მარტივ მამრავლებად და მოგვიანებით შვებულებაში წავიდა გაერთიანებული ოპოზიცია.

აღმოჩნდა, რომ გაერთიანებაში შემავალი პარტიების მიზნები და ამოცანები ჰორიზონტის სხვადასხვა მხარეს გასცქეროდნენ. ერთნი პარლამენტში მოხვედრაზე ფიქრობდნენ, მეორენი პირიქით — მანდატებს ხალხის თვალწინ ჭრიდნენ, მესამენი...

ასეა თუ ისე, მაშინ ოპოზიციამ ერთიანი სახე ვერ შეინარჩუნა და ახლა იმიჯის დაბრუნებას აპირებს, კვლავ ერთიანდება და ამჯერად საბოლოო მიზანიც მკაფიოდ განუსაზღვრავს — სააკაშვილისა და მისი სახელისუფლებო თუ საპარლამენტო მმართველობის „ამ ქვეყნიდან“ მოცილება.

ალბათ, ყველა თავისი გზით წავა. უფრო სწორად, ყველა თავის გზას აირჩევს ხელისუფლებაში მოსასვლელად. მაინც რა არის პოლიტიკა? გუშინ დაუძინებელ მტრებსაც კი „აძმაკაცებს“ (სიყვარულს უშენებია და იმიტომძ. სხვა თუ არაფერი, ჩვენი ქვეყნის დევიზია — „ძალა ერთობაშია“. ძალა კი აღმართს ხნავს, მაგრამ...

ყოფილი „გაერთიანებული ოპოზიციის“ მთავარი ბირთვი კახა შარტავასა და გუბაზ სანიკიძის მეთაურობით, ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას აარსებს სახელწოდებით — „ეროვნული ფორუმი“, რომლის წარდგინება უახლოეს მომავალში მოხდება. ასევე ცნობილი გახდება მისი სამოქმედო პროგრამაც. როგორც ჩანს, პარტიები ისევ ძველი გზით აპირებენ სვლას — დანარჩენ ოპოზიციასთან გაერთიანებას არ აპირებენ და მარტო იმოქმედებენ დასახული ამოცანების გადასაჭრელად.

**ანა ქვარიანი**

ედუარდ შევარდნაძის „ნადავლი“

# დიდი აღმართიანი გზა...

## წოდებებად და ჯილდოებად ქცეული წლები

***ედუარდ შევარდნაძე იმ ქუდბედიანთა სათვალავის პოლიტიკოსია, რომელთა საცილობელ-საკამათოდ გამხდარ ისტორიულ კვალსაც დრო კი არ აფერმკრთალებს, არამედ მუდმივად თან იდევნებს და მუდმივად სულ სხვადასხვა წახნაგით წარმოაჩენს. ხვალ, 2009 წლის 25 იანვარს, ედუარდ შევარდნაძე უკვე 81 წლისა მოიყრება. თავისი წუთისოფლის დიდ გზაზე მან ბევრი აღმართ-დაღმართი ნახა. განვლილი წლები უამრავ წოდებად და ჯილდოდ აქცია. ედუარდ შევარდნაძის სწორედ ამ „ნადავლზეა“ მოთხრობილი ქვემორე პუბლიკაციაში.***

I

ედუარდ შევარდნაძე არის საზღვარგარეთის არაერთი უნივერსიტეტის (ბოსტონის, ჰარვარდის, ატლანტის, ემორის, პროვიდენსის (აშშ), ლოს-ანჯელესის, 1991 წ.; საერთაშორისო ინდიანაპოლისის ( აშშ, 1998 წ. და საბერძნეთის ათენის ფილიალი, 1994წ.), თაფთის (აშშ, ბოსტონი, 1999 წ.), ტრიესტის (იტალია), ბაქოს (აზერბაიჯანი, 1997 წ.), ალმა-ატის (ყაზახეთი, 1997 წ.), სტამბულის (თურქეთი, 1999 წ.), იენის (გერმანია, 1999 წ.) და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (სომხეთი, 2001 წ.); კალიფორნიის მეცნიერების, განათლების, ინდუსტრიისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი (აშშ, 1996 წ.), საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი (ბელორუსია, 2001 წ.), რუსეთის ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის საპატიო დოქტორი (რუსეთი, 2001 წ.)

1991 წლის 26 თებერვალს, ედუარდ შევარდნაძეს (სსრკ-ის საგარეო საქმეთა ექსმინისტრს) ვენაში გადაეცა „წმინდა ავგუსტინეს“ ორდენი.

1991 წელს მიენიჭა ლოს-ანჟელესის (აშშ, სამხრეთ კალიფორნია) უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.



1994 წელს მიენიჭა ინდიანაპოლისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ათენის ფილიალის საპატიო დოქტორის წოდება – მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრების დარგში შეტანილ განსაკუთრებული წვლილისათვის.

1996 წლის მაისში აირჩიეს კალიფორნიის მეცნიერების, განათლების, მრეწველობის და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის საპატიო წევრად, როგორც XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსი.

1997 წლის 19 თებერვალს მიენიჭა ბაქოს უნივერსიტეტის დოქტორის საპატიო წოდება (აზერბაიჯანი. ქ. ბაქო).

1997 წლის 11 ნოემბერს მიენიჭა ალმა-ატის (ყაზახეთი) უნივერსიტეტის დოქტორის საპატიო წოდება.

1998 წლის 11 ივნისს გადაეცა ინდიანაპოლისის უნივერსიტეტის (აშშ) ყველაზე საპატიო ჯილდო: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის საპატიო წოდება.

გაითვალისწინა რა ჩვენს ქვეყანაში (მოვლენები გალში) შექმნილი ვითარება, ინდიანაპოლისის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ბატონმა ბენჯამინ ლანცმა პირადად გადასცა საპატიო დოქტორის ატრიბუტიკა (ქ. თბილისი).

1999 წლის 8 თებერვალს მიენიჭა „ფითიჰის უნივერსიტეტის“ დოქტორის საპატიო წოდება.

1999 წლის 27 თებერვალს (თურქეთში ვიზიტის დროს) მიენიჭა სტამბულის უნივერსიტეტის დოქტორის საპატიო წოდება.

1999 წლის მარტში თაფთის უნივერსიტეტის ფლეჩერის სამართლისა და დიპლომატიის სკოლის სამეცნიერო საბჭომ მიანიჭა სამართლის დოქტორის საპატიო წოდება (აშშ. ბოსტონი).

1999 წლის 15 ოქტომბერს მიენიჭა იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის (გერმანია) საპატიო დოქტორის წოდება.

2001 წლის 30 მაისს აირჩიეს საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად.

2001 წლის 1 ივნისს აკადემიკოსის დიპლომი (30.05.2001წ.; №: A 005 ) მინსკში გადასცა აკადემიის პრეზიდენტმა, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის პეტრე მაშეროვის ქვრივმა პოლინა მაშეროვამ.

2001 წლის 18 ოქტომბერს ხანგრძლივი და ნაყოფიერი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრების პროცესში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიენიჭა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

დიპლომი (№038 , 18.10.2001წ.) ბატონ პრეზიდენტს გადაეცა 2001 წლის 24 ოქტომბერს უნივერსიტეტში საზეიმო ცერემონიაზე.

2001 წლის 24 ოქტომბერს მიენიჭა რუსეთის ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის საპატიო დოქტორის წოდება (ატესტატი №0093, 04.12.2001წ.)

აგრეთვე მინიჭებული აქვს საზღვარგარეთის ქვეყნების არაერთი საპატიო ჯილდო:

1992 წლის დეკემბერში ქეარინგის ინსტიტუტმა (აშშ) მიანიჭა:

1993 წლის ეროვნული ჯილდო – უდიდესი წვლილისათვის ადამიანის უფლებების დარგში და არაჩვეულებრივი თანაგრძნობისათვის კაცობრიობის მიმართ.

1993 წლის 27 იანვარს დაჯილდოვდა უნგრელი მედიკოსის ჰერცოგ შტრასერის პრემიით – „ოქროს ბეჭდით“.

1993 წელს – ჰამბურგის საქველმოქმედო საზოგადოების იმანუელ კანტის (გერმანია) სახელობის პრემია 1992 წლისათვის ევროპაში მშვიდობის დასამყარებლად განსაკუთრებული დამსახურებისათვის და აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის.

ჯილდო გადაეცა გერმანიაში 1993 წლის 23 ივნისს ვიზიტად ყოფნისას.

1993 წელს – ამერიკის აღმოსავლეთისა და დასავლეთის უსაფრთხოების საკითხთა შემსწავლელი ინსტიტუტის მიერ ჯილდოს გადაცემით დაფასდა მისი განუზომელი წვლილი „ცივი ომის“ დასრულებისა და ქვეყნების განთავისუფლების საქმეში.

1994 წლის 20 დეკემბერს რუმინეთის დეკემბრის რევოლუციის ხუთი წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდა მედლით და დიპლომით.

1997 წლის 2 ივლისს ონასისის საერთაშორისო ფონდის (საბერძნეთი) დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ონასისის ფონდის პრემია – საერთაშორისო ურთიერთგაგებისა და სოციალური მიღწევებისათვის.

ჯილდო გადაეცა 1997 წლის 16 სექტემბერს ქ. ათენში.

1997 წლის დეკემბერში ნიქსონის სახელობის ცენტრის დირექტორთა საბჭომ (აშშ, ვაშინგტონი) მიანიჭა ნიქსონის სახელობის საგანგებო პრემია ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის - საბჭოთა კავშირში მშვიდობიანი რევოლუციის განხორციელებაში შეტანილი წვლილის, ასევე ახალი და დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაში შესანიშნავი მიღწევების აღსანიშნავად.

ჯილდო გადაეცა 1999 წლის 23 აპრილს ნიქსონის სახელობის ცენტრში (აშშ. ქ. ვაშინგტონი).

1998 წლის 14 იანვარს გადაეცა ისრაელის დემოკრატიული ინსტიტუტის სპეციალური პრემია საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისათვის და, აგრეთვე, ებრაელთა სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობისათვის (ისრაელი. ქ. იერუსალიმი).

1998 წლის 12 თებერვალს - კალიფორნიის მეცნიერების, განათლების, მრეწველობის და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის მიერ წიგნისათვის „ჩემი არჩევანი“ დაჯილდოვდა ა. აინშტაინის სახელობის დიდი ოქროს მედლით „განსაკუთრებული მიღწევებისთვის“. ჩვენს ქვეყანაში (მოვლენები გალში) შექმნილი ვითარების გათვალისწინებით გადაცემის ცერემონია 19.05.98წ. აკადემიაში არ შედგა და მედალი გადმოიგზავნა 1998 წლის ივლისში.

1998 წლის 9 ივნისს გადაეცა აშშ-ს აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტის ჯილდო „საუკეთესო ევროპელი სახელმწიფო მოღვაწისათვის“.

ჯილდო გადაეცა პრეზიდენტის შვილიშვილს თამუნა მოსაშვილს, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოს პრეზიდენტის სახელით სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა.

1998 წლის 30 ივნისს რუსეთის კოსმონავტიკის აკადემიის აკადემიკოსმა გადასცა სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ ედუარდ შევარდნაძე „დიდი დათვის თანავარსკვლავედის“ ერთ-ერთი ვარსკვლავის სახელის სრულუფლებიანი მფლობელია.

1998 წლის ივლისში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საორგანიზაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დაჯილდოვდა ოლიმპიური ოქროს ორდენით – უდიდესი დამსახურებისათვის მსოფლიოში სპორტის განვითარების საქმეში და ოლიმპიური იდეალების ერთგულებისათვის, აგრეთვე უძნელეს წლებში მსოფლიოში მშვიდობის დამყარების საქმეში შეტანილ უმნიშვნელოვანესი ღვაწლისათვის.

1999 წლის 17 მაისს ჯილდო პირადად გადასცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ბატონმა ხუან ანტონიო სამარანჩიმ (ქ. თბილისი).

1999 წლის აპრილში ბუნების დაცვის მსოფლიო საერთაშორისო ფონდმა გადასცა „სერტიფიკატი 2000“ - „თანამედროვე პლანეტის“ შენარჩუნებისათვის გაღებული განსაკუთრებული წვლილისათვის.

1999 წლის 22 აპრილს რაისის უნვერსიტეტის ჯეიმს ბეიკერის საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტში გადაეცა კომპანია „ენრონის“ პრემია – საზოგადოებრივი საქმიანობისათვის 1999 წლის აპრილში (აშშ. ქ. ჰიუსტონი)

1999 წლის 5 მაისს საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა მიანიჭა მაცხოვრის მხედრობის დიდი ჯვრის ორდენი.

1999 წლის 10 მაისს ჯილდო პირადად გადასცა საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მისმა აღმატებულებამ კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა (ქ. თბილისი).

1999 წლის 24 მაისს გადაეცა კლუბ „როტარი ინტერნეიშენელის“ ჯილდო მისი, როგორც დიდი პოლიტიკოსის წვლილისათვის საერთაშორისო აზროვნების, კეთილდღეობისა და მშვიდობის განვითარების საქმეში.

1999 წლის 6 ივნისს დაჯილდოვდა პუშკინისტების საერთაშორისო ორგანიზაციის (აშშ-რუსეთი) საიუბილეო მედლით „200“ – გადაეცა ალექსანდრე პუშკინის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე თბილისში (6.06.99წ.)

1999 წლის 14 ივნისს დაჯილდოვდა სარატოვის ოლქის გუბერნატორის საპატიო ნიშნით (რუსეთი).

1999 წლის 17 ივნისს ჯილდო გადასცა პირადად სარატოვის ოლქის გუბერნატორმა დ. იაცკოვმა.

1999 წლის ივლისში (18.07.99წ. წერილი) დაჯილდოვდა ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (აშშ) მიერ 1999 წლის ვ. ავერელ ჰარიმანის დემოკრატიის პრემიით დემოკრატიასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სამაგალითო საქმიანობისათვის.

1999 წლის 23 სექტემბერს ჯილდო გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის, მისი აღმატებულების ბატონ ედუარდ შევარდნაძის და ქალბატონ ნანული შევარდნაძის ვიზიტის დროს აშშ-ში, ქ. ვაშინგტონში, სასტუმრო „ვოშინგტონ ჰილტონში“ გამართულ მიღებაზე.

1999 წლის 29 სექტემბერს მიენიჭა ქ. ერევნის საპატიო მოქალაქის წოდება.

1999 წლის 3 ოქტომბერს დაჯილდოვდა უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეროვნული აკადემიის ოქროს სამკერდე ნიშნით და სიგელით.

1999 წლის 13 ოქტომბერს გადაეცა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო „უმაღლესი ხარისხის დიდი ფედერალური ჯვარი“ – გერმანიის გაერთიანებაში განსაკუთრებული წვლილისათვის, რომელიც მან შეიტანა ყოფილი სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას.

ჯილდო პირადად გადასცა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოჰანეს რაუმ „ბელჰაუსის“ სასახლეში (ბერლინი).

1999 წლის 14 ოქტომბერს გადაეცა ლუდვიგ ვიუნშეს სახელობის პრემია – განსაკუთრებული ღვაწლისათვის ხალხთა შორის გაგებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებაში.

## ◉ ედუარდ შევარდნაძის „ნადავლი“



1999 წლის 29 ოქტომბერს გადაეცა თურქეთის მწერალთა და ჟურნალისტთა ფონდის ჯილდო – ხალხთა დაახლოების საქმეში გაწეული ღვაწლის აღსანიშნავად.

ჯილდო გადასცა თურქეთის ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა რეფაიდინ შაჰინმა და მწერალთა და ჟურნალისტთა ფონდის წარმომადგენლებმა.

2000 წლის 6 იანვარს ქ. იერუსალიმში იერუსალიმის პატრიარქმა დიოდოროს პირველმა დააჯილდოვა იერუსალიმის საპატრიარქოს „წმინდა აკლდამის რაინდთა წმინდა ჯვრის ორდენით“.

იესო ქრისტეს ხორციელად შობის 2000 წლისთავთან დაკავშირებით ისრაელში მყოფი საქართველოს პრეზიდენტი ბატონი ედუარდ შევარდნაძე 2000 წლის 6 იანვარს ქ. ბეთლემში ედუარდ შევარდნაძისა და იასირ არაფატის შეხვედრისას პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურმა თავისი სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტს გადასცა ორდენი „ბეთლემი – 2000“.

2000 წლის 14 მარტს რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით საქართველოს პრეზიდენტი ბატონი ედუარდ შევარდნაძე დაჯილდოვდა ოქროს მედლით.

2000 წლის 15 მარტს დაჯილდოვდა იაროსლავ ბრძენის პირველი ხარისხის ორდენით – ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის ტრადიციული მეგობრობის განმტკიცების, საქართველოსა და უკრაინის თანამშრომლობის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

ჯილდო გადასცა საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა უკრაინის პრეზიდენტმა, მისმა აღმატებულებამ ლეონიდ კუჩმამ.

2000 წლის 22 მარტს დაჯილდოვდა „ისთიგლალის“ (დამოუკიდებლობისძ ორდენით - საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განუხრელ განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის გასაფართოებლად ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

ეს უმაღლესი ჯილდო გადასცა საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, მისმა აღმატებულებამ ჰეიდარ ალიევმა.

2000 წლის 28 მარტს დაჯილდოვდა წმინდა მესროპ მაშტოცის ორდენით – სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის.

ეს უმაღლესი ჯილდო გადასცა საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა სომხეთის პრეზიდენტმა, მისმა აღმატებულებამ რობერტ ქოჩარიანმა.

2000 წლის 14 აპრილს დაჯილდოვდა საიუბილეო, მემორიალური მედლით – „მეორე მსოფლიო ომში მოკავშირე ჯარების გამარჯვების 55 წლისთავი“ მეორე მსოფლიო ომის ინვალიდთა და ვეტერანთა სრულიად ამერიკული ასოციაციის ცენტრალური გამგეობის მიერ.

2000 წლის 19 ივლისს დაჯილდოვდა „წმინდა მიხეილისა და წმინდა გიორგის დიდი ჯვრის ორდენით“ ბუკინგემის სასახლეში. დედოფალმა ელისაბედ მეორემ პირადად გადასცა საქართველოს პრეზიდენტს უცხოელებისათვის განკუთვნილი უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო და რაინდად აკურთხა (ედუარდ შევარდნაძე ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან პირველია, ვინც ამ ჯილდოს მფლობელი გახდაძ

2000 წლის 15 სექტემბერს იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა კოიშირო მაცუურამ დააჯილდოვა საქართველოს პრეზიდენტი კონფუცის დიდი მედლით, როგორც საუკუნის ერთ-ერთი დიდი მოაზროვნე.

2000 წლის 30 სექტემბერს მალტის რაინდთა წმინდა იოანე იერუსალიმელის დიდი ორდენის საერთაშორისო მარშალმა ოტო იოკლიკმა საქართველოს პრეზიდენტს გადასცა უმაღლესი ჯილდო „დიდი ჯვარი“, რომელიც ორდენის წევრების გადაწყვეტილებით „ედუარდ შევარდნაძეს მიენიჭა კაცობრიობის საკეთილდღეოდ გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის, კერძოდ: ბერლინის კედლის დანგრევისა და ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

2001 წლის 12 მაისს იუბილარმა ნონა გაფრინდაშვილმა უსახსოვრა თავისი სახელობის თასი.

2001 წლის 13 მაისს ფიდეს პრეზიდენტმა (ამასთანავე ყალმუხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმაძ კირსან ილუმჟინოვმა გადასცა საქართველოს პრეზიდენტს დიდი მხედრის ორდენი და ფიდეს მედალი.

### II

ედუარდ შევარდნაძე სხვადასხვა დროს დაჯილდოებული იყო სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავით, ლენინის ხუთი ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით.

მინიჭებული აქვს საპატიო წოდება:

1996 წლის 2 მაისს არჩეულ იქნა გელათის მეცნიერებათა აკადემიის (ქუთაისიძ საპატიო წევრად და მას მიენიჭა საპატიო აკადემიკოსის წოდება.

1997 წელს გადაეცა „ოქროს აკვნის მედალი“.

1997 წლის 26 ივლისს არჩეულ იქნა საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

1997 წლის 30 ოქტომბერს გადაეცა მემედ აბაშიძის საიუბილეო მედალი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარებაში შეტანილი წვლილის აღიარების ნიშნად (ბათუმიძ.

1998 წლის 9 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით ახალი მსოფლიო წესრიგის დამკვიდრებაში, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობაში, პოლიტოლოგიის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის მიენიჭა საპატიო დოქტორის წოდება.

დიპლომი და ივანე ჯავახიშვილის მედალი საქართველოს პრეზიდენტს გადაეცა 2000 წლის 8 თებერვალს დავით აღმაშენებლის აღსაყდრებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე.

1998 წლის 20 იანვარს საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მიერ მიენიჭა დოქტორის საპატიო წოდება.

1998 წლის 8 აპრილს არჩეულ იქნა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად.

1999 წლის 30 ივნისს არჩეულ იქნა საერთაშორისო ასოციაცია „ცისარტყელას მეგობარის“ საპატიო პრეზიდენტად.

1999 წლის 27 ივლისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის მიენიჭა საპატიო დოქტორის წოდება.

1999 წლის 27 ივლისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე დიდი დამსახურებისათვის დაჯილდოვდა გიორგი ნიკოლაძის მედლით (მოწმობა №02 – 27.07.99წ.ძ

1999 წლის სექტემბერში საქართველოს ვეტერან მეომართა საერთაშორისო კავშირმა აირჩია საპატიო წევრად №1.

2000 წლის 25 იანვარს საქართველოს მეტყევეთა საზოგადოების და საქართველოს სატყეო დეპარტამენტის საბჭოს გაფართოებული სხდომის გადაწყვეტილებით დაჯილდოვდა საქართველოს საპატიო მეტყევის სამახსოვრო მედლით – ქვეყნის აღმშენებლობისა და სატყეო დარგის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის.

2000 წლის 24 მარტს დაჯილდოვდა მეცხრე საუკუნის გამოჩენილი მეცნიერის და სასულიერო მოღვაწის ილარიონ ქართველის სახელობის მედლით – მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებაში, საქართველოს მომავლის კეთილდღეობის საქმეში გაწეული დიდი დამსახურებისათვის.

ჯილდო გადაეცა მედიკოსთა სახელით სამედიცინო უნივერსიტეტის დაარსების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე.

2000 წლის 26 მარტს აირჩიეს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად – განათლების განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

2001 წლის მარტს აირჩიეს მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის საპატიო წევრად (დიპლომი №1ძ.

2001 წლის 28 ოქტომბერს მერიაში საზეიმო მიღებაზე გადასცეს თბილისის საპატიო მოქალაქის ატრიბუტიკა.

2002 წლის 30 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო აკადემიის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა საპატიო პროფესორის წოდება.

დიპლომი გადასცეს ამავე წლის 18 ოქტომბერს აკადემიის დაარსების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე.

2002 წლის 27 ოქტომბერს გადასცეს სამახსოვრო მედალი აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის შექმნაში გაწეული ფასდაუდებელი ღვაწლისათვის.

2003 წლის 25 იანვარს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დააჯილდოვა მისი აღმატებულება, საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ-გიორგი შევარდნაძე წმინდა გიორგის I ხარისხის ორდენით – მსოფლიოში სახელმწიფოთა შორის ბოლო დროს ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის;

მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში საქართველოს როლის წარმოჩენისა და მისთვის საერთაშორისო ფუნქციის მინიჭებისთვის;

საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის განმტკიცებისათვის;

გელათის მეცნიერებათა აკადემიის აღდგენით ეკლესიისა და მეცნიერულ სამყაროს შორის ჩვენთან ტრადიციულად არსებული ურთიერთობის განახლებისათვის;

თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის;

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის ისტორიული მნიშვნელობის კონსტიტუციური შეთანხმების დადებისა და ამით ცხოვრებაში ეკლესიის როლისა და პასუხისმგებლობის გაზრდისათვის.

2003 წლის 22 სექტემბერს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობამ განათლების სისტემის განვითარებისათვის დააჯილდოვა იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლითა და საპატიო სიგელით.

## ◉ ?????????????

### თბილისსა და მოსკოვს შორის ვიდეოხიდი შედგა

საერთაშორისო პრესცენტრ „რია ნოვოსტში“ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში პოზიციების დაახლოების გზების ძიებისა და კრიზისის გადალახვის საკითხის თაობაზე ვიდეოხიდი თბილისი-მოსკოვი გაიმართა. დისკუსიაში ქართული მხრიდან მონაწილეობდნენ: გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი **ტატო ლასხიშვილი**, მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ მფლობელი და პრეზიდენტი **მალხაზ გულაშვილი**, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ლევან გახელაძე**, გაზეთ „ჰომო ესპერანსის“ მთავარი რედაქტორი **ვახუშტი ფარცვანია** და გაზეთ „რეზონანსის „ მთავარი რედაქტორი **ლაშა ტუღუში**.

მოსკოვის მხრიდან კი მონაწილეობდნენ: რუსეთში ქართველთა კავშირის პრეზიდენტი **მიხეილ ხუბუტია**, რუსეთის სახალხო არტისტი, დიდი თეატრის საოპერო დასის ხელმძღვანელი **მაყვალა ქასრაშვილი**, პოლიტიკური მიმომხილველი, ჟურნალისტი **ნიკოლოზ სვანიძე** და ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მთავარი რედაქტორი, მწერალი **ალექსანდრე ებანოიძე**.

ვიდეოხიდის მსვლელობისას მხარეებმა არაერთ საკითხზე იმსჯელეს, თუმცა ერთ-ერთი მთავარი თემა აგვისტოს მოვლენების შემდეგ რუსეთში ქართული დიასპორის მდგომარეობა იყო. მსჯელობისას კონკრეტულად ითქვა, რომ რუსეთის ქართველობას სოციალურთან ერთად, კიდევ უამრავი პრობლემა აქვს და ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეთნიკური ნიშნით შევიწროებასაც განიცდიან. მიუხედავად ამისა, ვიდეოხიდში, მოსკოვის მხრიდან, კონკრეტულად თითქმის არაფერი თქმულა მდგომარეობის გამოსწორების გზებზე, რამაც ქართული მხარის ერთგვარი გაღიზიანება გამოიწვია და, შესაბამისად, დისკუსიამ გარკვეულწილად მწვავედ ჩაიარა.

ჩართვა დაახლოებით ერთი საათი გაგრძელდა და დასასრულ მხარეებმა სურვილი გამოთქვეს, რომ მსგავსი მსჯელობა მომავალშიც გაიმართოს.

ჯაბა ჟვანია

## ◉ ინფორმაცია

### „ორთაჭალჰესის“ ახალმა მფლობელმა სიტყვა შეასრულა

**„ორთაჭალჰესის“** ახალმა მფლობელმა „ენერგო პრო ჯორჯიამ“ სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულება შეასრულა და საპრივატიზაციო ღირებულება 25 250 000 დოლარი სრულად დაფარა. ამის შესახებ ინფორმაციას ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს.

შპს „ორთაჭალჰესი“ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ აუქციონზე 2008 წლის 19 დეკემბერს გამოიტანა. ობიექტის საწყისი ფასი 25 000 000 დოლარი იყო. ჰესის ახალმა მესაკუთრემ საპრივატიზაციო თანხა გათვალისწინებულ ვადაში გადაიხადა და „ორთაჭალჰესის“ იურიდიული მფლობელი გახდა.

ХИ-ЕИВ-ЕНО

### სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტიის 2008 წლის საფინანსო დეკლარაცია აუდიტ ბიზნეს გარანტის დასკვნით

წლიური შემოსავალი 729320
1. საწევრო შემონატანი 300.00
2. შემოწირულობები 3849.20
3. შემოწირულობა იურიდიული პირებისაგან 3111.00
გასავალი
1. 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე 3564.20
2. 2008 წლის 3 ნოემბრის შუალედურ არჩევნებზე 100.00
3. სხვადასხვა ხარჯები 512.25
4. საბანკო დაწესებულებაში რიცხული თანხები 2.71
5. ნაშთი ქონების სახით 3114.0.

ჩვენი პუბლიკაცია



***ამ გაზაფხულზე, აპრილში ქალბატონი მარიკა ბარათაშვილი 101 წლისა გახდებოდა... ალბათ გახსოვთ, რა სიყვარულით აღნიშნა შარშან ქართველმა საზოგადოებრიობამ თვალსაჩინო პოეტისა და დრამატურგის საუკუნოვანი იუბილე. საკვირველია, რომ გონების სიცინცხალე ბოლომდე არ დაუკარგავს ქალბატონ მარიკას, წერდა შესანიშნავ ლექსებს და, თურმე, მოგონებების წიგნზეც მუშაობდა, როგორც გვითხრა მისმა ერთ-ერთმა შვილიშვილმა ლანა ყურაშვილმა.***

***სწორედ ქალბატონ ლანას მიუხედავს უსაყვარლესი ბებიის მოგონებებისთვის, გაუწევია დიდი შრომა, შეუდგენია, როგორც წესი და რიგია, რედაქტორად ქალბატონი ბელა შალვაშვილი მოუწვევია და, საცაა, მზის სინათლეს იხილავს მოგონებების კრებული „ასი წლის გადმოსახედიდან“, რომელიც, ჩვენი აზრით, ქართული მემუარული ლიტერატურის ნამდვილი შენაძენი იქნება.***

***ჩვენ ვთხოვეთ ლანა ყურაშვილს წიგნად გამოსვლამდე „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაგვებეჭდა ამონარიდები ქალბატონი მარიკას მოგონებებიდან, რაზედაც იგი სიამოვნებით დაგვეთანხმა და ამისთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის, თქვენ კი, ძვირფასო მკითხველო, კვირაში ერთხელ, შაბათის რამდენიმე ნომერში, საინტერესო პუბლიკაციის წაკითხვის სასიამოვნო მოლოდინს გიქმნით.***

***ვილენ მარდალეიშვილი***

# მარიკა ბარათაშვილი
# ასი წლის გადმოსახედიდან

## შიო მღვიმელმა ლექსისადმი ინტერესი გამიღვიძა

1915 წელს, ჭიათურაში, შიო მღვიმელის იუბილე გაიმართა. შიო მეუღლითურთ ჩვენთან დაბინავდა. ჩვენი სახლიდან თეატრამდე პოეტს ყვავილებს უფენდნენ. თეატრში დიდებული შეხვედრა მოუწყვეს. მეც ავანსცენაზე ცოცხალ ყვავილებში ვიყავი, ოღონდ არ მახსოვს, რომელ ყვავილს ვთამაშობდი.

შიო და ანეტა დიდედა რამდენიმე დღეს დარჩნენ ჩვენთან. დედაჩემისგან ნაბრძანები მქონდა, შიოს საწოლი ოთახის კარი არ შემეღო, „ხელი არ შეუშალო, ლექსსა წერსო“. არადა, ძალზე მაინტერესებს, როგორ წერს ლექსებს შიო პაპა... კართან მივიპარე, ჭუჭრუტანიდან შევიხედე და ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა – შიო ისევე იჯდა მაგიდასთან და წერდა, როგორც მამაჩემი, რვეულების გასწორების დროს. მაგრამ აი, შიო ოთახიდან გამოდის, ხელში რვეული უჭირავს და კითხულობს:

**ჩემს პატარა წიწკნატელას,**
**რომ უცინის ტკბილად ყველას.**
**ცუგრუმელას, ცისარტყელას,**
**ბარათაშვილ მარიკელას!**

ლექსმა ფრთა შემასხა და გადავწყვიტე, როდესაც გავიზრდები, მეც შიო პაპასავით ლექსებს დავუწერ-მეთქი ბავშვებს.

შემდგომში შიო მზეთამზეშიც გვეწვია აგარაკზე და ძალიან გაგვახარა, როდესაც დაწერა ლექსი „მზეთამზეს“. კი არ დავდიოდი, – სიხარულით დავფრინავდი.

მალე მარიამობაც ლექსით მომილოცა.

**ჩემო კარგო, მარიკელავ,**
**ჩემო ჩიტო ღაბუა,**
**მოგილოცავ მარიობას,**
**გენაცვალოს ბაბუა.**
**ბაბუები სხვებიცა გყავს,**
**პირ-მცინარი, მღიმელი,**
**თავის თავზე მოგახსენებს**
**ძია, შიო მღვიმელი,**
**ასეთია წუთისოფლის**
**კანონი, დღეთა დენა,**
**პაპა უნდა მტლად დაგედოს**
**შენ გენაცვალე, შენა.**
**(„მარიკელა ბარათაშვილს“)**


შიო მღვიმელი


ბაბუა სვიმონ კასრაძე, ბებიის ძმები შიო მღვიმელი (დგას) და სანდრო ქუჩუკაშვილი.

## შორეული სიახლოვე გალაკტიონთან

..მწუხარების ამ უსასრულო ჯაჭვში – ჩემი ქვეყნისა თუ ოჯახურ უბედურებებში, აქა-იქ შუქიც გამოკრთება ხოლმე.

გალაკტიონი ჩემი სალოცავი პოეტია. დიდი სითბოთი, სიყვარულითა და ერთმანეთის პატივისცემითაა სავსე ჩვენი შეხვედრები... უდიდესი სიამოვნებით ვმონაწილეობ გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამოებში, ვკითხულობ მისდამი მიძღვნილ ლექსებს თბილისის საოპერო თეატრში, მთაწმინდის პლატოზე თუ ფილარმონიის ბაღში.

ოპერის თეატრი ხალხითაა გაჭედილი. სცენაზე პოეზიის მეფეა. მას 50 წელი შეუსრულდა, საღამოს უძღვება აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე. ქება-დიდების სიტყვები, მილოცვები, ყვავილები, საჩუქრები, პოეტისადმი მიძღვნილი ლექსების კითხვა. მეც მივეახლე, მივულოცე და ჩემი „გალაკტიონი“ წავუკითხე.

არ დამავიწყდება მომდევნო საღამოც – პლეხანოვის გამზირზე მდებარე „გოფელექტის ბაღში“ უამრავ თაყვანისმცემელს მოუყრია თავი. სცენა სავსეა საღამოს მონაწილე მწერლებით, მსახიობებით. ბოლოს პოეტს სთხოვეს მიკროფონთან. წამოდგა და დაიწყო „მთაწმინდის მთვარე“. შუა კითხვაში ლექსი შეეშალა, დაიბნა. მართალია მსმენელებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს, მაგრამ მან კითხვა შეწყვიტა და აღელვებული დაუბრუნდა თავის სავარძელს. „ეს რა მომივიდა, ქალბატონო, მარიკა, ეს რა მომივიდა“, – გადმომილაპარაკა აფორიაქებულმა.


გალაკტიონის ნაჩუქარი ფოტო. შოვი, 1947 წ.

„ისეთი რა მოხდა? – ვეცადე დამემშვიდებინა, – ყოველი ამ დარბაზში მყოფი ხომ ბედნიერად ჩათვლიდა თავს „მთაწმინდის მთვარე“ რომ დაეწერა, თუგინდ ყოველი წაკითხვისას შეშლოდა“, მადლიერებით შემომხედა.

რა ბავშვივით გულსუფთა და გულუბრყვილოა! თავად უხდება ბრიყვთა და მოშურნეთაგან თავის დაცვა. ამიტომაა, რომ სიმთვრალეში დაკარგა ლენინის ორდენი... ჩემთვის კი, ისე, როგორც სხვა მრავალი კეთილმოსურნისთვის, გასაგებია, რომ იგი მხოლოდ სასმელით გაბრუებული ახერხებს მიიყუჩოს უძვირფასესი მეუღლის გადასახლებით მიყენებული ტკივილი, თვალი მოუხუჭოს იმ უბედურებას, რაც მის სამშობლოს, ხალხს, მის ნათესავ-მეგობრებს დაატყდა თავს და სულ სხვა სამყაროში გადასახლებული ჰქმნის პოეტურ შედევრებს.

მკითხველის სიყვარულმა გადაარჩინაო, ამბობენ. ლექსს: „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“, წყალტუბოს ერთ სკვერში დაუწერია. შემდეგ ეტყობა, არ მოწონებია, დაუხევია და მიუტოვებია. ჩანს, ვიღაც უთვალთვალებდა, ლექსის ნაფლეთები შეუკოწიწებია. ასე მიენიჭა სიცოცხლე ერთ მშვენიერ, შემდგომში სიმღერად ატაცებულ ლექსს.

სამწუხაროდ, ვერ მოვუარე დიდი პოეტის ლექსს, რომელიც მე დამიწერა...

მაშინ ორჯონიკიძის ქუჩაზე ვცხოვრობდი. მეზობელმა მაცნობა, ჩვენს ტელეფონთან გიხმობენო. მეც მქონდა შინ ტელეფონი და გამიკვირდა, ვინ უნდა ყოფილიყო? „ქალბატონო მარიკა, გალაკტიონი ვარ, გალაკტიონი, წუხელ ლექსი დაგიწერეთ და არ ვიცი, როგორ მოგაწოდოთ!“ სიხარულით დავიბენი, მომერიდა. ვერც შინ მოვიწვიე და მასთან მისვლაც მეუხერხულა. დაბნეულმა და სიხარულისგან გაოგნებულმა მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, ჩემს ბავშვს გამოგიგზავნი-მეთქი.

იმ დღეს ბავშვის გაგზავნა ვერ მომიხერხდა, მეორე დილით კი ქალაქი შეაშფოთა ამბავმა, გალაკტიონი მტკვარზე გადავარდნილაო. ერთხანს საავადმყოფოში იწვა.

თქვეს, მასთან მნახველებს არ უშვებენო. ნაავადმყოფარს, კარგა ხნის შემდეგ შევხვდი მაჩაბლის ქუჩაზე. გაფითრებული იყო, შინაგანად აფორიაქებული მომეჩვენა. რადგან თავად არაფერი მითხრა, მეც ჩვეულებრივ გავესაუბრე. ლექსის შესახებ რომ მოვაგონე, სიტყვა აირიდა, საუბარი სხვა საგანზე გადართო. გულმა მიეჭვა,რომ ლექსი აღარც არსებობდა და სამუდამო სინანულად დამრჩა. ვინ იცის, რისი თქმა უნდოდა ჩემთვის? იქნებ რა სატკივარს მიზიარებდა? ნუთუ მე, ვინც ასე ვაღმერთებდი გალაკტიონს, უგულობაში ჩამომართვა უბრალო თავმოუბმელობა? ან იქნებ, მისი ბრალი სულაც არ იყო, იმ ლექსის დაკარგვა?

პოეტის არქივს შემორჩა ჩემდამი მიძღვნილი, ერთსტროფიანი, პატარა ლექსი.

ლექსის ისტორია ასეთია: მე და გალაკტიონი მწერალთა კავშირიდან ერთად გამოვედით. გალაკტიონი აღელვებული იყო. პლეხანოვამდე ფეხით ვიარეთ. გზაში ვამშვიდებდი და ვთხოვდი, უსიამოვნებას გულთან ახლოს ნუ მიიტანდა.

**მარიკა ბარათაშვილს**
**მადლობელი ვარ**
**თქვენი, მარიკა.**
**როს ხანა მქონდა**
**ყოფნა-არყოფნის,**
**თქვენმა გულწრფელმა**
**ხმამ შემარიგა**
**აქ ბევრ რამესთან...**
**სიტყვა არ მყოფნის.**
**გალაკტიონ ტაბიძე,**
**1951 წ. 17 იანვარი.**

## აკაკის ხსოვნის სუფრას შალვა დადიანი თამადობს

1944 წლის 24 თებერვალი. თბილისიდან სხვიტორში, აკაკის სამშობლოში ჩამოვედით ოცდაორი მწერალი: შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, ბესარიონ ჟღენტი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ლევან ასათიანი, ბორის ჩხეიძე, პლატონ კეშელავა, მთარგმნელი ფატი თვალთვაძე... ჩვენთანაა ნატო ვაჩნაძეც, აკაკის მოგონების ამ საზეიმო დღეებში საოცრად ლამაზია თოვლში ჩაფლული საჩხერე. საღამო კლუბში ჩავატარეთ. მეც წავიკითხე ლექსი „მერცხლები აკაკის აივანზე“, ღონისძიებამ კარგად ჩაიარა. სხვიტორში ავედით. აკაკის სახლის ვრცელ დარბაზში დიდი სუფრაა გაშლილი. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს. აქ არიან ჭიათურა-საჩხერის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. სუფრას შალვა დადიანი უძღვება. მას შეუძლია რამდენიმე დღე იჯდეს სუფრის თავში, თამადობდეს და ენამზეობდეს – 10-15 წუთი თუ წათვლემს და კვლავ უბრუნდება თავის „მოვალეობას“.

თამადამ ორლიტრიანი ყანწით შესვა პირველი სადღეგრძელო – აკაკის ხსოვნის სადღეგრძელო, მიიხედ-მოიხედა და, იმოდენა თანამოსუფრეთაგან, მაინცდამაინც მე მოვხვდი თვალში. ჩემთან მოვიდა, ხელზე მეამბორა და ის ვერცხლით მოჭედილი და ვერცხლისავე ჯაჭვებით დამძიმებული უზარმაზარი ყანწი გადმომილოცა. იხტიბარი არ გავიტეხე, ყანწი ჩამოვართვი. „მე თვითონ შევავსებ, გმადლობთ!“ ვუთხარი თამადას და დავჯექი. ხალხი გაისუსა. გაოცებით მიცქერენ. ჩემს ბედზე, შუქი ჩაქრა და მაგიდაზე აქა-იქ ბჟუავს ლამპები. ყურადღება რომ მინელდა, ყანწში ცოტაოდენი ღვინო ჩავასხი, წამოვდექი, მძიმედ ავწიე, აკაკის ხსოვნის სადღეგრძელო ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით შევსვი და დიდი ფურორი მოვახდინე. სუფრას თვალი მოვავლე „რომელი გავწირო?“

ჩემგან მოშორებით ერთი წითური კაცი ზის. ფეხი ფეხზე გადაუდია და ეტყობა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ავდექი, მასთან მივედი, ყანწი გადავულოცე, მევე შეგივსებ-მეთქი – ვუთხარი და ყანწში ორი ლიტრი ღვინო ჩავუპირქვავე. რას იზამდა? სადღეგრძელო შესვა, მაგრამ მალე გაიყვანეს და მანქანაში ჩაასვენეს. „ღმერთმა დამიფაროს, სუფრაზე, ბარათაშვილის ქალთან შეხვედრისგან“ – ბუტბუტებდა თურმე ჭიათურისაკენ გზადმიმავალი. ეს კაცი ქალაქის უშიშროების უფროსი ყოფილა. რამდენიმე თვის შემდეგ მისი გარდაცვალების ამბავი გავიგე.

მწერლები სხვიტორში თითქმის ერთ კვირას დარჩნენ, მე კი მესამე დღეს ჩამოვედი ჭიათურაში, მშობლების მოსანახულებლად.

მამაჩემი მწოლიარე ავადმყოფი დამხვდა. უროლოგი საავადმყოფოში დაწოლას ურჩევს. მე მამშვიდებენ, რომ საშიში არაფერია. მშობლებმა გაიხარეს: – „ახლა კი მშვიდად მოვკვდები“, – ამბობს მამაჩემი – იმის დარდი მაინც არ წამყვება, რომ მარტოდ გტოვებ. ბიძინა ნამდვილად მომეწონა, ჩვენი ოჯახის შესაფერი უნდა იყოს. რა წარბი შეიკარი გოგო, მართლა კი არ ვკვდები, რა მიჭირს სასიკვდილოო!“

მშობლების მიტოვება გამიჭირდა, გულდამძიმებული წამოვედი, მაგრამ რა მექნა, თბილისში ბავშვები მელოდებიან. ჩავალ, ერთი კვირით მაინც სკოლიდან გავათავისუფლებინებ და აქეთ წამოვიყვან მათ. ჭიათურას თითქმის ყოველდღე ვუკავშირდები. კარგი ამბები მოდის. მამაჩემმა იმკურნალა და საპირველმაისოდ შინ იქნება.

დღეს 29 აპრილია. ამ დღეებში წავალ და მშობლებს აქ, ჩემთან წამოვიყვან! და... უცებ მამას გარდაცვალება მაცნობეს. ამ ამბავმა ისე მომცელა, ლოგინიდან ვეღარ ვდგები. გრიშა და მარუსია წუთით არ მშორდებიან. ანიჩკა, პორფილე, პეტრ პეტროვიჩი, მეზობლები, თავს დამტრიალებენ, ვერა და გიორგი ხომ ჩემთან ერთად წუხან.

როგორც იქნა, ძალა მოვიკრიბე, წამოვდექი, ბავშვები ვერასთან დავტოვე და მე და ელენე დეიდა ჭიათურაში გავემგზავრეთ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

აქტუალური ინტერვიუ

# სინათლისა და სიბნელის მარადიული ომი

## ჩვენი სტუმარია მწერალი გურამ ბათიაშვილი

**— მოსკოვში გამოცემული თქვენი რომანის წინასიტყვაობის ავტორი მიხეილ შვიდკოია, ადამიანი, ვინც რუსეთის პრეზიდენტმა საგანგებოდ წარმოაგზავნა ჩვენთან პატრიარქის აღსაყდრების დღესთან დაკავშირებით. თქვენ მასთან ხანგრძლივი მეგობრობა გაკავშირებთ. ალბათ, საინტერესო იქნებოდა თქვენი შეხვედრა?**

— მიხეილ შვიდკოისთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა იგი ჟურნალ „ტეატრში“ მუშაობდა, იქ კი ჩემი პიესა, სტატიები იბეჭდებოდა. დღეს იგი არის რუსეთის პრეზიდენტის — მედვედევის სპეციალური წარმომადგენელი უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სფეროში. და აი, საქართველოში ჩამოსულმა შვიდკოიმ ასეთი რამ მკითხა:

— მეუბნებიან, რომ საქართველო ვერასდროს შეეგუება ტერიტორიების დაკარგვას. შენ ამაზე რას ფიქრობ? მე ვუპასუხე: საქართველოს არავითარი ტერიტორია არ დაუკარგავს. ჩვენთვის ეს არ არის ტერიტორია, ჩვენთვის ეს არის სამშობლოს ნაწილი. აფხაზეთი, ე.წ. ოსეთი ტერიტორიაა რუსეთისთვის, ინგლისისთვის, პარაგვაისთვის... ჩვენ, ქართველებმა კი სამშობლოს ნაწილი დავკარგეთ-მეთქი. სწორს გეუბნებიან: საქართველო არასდროს შეეგუება, რომ მისი სამშობლოს ნაწილი — აფხაზეთი და ე. წ. ოსეთი დაკარგული ჰქონდეს.

ეს უკვე მომხდარი ფაქტიაო, თქვენთვის არის მომხდარი, ჩვენთვის კი უსამართლობაა და გამოსწორდება-მეთქი. ხელისუფლების სათავეში არ იქნებიან სააკაშვილი, პუტინი, მედვედევი... თუ ეს ამბავი მანამდე გაგრძელდა, საქართველო, ქართველი ხალხი ყოველთვის იბრძოლებს იმისთვის, რომ სამშობლო დაიბრუნოს.

ცხადია, მისი მისია გახლდათ საქართველოში ჩამოეტანა რუსეთის ხელისუფალთა აზრი. ამაში უცნაური არაფერია: იგი სახელმწიფო მოღვაწეა, რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი და არა საქართველოსი, მაგრამ მე ვთხოვე რუსეთის ხელისუფალთათვის გადაეცა, რომ ქართველი ხალხი აფხაზეთისა და ე. წ. ოსეთის დაკარგვას არ შეეგუება. ეს უსამართლობაა, მიხეილ შვიდკოი ძალზე განათლებული პიროვნება და ჩინებული მოღვაწეა, ძალიან უყვარს საქართველო. საქართველოსა და ქართულ თეატრზე მშვენიერი სტატიების ავტორია. აქ უამრავი მეგობარიც ჰყავს: რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, გია ყანჩელი, ხოლო ბადრი კობახიძე ძმად მიაჩნდა და დღესაც, ბადრის გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგაც, ძმობს.

ამავე დროს იგი პატიოსანი ადამიანია, პატიოსნად მოღვაწეობს ყველა სფეროში. ამიტომ მჯერა მისი.

**— მოვა დრო, შეიცვლებიან ხელისუფალნი, დალაგდება ყველაფერი. ვფიქრობ, თავად რუსებიც ინანებენ, რაც მოიმოქმედეს საქართველოში... არ მეთანხმებით?**

— რასაკვირველია, სავსებით გეთანხმებით, თუმცა, ის, რასაც თქვენ ბრძანებთ, ზნეობრიობის სფეროს განეკუთვნება. არსებობს ისტორიული გამოცდილებაც, რომელიც გვასწავლის, თუ როგორ, რა მეთოდებით შეიქმნა რუსეთის იმპერია — სწორედ ამგვარი მეთოდებით. ის, რომ იყო შეცდომები, რუსეთს არ ათავისუფლებს ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან. იქნებ, უფრო აქლიერებდეს კიდეც, რადგან მან შეამზადა საამისო პირობები. სხვა არის შეცდომა და სულ სხვაა ცოდვა, რომელიც რუსეთის ხელმძღვანელობამ დაიდო. მჯერა, იმათაც დაუდგებათ კათარზისის ჟამი და ქართველი და რუსი ხალხები მეგობრები იქნებიან. სამწუხაროდ, დღევანდელი მსოფლიო მზამზარეულად იღებს ყველაფერს. არ ცდილობს მოვლენების გაანალიზებას, იმდენად არის საკუთარი პრობლემებით დაკავებული და თავის პროფესიაში ჩაღრმავებული, რომ რასაც ჩასძახებენ, იმას იმეორებს.

**— რას გულისხმობთ?**

— ჯერ ამბობდნენ, რომ რუსეთმა საქართველოს ომი გამოუცხადაო და მთელი ევროპა ჩვენს მხარეზე იყო. შემდეგ, როდესაც რუსეთმა დაიწყო პროპაგანდისტული ომი, ევროპა თითქმის შეტრიალდა. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ დღეს ევროპელ კაცს არ ძალუძს თავად გააანალიზოს მომხდარი. საამისო არც დრო აქვს და არც — სურვილი, რადგან ათასი საზრუნავი აწუხებს. რასაკვირველია, ჩვენ დავუშვით შეცდომები, მაგრამ ჩვენი შეცდომა ხომ ჩვენივე სამშობლოს ნაწილის დაცვის სურვილით გახლდათ განპირობებული. იცით თუ არა თქვენ, რომ მეოცე საუკუნის დამდეგს ცხინვალში ძირითადად, ქართველები და ებრაელები ცხოვრობდნენ. იყვნენ სომხები, მაგრამ არ იყვნენ ოსები — ორიოდ ოჯახი ცხოვრობდაო, მაგრამ რა, როგორც რუსები იტყვიან: Сила есть, ума не надо.

**— ომის დროს ქართველმა ებრაელებმა განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოხატეს საქართველოს მიმართ — ისრაელში ფართომასშტაბიანი დემონსტრაციები მოეწყო ... ისინი მატერიალურადაც დაეხმარნენ დევნილებს და ჯარისკაცებს.**

— ზემოთ ქართველი ებრაელების იდენტიფიკაციაზე ვისაუბრეთ და ვთქვით, რომ ისინი რწმენით არიან მტკიცე იუდეველნი, იუდაისტური დოგმატების მიმდევარნი და დამცველნი, ამავ დროს ქართული ყოფის ტრადიციებზე აღზრდილნი და ამდენად ქართული სულიერების მატარებელნიც. ეს აგვისტოს მოვლენებზე მათმა რეაქციამაც ცხადყო. ისრაელში იმ დღეებში არაერთი ფართომასშტაბიანი დემონსტრაცია გაიმართა.

ისრაელის პარლამენტის წევრმა აბრამ მიხაელმა (მიხელაშვილმაძ და საქართველოში ისრაელის ბიზნეს-პალატის მეთაურმა — იციკ მოშემ დიდძალი თანხა მოაგროვეს ქართველი ჯარისკაცების სამკურნალოდ. მათ 21 უმძიმესი დაჭრილი, დასახიჩრებული ჯარისკაცი, რომელთაც სერიოზული ოპერაციები სჭირდებოდათ, ისრაელში საოპერაციოდ, სამკურნალოდ და სარეაბილიტაციოდ წაიყვანეს. ეს კეთილშობილური აქცია ასი ათასობით დოლარამდე ჯდებოდა.

**— ცნობილია, რომ ისრაელში, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქართველი ებრაელები განთქმული არიან პროფესიონალიზმითა და ნიჭიერებით...**

— ბოლო ოცი წლის განმავლობაში ისრაელის პარლამენტში ყოველთვის არის წარმოდგენილი ქართველი ებრაელი. საბჭოთა კავშირიდან რეპატრირებულთაგან ისრაელის ქნესეთში პირველად ქართველი ებრაელი 1988 წელს შევიდა. ეს იყო ეფრაიმ გური — ფრიად ნიჭიერი და კეთილშობილი პიროვნება, ადამიანი, რომელსაც საქართველოს სიყვარულით უძგერს გული და არაერთხელ საქმითაც დაუმტკიცებია ეს. თებერვლის დამდეგს ისრაელში გაიმართება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. პარლამენტის არჩევნებში ოთხი ქართველი ებრაელია დასახელებული — იურისტი და ჟურნალისტი ციპი ხოტოველი, ნინო აბესაძე (რომელიც ერთ დროს პირველი არხის წამყვანი გახლდათძ, ხსენებული აბრამ მიხაელი, ასევე იცხაკ სლავინი — ქუთაისელი კაცი. ამათგან ორს საარჩევნო სიაში რეალური ადგილი უჭირავს.

ქართველი ექიმებიც სახელგანთქმული არიან, ხაიფასთან ახლოს, ონკოლოგ მერაბ სარელის (ისრაელაშვილიძ სახელი უწოდეს ტყეს, აღარაფერს ვამბობ კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილზე. იგი თანამედროვე ისრაელის თეატრების სპექტაკლების, კინოფილმების სასურველი კომპოზიტორია, ხოლო მისი ოპერა „ათასწლეულის მიჯნაზე“ უკვე მერამდენე სეზონია წარმატებით იდგმება თელ-ავივის საოპერო თეატრში. ერთი ფაქტი კარგად ცხადყოფს ამ ოპერის ღირსებას: მაისში ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 60 წლისთავთან დაკავშირებით, იტალიაში გაიმართა ისრაელის კულტურის კვირეული, საოპერო ხელოვნების მეძაში ისრაელური კულტურა იოსებ ბარდანაშვილის ოპერამ წარმოადგინა. ვგონებ, ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს მის რაობაზე. მე გვერდს ვერ ავუვლი ქართველი ებრაელი მეცნიერების: შალვა ცივიონის, დავით ბააზოვის, კოტე ლერნერის, რუბენ ენოხის, ზაზა მეგრელიშვილის, დოდო ხუხაშვილის, ზურაბ აჯიაშვილის, გერშონ ბენ ორენის, ემილ ბუზუკაშვილის და სხვათა მოღვაწეობას ისრაელის უნივერსიტეტებში, ხოლო კინორეჟისორმა დოზერ ქოსაშვილმა შექმნა ფილმი, რომელსაც ბროდვეიზე იმდენ ხანს აჩვენებდნენ, რამდენი ხანიც არც ერთი ისრაელური ფილმი არ უჩვენებიათ. ცხადია, ყველას ვერ ჩამოვთვლი. ამას გაზეთის მთელი გვერდი დასჭირდება.

**— რას ფიქრობთ პალესტინა-ისრაელის დაპირისპირებაზე? როგორ შეაფასებს მწერალი გურამ ბათიაშვილი ამ ომს?**

— არაბ ექსტრემისტთა და ებრაელთა დაპირისპირება უკურნებელი სენია. მიზეზი: ალბათ, გახსოვთ კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელში“ არის ერთი ასეთი ეპიზოდი: ქართველები არაბ მსტოვარს შეიპყრობენ, დიდი მეფე დავითი თავად მოისურვებს მსტოვართან საუბარს. მეფის შეკითხვაზე რა გინდათ თქვენ აქ, საქართველოში, რატომ მოდიხართ, რა გწადიათო, მსტოვარი თავხედურად მიუგებს: თქვენ გაქვთ დიდებული იალაღები, საძოვრები, რომლებიც ჩვენ უნდა გვეკუთნოდესო. უბედურების სათავე ისაა, რომ მათ ყველაფერზე აქვთ პრეტენზია, ყველაფერი მათ უნდა ეკუთვნოდეთ. არაბთა და ებრაელთა დაპირისპირების ფაბულა სრულიად მარტივია: თითქმის ოცსაუკუნოვანი დევნილობის, დიდი ტანჯვა-ვაების შემდეგ ებრაელი ხალხი დაუბრუნდა ადგილის დედას, რომელსაც სულიერად არც არასოდეს დაშორებია; იგი ლამის ყოველდღე, ჭირსა თუ ლხინში წარმოთქვამდა:

**„თუ დაგივიწყო, შენ, იერუშალაიმ,**
**დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა,**
**მიეკრას ჩემი ენა სასას ჩემსას,**
**თუ არ გაგიხსენო,**
**თუ არ დავაყენო იერუშალაიმი**
**ჩემი მხიარულების სათავეში“...**

ხედავთ? ჩემი მხიარულების სათავეში ჩემი დაკარგული სამშობლო თუ არ დავაყენოო! ასეც ცხოვრობდნენ, მერე,დრამატურგისა და ჟურნალისტის თეოდორ ჰერცლის სიონისტური მოძღვრების კვალდაკვალ მრავალსაუკუნოვანი ოცნება აღისრულეს — მშობლიური კერა აალორძინეს, ესენი კი ამბობენ „ეგ იალაღები ჩვენ უნდა გვეკუთნოდესო,“ ვერ იქნა და ვერ შეურიგდნენ ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენას, გაალმასებული არიან. გაადევნეთ თვალი: პალესტინაში ორი პოლიტიკურ-სამხედრო დაჯგუფება „ჰამასი“ და „ფათხი“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვის ერთმანეთს, ორივე კი ებრძვის ისრაელს. ესენი ხან შეერთდებიან და ერთად ებრძვიან ისრაელს, ხანაც ერთმანეთს იმეტებენ. ასე იყო ორიოდე წლის წინათ, როცა „ჰამასმა“ სძლია „ფათხს“ და პალესტინის პრეზიდენტი აბუ მაზენი (იგივე მაჰმუდ აბასიძ გააძევა. ამიტომ „მართავს“ იგი დღეს პალესტინას რამალაჰიდან. ღაზას სექტორში მისი ძალაუფლება არ ვრცელდება. ლიბანიდან „ჰესბოლამ“ მოუღერა რაკეტები ისრაელს.

„ჰამასიც“ და „ჰესბოლაც“ ირანიდან ფინანსდება. ალბათ, რუსეთიდანაც. ამით ვხსნი იმას, რომ „ჰამასმა“ ცნო აფხაზეთისა და ე. წ. ოსეთის დამოუკიდებლობა, თორემ „ჰამასს“ კოკოითის ხაბიზგინები არ უჭამია. ამათ პალესტინის დამოუკიდებლობა კი არ სწადიათ, ისრაელის, როგორც სახელმწიფოს, მოსპობა, თორემ ჩვენ ყველას გვახსოვს, რაბინებმა როგორი კრიტიკა, წყევლა-კრულვა დაატეხეს თავს ლეგენდარულ გენერალს, იმ წლებში პრემიერ-მინისტრს არიელ შარონს, იმის გამო, რომ პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული ახალშენები დაანგრია. დავტოვოთ ეს სოფლები, იქნებ, მართლა მიხედონ თავიანთ თავსაო. ისრაელმა პალესტინის პოლიციაც კი შეაიარაღა, თავად ებრძოლეთ თქვენს კრიმინალებსაო, შემდეგ ეს იარაღი ისრაელს მიუშვირეს.



**— კი, მაგრამ სანამ შეიძლება ერთმა პატარა ქვეყანამ — ისრაელმა ამდენს გაუძლოს? ხომ ფაქტია, რომ არც „ჰესბოლაა“ მარტო, არც „ჰამასი“, არც — „ფათხი“? შედარებით ნეიტრალურნი არიან ეგვიპტე, იორდანია, თორემ ირანის, სირიის, ლიბიის, არაბული სამყაროს სხვა ქვეყნების მტრობა ანგარიშგასაწევი ფაქტორია.**

— ეეჰ, მანამ არიან ნეიტრალურნი სანამ... უძლებს და კვლავაც გაუძლებს, რადგან ისრაელის მოსახლეობაში ძალიან მაღალია სამშობლოსადმი პასუხისმგებლობის, სამსახურისა და პროფესიონალიზმის მაჩვენებელი. მთავარი კი სხვა რამეა. შესაძლოა, უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ხშირად ვფიქრობ: იმ საფრთხის მიხედვით, რაც ისრაელს ყოველდღიურად დასტრიალებს თავს, მიკვირს როგორ უძლებს ეს სახელმწიფო ამდენს, მაგრამ ღვთის ნება? ასე მეჩვენება, რომ ღმერთი მონაწილეობს ებრაელი ხალხის ისტორიაში, კვლავაც ძალაშია აღთქმა, რომელიც უზენაესმა ებრაელ ხალხს მისცა, როცა ქანაანისაკენ ეძახდა.

**— როგორია ევროპის პოზიცია?**

— ევროპის ლიდერები ამ კონფლიქტში ისრაელს არ აკრიტიკებდნენ. ყველამ იცის, რომ რამდენიმე წელიწადია „ჰამასი“ ბომბავს ისრაელის ქალაქებს. დიახ, ევროპის ლიდერები თავს იკავებენ ისრაელის კრიტიკისგან, მაგრამ მედიაში მაინც ლაპარაკობენ, რომ ისრაელის არმია ბომბავს მეჩეთს, სკოლებს.სხვათა შორის, ჩვენი, ქართული ტელევიზიაც მოთქმით აუწყებდა მაყურებელს ისრაელის დაზოგვას ჰამასელთა ამდენი და ამდენი ბავშვი შეეწირაო და ერთხელაც არ უხსენებია ის, რომ რომ ბოლო წლების განმავლობაში „ჰამასის“ ტერაქტების შედეგად დაიღუპა 123 ისრაელელი ბავშვი. მე მხოლოდ 1-17 წლის ასაკის ბავშვებზე მოგახსენებთ — მოზრდილთა ციფრი კიდევ უფრო შემზარავია. რატომ ბომბავს ისრაელი მეჩეთს, სკოლას, ამას არავინ ამბობს. იარაღი, რომლითაც „ჰამასი“ ბომბავს ისრაელის ქალაქებს, თვითნაკეთია და მეჩეთი, სკოლები იარაღის დასამზადებელ საამქროებად და საწყობებად გადააქციეს. ევროპაზე მეკითხებოდით:

დღევანდელი პარიზი სავსეა არაბებით. ევროპელი ქალები თავს იკავებენ მშობიარობისგან. მუსლიმები კი, მოგეხსენებათ, ინტენსიურად მრავლდებიან. ორიოდ დემოგრაფიული მონაცემი: მუსლიმურ ოჯახს საშუალოდ ჰყავს 6 შვილი. მუსლიმურ სამყაროში 40-44 წლის 1000 მამაკაცს ჰყავს 4.300 ვაჟი, აშშ-ში 1.000, ხოლო დიდ ბრიტანეთში — 670 ვაჟი. თუ ევროპამ დროულად არ იფიქრა ხვალინდელ დღეზე, თუ ასე განვითარდა მოვლენები, შესაძლოა, 40-50 წლის შემდეგ მსოფლიოს რუკაზე გაჩნდეს საფრანგეთის ისლამური რესპუბლიკა, ბელგიის ისლამური რესპუბლიკა და ა. შ. ევროპის ქალაქებში ისე კატასტროფულად იზრდება არაბული მოსახლეობა, რომ აბორიგენებზე უკვე ზეგავლენას ახდენენ. ისინი დღეს ევროპაში დემოგრაფიულ ომს იგებენ და საუკუნოვან ოცნებას ისრულებენ — იმას აკეთებენ, რაც ვერ მოახერხა არაბულმა ხალიფატმა, ოტომანთა იმპერიამ, პანთურქიზმის იდეოლოგიამ, აკეთებენ არა ზარბაზნებით, დემოგრაფიული წონასწორობის დარღვევით, „დემოკრატიით“, იმის გამო, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფალი გადაადგილების უფლება, ევროპა მაჰმადიანური სამყაროს რკალში ექცევა.

**— ასეთი დასკვნა ნაჩქარევი ხომ არ არის?**

— ღმერთმა ინებოს, ასე იყოს, მე სიამოვნებით დაგეთანხმებით, მაგრამ ისიც გაიხსენეთ, შარშან რა დღე აწიეს პარიზს — ლამის ააოხრეს ქალაქი.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ ახლახან ჩამოხვედით ისრაელიდან — როგორია მოსახლეობის განწყობა?**

— დიახ, ჩემთვის ძალიან ძვირფასი, ახლობელი ადამიანი გარდაიცვალა და ახალი წლის დღეებში იქ გახლდით. ხალხი ომსა და ნგრევას ძალიან განიცდიდა, მაგრამ გამაოცა სიმშვიდემ. ბევრი ქართველი ებრაელი იბრძოდა ღაზაში, თუნდაც ძველი აღთქმის ქართულად მთარგმნელის — შალომ დავითის ვაჟი. ისრაელის არმია, მოსახლეობა ძალიან ორგანიზებულია.

3 იანვარი შაბათი გახლდათ, როგორც კი შაბათი გაბრძანდა, საღამოს ექვსის მერე, გამოცხადდა 10 ათასი რეზერვისტის მობილიზაცია. ღამის 12 საათისათვის ყოველი რეზერვისტი იქ იყო, სადაც უნდა ყოფილიყვნენ და ფეხოსანთა შეტევაც დაიწყო. შინ თუ მანქანაში ყველა რადიოს უსმენდა, ტელევიზია კი ფეხოსანთა შეტევას პირდაპირი ეთერით გადმოსცემდა,ადამიანები ოპერატიულად იღებდნენ ინფორმაციას. ამიტომაა ისრაელი ძალიან დინამიური ქვეყანა, ყველაფერი ახლა, ამ წუთში, ადამიანთა თვალწინ ხდება.თავად განსაჯეთ:პრემიერ-მინისტრზე ვიღაცამ ჩვენება მისცა, პრემიერი რამდენჯერმე პოლიციაში დაიბარეს და დაკითხეს, მერე გადადგა — გამოძიებას ხელი არ შეეშალოსო, არჩევნებამდე კი,ლამის ექვსი თვეა, მაინც მთავრობის მეთაურია.ეს იმას ადასტურებს, რომ ქვეყანას მართავს კანონი.

**— ისრაელმა შეტევა შეწყვიტა. რა იქნება ხვალ?**

— ეს დაპირისპირება უკურნებელი სენია-მეთქი, ვთქვი. იქნება ის, რაც იყო. გადავშალოთ დიდი მეფსალმუნე მეფის — დავითის ცხოვრების წიგნი. „შეუტია დავითმა ფილისტიმელებს და ჩაყარა ზღვაში“, მას შემდეგ მხოლოდ საბრძოლო ტექნიკა შეიცვალა, სულისკვეთება,მეზობელთან დამოკიდებულება არა.ეს არის სინათლისა და სიბნელის მარადიული ომი. ამიტომ ისრაელი უნდა იყოს ძლიერი. მას სხვა გზა არა აქვს.ეს არის ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი გზა.

**— დიდი მადლობა ინტერვიუსათვის.**

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 12.

ცა ხელისგულზე



# ვინ გადაარჩენს საქართველოს ასტრონომიას?

**ასეთი იყო თემა პრეს-კონფერენციისა, რომელიც გაიმართა „რია ნოვოსტის“ თბილისის საერთაშორისო პრეს-ცენტრში.**

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2009 წელი ასტრონომიის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. მან „იუნესკო“ წამყვან დაწესებულებად და მისი ჩატარების კოორდინატორად დანიშნა. ამასთან დაკავშირებით „იუნესკოში“ ასტრონომიის საერთაშორისო წელს უკვე სტარტი მიეცა.

2009 წლის განმავლობაში მრავალრიცხოვანი ღონისძიება ჩატარდება, რომელიც მიმართული იქნება ასტრონომიულ მეცნიერებათა მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და ახალი ცოდნის ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობისკენ. ასტრონომიის საერთაშორისო წლის მსვლელობისას აღინიშნება ასევე პირველი დაკვირვებების 400 წლისთავი, რომელიც გალილეიმ ასტრონომიული ჭოგრიტის – ტელესკოპის საშუალებით აწარმოა.

„რია ნოვოსტის“ თბილისის საერთაშორისო პრესცენტრში წამყვანმა ქართველმა მეცნიერ-ასტრონომებმა ჟურნალისტებს საქართველოში ასტრონომიის განვითარების თაობაზე საკუთარი აზრები გაუზიარეს და ისაუბრეს ჩვენში ამ სფეროში არსებული პრობლემების შესახებ.

პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ: როლან კილაძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ყოფილი დირექტორი; ჯუმბერ ლომინაძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ყოფილი დირექტორი; გია ჯავახიშვილი – აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მოქმედი დირექტორი.

ქართველი ასტრონომები სკოლებსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასტრონომიის სწავლების აღდგენის წინადადებით, ასევე, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიისთვის დამოუკიდებელი სტატუსის დაბრუნების მოწოდებით გამოდიან.

– დღეს საქართველოს სკოლებში ასტრონომიას არ ასწავლიან, – განაცხადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა როლან კილაძემ. – გარდა ამისა, გაუქმებულია ასტრონომიის კათედრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ობსერვატორიამ დამოუკიდებლობა დაკარგა, იგი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიუერთეს. ყოველივე ამან იქამდე მიგვიყვანა, რომ ახალგაზრდობამ განათლების ამ ძალიან მნიშვნელოვანი სფეროს შესახებ არაფერი იცის.

საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა ჯუმბერ ლომინაძემ ასტრონომებს, რომლებიც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც აგრძელებდნენ მუშაობას, გმირები უწოდა.

მან გააკრიტიკა რეფორმა, რომლის თანახმადაც, ობსერვატორიამ დამოუკიდებლობა დაკარგა. მისი თქმით, ახალგაზრდობამ, რომელსაც საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება წარმოადგენს, სანამ მსგავს გადაწყვეტილებებს მიიღებს, გამოცდილ მეცნიერებს რჩევა უნდა ჰკითხოს.

საბედნიეროდ, როგორც ობსერვატორიის ამჟამინდელმა დირექტორმა გია ჯავახიშვილმა განაცხადა, გასულ წელს 14 შენობის რეაბილიტაცია ჩატარდა და ახალი აღჭურვილობა იქნა შეძენილი, რაზეც 2 მილიონ ლარზე მეტი იყო გამოყოფილი.

ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ მიუხედავად პრობლემებისა, საქართველოში ასტრონომიის მომავალს მაინც ოპტიმიზმით უყურებს.

**მურად ალაშვილი.**
**ავტორის** ფოტო.

პარტიებსა და მოძრაობებში

# საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის 2008 წლის საფინანსო დეკლარაცია

**მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ „საქართველოს ორგანული კანონის“ შესაბამისად პარტიის საფინანსო დეკლარაციაში ასახულია:**

**1. პარტიის წლიური შემოსავალი – 0.**

**ა) საწევრო შემონატანების ოდენობა – 0;**

**ბ) შემოწირულობების ოდენობა – 0;**

**გ) სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები – 0;**

**დ) შემოწირულობების განმახორციელებელი ფიზიკური და იურიდიული პირები – 0 (არ არსებობენ);**

**ე) საგამომცემლო და პარტიის მიერ სხვადასხვა ღონისძიების მოწყობით მიღებული თანხები – 0.**

**2. პარტიის გასავალი – 0.**

**ა) სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებაზე, მივლინებებზე და სხვა გაწეული თანხები – 0.**

**3. ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში – 0.**

**ა) კუთვნილი შენობა-ნაგებობები – 0 (არ გაგვაჩნია);**

**ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და სახეობა, მათი საერთო რაოდენობის ღირებულება – 0 (არ გაგვაჩნია);**

**გ) საბანკო დაწესებულებებში რიცხული თანხების ოდენობა – 0 (არ გაგვაჩნია);**

**4. 2008 წელს ყველა სახის არჩევნებში მიღებული მონაწილეობა – 0 (არ მიგვიღია).**

ეროვნული იდეოლოგიის პარტიის თავმჯდომარე
**ზურაბ გაგნიძე**

## აუდიტორული დასკვნა

### საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის თავმჯდომარეს, ბატონ ზურაბ გაგნიძეს

**ინდივიდუალურმა აუდიტორმა დიმიტრი კაჯილაშვილმა, საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის თავმჯდომარის, ბატონ ზურაბ გაგნიძის მომართვის საფუძველზე მოვახდინე საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის აუდიტი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.**

**მოცემული ანგარიში ასახავს რეალურ სურათს მთლიანი მოცულობით მხოლოდ ზემოაღნიშნული მიზნებისთვის და არ ისახავს არავითარ სხვა მიზანს.**

**წარმოდგენილი დოკუმენტების სისრულესა და უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება „დამკვეთს“. აუდიტორი პასუხისმგებლობას კისრულობს წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ქონებრივი მდგომარეობის განსაზღვრის სისწორეზე.**

**შეფასება ჩავატარე საზოგადოდ მიღებული აუდიტური სტანდარტების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

**2008 წლის წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ პარტიას არ მიუღია დაფინანსება ბიუჯეტიდან, არ მიუღია შემოწირულობები, არ შემოსულა საწევრო შენატანები, პარტიის მიერ გახსნილ საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშზე არ ჰქონია თანხების მოძრაობას ადგილი, არ გააჩნია შენობა-ნაგებობები და არ გააჩნია სატრანსპორტო საშუალებანი.**

**საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის მიერ წარმოდგენილი საფინანსო დეკლარაცია 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და თანდართული დოკუმენტები საკმარისი სისრულით ასახავენ პარტიის ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობას.**

ინდივიდუალური აუდიტორი
**დიმიტრი კაჯილაშვილი**

ანალიზი

***მიუხედავად** იმისა, რომ საქართველოს მიმართ რუსეთის შარშანდელმა აგვისტოს აგრესიამ, ასევე შემდგომმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს ქვეყნის ეკონომიკას, საბანკო-ფინანსურ სისტემას, უარყოფითად იმოქმედეს ზოგადად საინვესტიციო გარემოზე, რომ არაფერი ვთქვათ ტერიტორიების დაკარგვასა და უამრავ ლტოლვილზე (გაეროს ლტოლვილთა საქმეთა სამმართველოს მთავარი კომისრის მონაცემებით 160 ათასი კაცი) და ზნეობრივ ზიანზე, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic) მსოფლიო წამყვან აკადემიებსა და კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შედეგად მომზადებული ანგარიშის მიხედვით, კონკურენტუნარიანობის მხრივ საქართველო ისევე 90-ე ადგილზეა, რომელიც 2007 წელს ეკავა. ყოველწლიურ ანგარიშში, რომელსაც „ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“ ეწოდება, შეფასებულია მსოფლიოს 131 ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების შესაძლებლობები.*

# შუა გზაში გაჩერების საფრთხე

ამ მხრივ, საგულისხმოა ერთი კონკრეტული მაგალითი. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო „ფითჩმა“ (Fitch Ratingsმ) თავის დროზე მიუთითა კონფლიქტის მიზეზით საქართველოს ეკონომიკისთვის გაზრდილ რისკებზე.

– საქართველოს ეკონომიკის მდგრადობის მთელი რიგი ნიშნისა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან პოტენციური მხარდაჭერის მიუხედავად, კონფლიქტთან დაკავშირებით აღვნიშნავთ ეკონომიკისა და კრედიტუნარიანობის რისკების შენარჩუნებას, – განაცხადა, კერძოდ, „ფითჩის“ ევროპის განვითარებად ბაზრებზე სუვერენული რეიტინგების ანალიტიკური ჯგუფის თავკაცმა ედვარდ პარკერმა. „ფითჩის“ ექსპერები ასევე აღნიშნავენ, რომ კონფლიქტის ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება მომავალში ქვეყნის მიმართ სარეიტინგო მოქმედებების მხრივ. ასევე აცხადებენ, რომ საქართველოში მიმდინარე ოპერაციების მნიშვნელოვანი უარყოფითი სალდო, ბანკებში კლიენტების დეპოზიტების შემცირების საერთო ფონზე, ქვეყნის ეკონომიკის კიდევ ერთ პოტენციურ „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენს. ამასთან, მიუთითებენ იმასაც, რომ **საქმიანი აქტივობის შენელება და ინფრასტრუქტურისთვის მიყენებული გარკვეული ზარალი ასევე ნეგატიურად იმოქმედებს წლეულს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაზე.**



აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არსებულ ნეგატიურ მომენტებთან ერთად არსებობს ეკონომიკის კონფლიქტამდელ მდგომარეობამდე დროულად ამოწევის გარკვეული პერსპექტივები. კერძოდ, **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRDძ საქართველოს ეკონომიკაში წლეულს 350 მილიონ დოლარს დააბანდებს, საიდანაც ძირითადი ინვესტიციები ფინანსურ სექტორში, ენერგეტიკასა და ტრანსპორტში მიიმართება.** ამჟამად ბანკმა უკვე დაიწყო ჩვენში ექვსი პროექტის განხორციელება, რომელთა საერთო ბიუჯეტია 53 მილიონი დოლარი, ხოლო გაისად საქართველოში EBRD-ს ინვესტიციების მოცულობა 300 მილიონ დოლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ **აქამდე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი საქართველოს აფასებდა „წარმოების ფაქტორებზე დაფუძნებულ ქვეყნად“, ხოლო ამჟამინდელი შეფასებით იგი ფასდება, როგორც „ეფექტიან ეკონომიკაზე“ გადამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა.**

ჩვენი აზრით, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ცნობა იმის თაობაზე, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების აზრით, რომელსაც მრავალი ქართველი ეკონომისტი იზიარებს, ამ თემაზე შემდგომში კიდევ გვექნება საუბარი, **ბაზრისა და საბაზრო აქტივობის გამაძლიერებელ ფაქტორებად უნდა მივიჩნიოთ უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება და ტრენინგები, ინოვაციები, წარმოების მოდერნიზაცია, ზოგიერთი სხვა.**

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომისტების აზრით, **თუ 2007 წელს საქართველოში ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები იყო ფინანსური ხელმისაწვდომლობა; არაეფექტიანი სამთავრობო ბიუროკრატია; პოლიტიკური არასტაბილურობა და სათანადო ინფრასტრუქტურის უქონლობა,** ფორუმის 2008-2009 წ.წ. ანგარიშის მიხედვით, ნეგატიურ ფაქტორთა ხუთეული ასეთი იქნება: ეკონომიკური პოლიტიკის არასტაბილურობა; ინფლაცია; არაკვალიფიციური მუშახელი; ფინანსური ხელმიუწვდომლობა და სათანადო ინფრასტრუქტურის უკმარისობა.

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ისევე როგორც შარშან და შარშანწინ, კორუფცია საქართველოში ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელ მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება. **ასევე აქტუალურია ინტელექტუალური და კერძო საკუთრების უფლების, სახელმწიფო პოლიტიკის გამჭვირვალობისა და ზოგიერთი სხვა პრობლემა.**

საქართველოს ეკონომიკის ძლიერ მხარეებად ექსპერტები მიიჩნევენ **ინვესტიციების დაცვას (რაც ქართველ სპეციალისტებში სამართლიან სკეფსისს იწვევს), რკინიგზის ინფრასტრუქტურა და სხვ.** სუსტ მხარეებად აღიარებენ ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას, სასამართლო სისტემის ხელისუფლებისადმი მორჩილებას, ინფრასტრუქტურის ცუდ მდგომარეობასა და სხვ.

უნდა ითქვას, რომ, რეკომენდაციების თანახმად, **საქართველომ მაღალი ტემპით უნდა განაგრძოს რეფორმების პროცესი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ გზაზე გაჩერება მომაკვდინებელია, და, ამასთან ერთად, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ინფრასტრუქტურის (გზების, წყალმომარაგების სისტემების, კომუნიკაციების, ენერგოსისტემისა და სხვ.) რეაბილიტაცია და მშენებლობა.**

**ოთარ ტურაბელიძე**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**



# რუსეთი ემუქრება საქართველოს ექსპერტთა მიღებაზე უარის თქმის გამო

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ „პოლიტიკური შედეგების გარეშე“ ვერ დარჩება საქართველოს უარი — სამხედრო ექსპერტები დაუშვას თავის ტერიტორიაზე.**

უფრო ადრე თბილისმა განაცხადა, რომ არ დაუშვებს რუსეთის ინსპექტორებს თავის სამხედრო ობიექტებზე, ამასთან დაიმოწმა „ფორსმაჟორული გარემოებანი“, რომლებიც იმით გამოიხატება, რომ გრძელდება რუსეთის ჯარების ყოფნა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

მოსკოვმა მოითხოვა თბილისისგან, რომ მიეღო რუსეთის სამხედრო ინსპექცია ნდობისა და უშიშროების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მოლაპარაკების ვენის 1999 წლის დოკუმენტის საფუძველზე.

დოკუმენტი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნისგან მოითხოვს რეგულარულად გაუცვალონ ერთმანეთს დაწვრილებითი ინფორმაცია თავიანთი შეიარაღებული ძალების შესახებ. ამ დოკუმენტში ნათქვამია აგრეთვე, რომ თითოეულ ხელმომწერ სახელმწიფოს აქვს უფლება მოსთხოვოს რომელიც გნებავთ სხვა სახელმწიფოს იმის შესაძლებლობა, რომ განახორციელოს ყოველი სამხედრო ობიექტის ინსპექცია ყოველ დროს, მაგრამ მხოლოდ ერთხელ კალენდარულ წელს.

სახელმწიფოს, რომელსაც ეგზავნება მსგავსი მოთხოვნა, აქვს უფლება უარი თქვას ფორსმაჟორულ გარემოებათა შემთხვევაში. სახელდობრ რა იგულისხმება ფორსმაჟორული გარემოებებით, ტექსტში განმარტებული არ არის.

„თუ მასპინძელ სახელმწიფოს არ აქვს ინსპექციის მიღების საშუალება ფორსმაჟორულ გარემოებათა გამო, იგი დაუყოვნებლივ წარმოადგენს დიპლომატიური და სხვა ოფიციალური არხებით მიუღებლობის მიზეზთა დეტალურ განმარტებას და, შეძლებისამებრ, აღნიშნავს იმ გარემოებათა არსებობის სავარაუდო ხანგრძლივობას, რომლებიც იძლევიან ფორსმაჟორული სიტუაციის დამოწმების საფუძველს“, — ნათქვამია ვენის დოკუმენტის 78.2 პუნქტში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტზე გამოქვეყნებულ განცხადებაში განმარტებულია, რომ მოსკოვმა საქართველოს 19 და 21 იანვარს მიმართა მოთხოვნით ქართული სამხედრო ობიექტების ინსპექციის მოწყობის შესახებ. თბილისმა უპასუხა: ის, რასაც იგი უწოდებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაციას, არის ფორსმაჟორული გარემოება, რომელიც გამორიცხავს ინსპექციის მოწყობას.

ამავე დროს, როგორც პოლიტიკურ ტექნოლოგიათა ცენტრის ანალიტიკოსს სერგეი მიხეევს მიაჩნია, ამ სიტუაციისთვის „საერთაშორისო სამართალი ერთობ სუსტად გამოიყენება“.

„ფორმალურად რუსეთმა ცნო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და სულაც არ მიაჩნია, რომ ეწევა მათ ოკუპაციას. იქ მყოფი ჯარები კი ფორმალურად არიან ამ ქვეყნების მთავრობათა მიწვევით“, — თქვა ექსპერტმა ბი-ბი-სის რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს პასუხი შეაფასა როგორც მომიზეზება და საბაბი, რათა მიჩქმალოს სიმართლე. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა აზრით, უფრო ადრე მათი ქართველი კოლეგები, პირიქით, ყოველნაირად მიესალმებოდნენ სამხედრო ინსპექციებს.

„2008 წლის 17-18 დეკემბერს ჟენევაში გამართულ შეხვედრაზე (...ქ საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გ.ბოკერია დაბეჯითებით სთავაზობდა ჩვენს ექსპერტებს, ჩასულიყვნენ საქართველოში, რათა ყველაფერი შეემოწმებინათ (...ქ“, — ნათქვამია საგარეოპოლიტიკური უწყების განცხადებაში.

ამრიგად, დაასკვნის რუსეთის მხარე, „თბილისის გადაწყვეტილება, არ დაუშვას რუსეთის ინსპექტორები, თვალნათლივ ცხადყოფს, რომ (...ქ საქართველოს აქვს, რაც უნდა დამალოს თავისი სამხედრო ქვედანაყოფების დისლოკაციასთან დაკავშირებით“.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ 13 აგვისტოს დაარწმუნა რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი, შეეჩერებინა საქართველოზე შეტევა, რომელიც მოჰყვა ქართული არმიის ცდას, დაეკავებინა ცხინვალი და უკან ჩამოიტოვა ორი მეამბოხე რესპუბლიკის საზღვრები. როგორც ბი-ბი-სის რუსული სამსახურის ეთერში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განმარტა, თბილისი მოელოდა, რომ რუსეთი მიმართავდა მას ასეთი თხოვნით.

„ჩვენ უკვე მზად გვქონდა პასუხი. ჩვენ ვიცოდით, რომ ადრე თუ გვიან ისინი (რუსეთიქ ამ ღონისძიებებს განახორციელებდნენ“, — განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა.

როგორც მან თქვა, საქართველოს მართლაც რომ ჰქონდეს დასამალი, იგი დაიმოწმებდა ფორს-მაჟორს ყველა ქვეყანასთან და არა მარტო რუსეთთან ურთიერთობაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ამ მოვლენების შესახებ ნათქვამია, რომ რუსეთმა „განახორციელა ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა საქართველოს ტერიტორიის განუყრელი ნაწილების ოკუპაცია, ადამიანის უფლებათა მასობრივი და უხეში დარღვევები, მსხვერპლი მშვიდობიან მცხოვრებთა შორის“ და „ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა“.

„ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს არავითარი გარანტია იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია არ შეეცდება კვლავ განახორციელოს აგრესიული მოქმედებანი და შეფასებითი ვიზიტის ან ინსპექციის დროს მოპოვებული ინფორმაცია არ იქნება გამოყენებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საზიანოდ“, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

კონფლიქტის შემდეგ რუსეთი მოუწოდებს ქვეყნებს შემოიღონ საქართველოსთვის იარაღის მიწოდების საერთაშორისო ემბარგო.

ამ დღეებში რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა აუკრძალა რუსეთის კომპანიებს იარაღი მიაწოდონ საქართველოს და გასცა განკარგულება ხელი შეუშალონ იქ მესამე ქვეყნების გავლით სამხედრო პროდუქციის მოხვედრას.

BBC RUSSIAN.com

# ბელორუსია სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ცნობის საკითხს 2 აპრილს განიხილავს

**როგორც ბელორუსიის ეროვნული კრების წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი ივანოვმა განაცხადა, ბელორუსიის პარლამენტი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხს 2 აპრილს განიხილავს. შეგახსენებთ, რომ 26 აგვისტოს რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ცნეს რუსეთმა, შემდეგ კი ნიკარაგუამ.**

„ეს საკითხი განიხილება წარმომადგენელთა პალატის დეპუტატებს შორის. გადაწყვეტილება მიღებულ იქნება 2 აპრილის სესიაზე. ჩვენ ვმართავთ დიალოგს წარმომადგენელთა პალატის დეპუტატებს შორის, და, როცა მიღებულ იქნება გადაწყვეტილება, ჩვენ მას გამოვაცხადებთ“, — თქვა ბელორუსმა პარლამენტარმა იმ შედეგებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე, რომელიც მოჰყვა კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა პარლამენტების დელეგაციათა ხელმძღვანელების შეხვედრას ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეაში.



2008 წლის 28 აგვისტოს ბელორუსიის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს გაუგზავნა წერილი, რომელშიც დაარწმუნა ქვეყნის მეთაური, რომ მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციის ინიციატივას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობასთან დაკავშირებით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბელორუსია რჩება რუსეთის საიმედო და თანამიმდევარ მოკავშირედ. ლუკაშენკომ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი მოიწონებს ცხინვალისა და სოხუმის თხოვნას ცნობის შესახებ, იგი მზად არის ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტს. 3 სექტემბერს ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ განაცხადა, რომ ცენტრალური ამერიკის ქვეყნის მთავრობამ ცნო აფაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ოქტომბრის დამდეგს სომალის ხელისუფლებამაც განაცხადეს, რომ აპირებენ ცნონ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

შეგახსენებთ, რომ კონფლიქტი სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის გამწვავდა 2008 წლის 7 აგვისტოს ღამით, როცა ქართულმა ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს ცხინვალს. თავდასხმის შედეგად ქალაქი მთლიანად დაინგრა, რესპუბლიკა დატოვა 34 ათასზე მეტმა ლტოლვილმა, 2 ათასზე მეტი დაიღუპა.

კონფლიქტის კვალობაზე სამხრეთმა ოსეთმა გადაწყვიტა მიაღწიოს თავისი დამოუკიდებლობის ცნობას, მაგრამ საქართველოს იგი თავის შემადგენელ ნაწილად მიაჩნია და სთავაზობს ფართო ავტონომიას. საქართველომ დაკარგა კონტროლი ამ ტერიტორიისადმი ჯერ კიდევ 1991 წელს. 20 აგვისტოს აფხაზეთის პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის მიმართვა რესპუბლიკის სუვერენიტეტის ცნობის შესახებ.

26 აგვისტოს დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. 27 აგვისტოს ნატოს საბჭომ ელჩების დონეზე ბრიუსელში გეგმური სხდომის შედეგებისადმი მიძღვნილ ერთობლივ განცხადებაში დაგმო რუსეთის გადაწყვეტილება რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ და მოუწოდა გააუქმოს იგი. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნატოს საბჭო სრულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს.

Коммерсантъ

**თავისუფლება „გადამდები" ყოფილა!..**

# რა ხდება თათრეთში?

## ბუმერანგად უბრუნდებათ



**ჩრდილოეთ კავკასიის რიგ მხარეებში რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ტალღა ხან ჩეჩნეთს გადაუვლის, ხან ინგუშეთს, ხანაც დაღესტნის აულებს. მოსკოვის რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებულებს რუსული პრესა ტერორისტებად ნათლავს. დასავლეთში კი, ისევე, როგორც ჩვენში, მათ თავიანთი მიწა-წყლის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებს უწოდებენ.**

**თავისუფლება „გადამდები" ყოფილა.**

ახლა მსოფლიო გაფაციცებით ცდილობს თავი დააღწიოს ეკონომიკურ კრიზისს, ამ დღეებში კი რუსეთმა ისეთი ოსტატობით ჩაუტარა უკრაინას გაზის შანტაჟის „მასტერკლასი" (თუმცა არა გამოუვიდა რაძ, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობას დიდი მნიშვნელობის ფაქტი გამორჩა: თათრეთში, ნაბერეჟნიე ჩელნიში, გაიმართა მილიმეჯლისის (საზოგადოებრივი ნაციონალური პარლამენტისძ სესია, რომელზეც აირჩიეს „თათარი ხალხის მთავრობა". დოკუმენტში მითითებულია, რომ ეს „მთავრობა დევნილობაშია". მის თავმჯდომარედ დაამტკიცეს ამჟამად აშშ-ში მცხოვრები მეცნიერ-ქიმიკოსი ვილი მირზოიანოვი. მასვე დაავალეს აცნობოს ყველა ქვეყნის ხელმძღვანელს, ასევე გაეროს, თათარი ხალხის მილიმეჯლისის მიმართვა – ცნონ თათრეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტი.

როგორც „ნოვაია გაზეტა" იუწყება, ვიდრე ამის შესახებ ევროპის ქვეყნებსა და ოკეანისგაღმა გაიგებდნენ, ჯერ თათრეთის უშიშროებამ გაიგო და სასწრაფო ზომებიც გაატარა: დააკავეს მილიმეჯლისის თავმჯდომარე მწერალი ფაუზია ბაირამოვა და მისი თანამოაზრეები. რა თქმა უნდა, მათ მოუწევთ ახსნა-განმარტების მიცემა, რის გამო არიან ისინი „სასოწარკვეთამდე მისული", რას ნიშნავს „თათრების წინასწარგამიზნული გენოციდი", „რუსული კოლონიალიზმი". ფაუზია ბაირამოვასი და მისი თანამებრძოლების პლატფორმა კი მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: „მეხუთე საუკუნე მიდის, თავისუფლება კი არ ჩანს"...

**გურამ ვაშაკიძე**

**ვითარება**

# ყვადო დროებითობა

## „სამგზის" რექტორის ნამოღვაწარი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში არსებული პრობლემური ვითარების გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2008 წლის 15 ოქტომბრის ბრძანების შესაბამისად, გენერალური ინსპექციის მთავარმა სპეციალისტებმა ზ. ქურდოვანიძემ, ბ. ხმალაძემ, უფროსმა სპეციალისტმა ლ. ხვედელიძემ შეამოწმეს ამ ინსტიტუტის მიერ 2007 წლის 1 აგვისტოდან 2008 წლის 1 ოქტომბრამდე გაწეული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა.**

შემოწმების საბაბი გახდა ამ ინსტიტუტის თანამშრომლების დაპირისპირება ამავე ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელთან **თეონა ხუფენიასთან,** რომელიც ასევე დროებით ასრულებდა რექტორის მოვალეობებს ჯერ თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალში, შემდეგ ზუგდიდის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთა ბაზებზეც ჩამოყალიბდა შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტი.

შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ „სამგზის" რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლის მუშაობის პერიოდში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დარღვევებს: მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან არ იყო გაფორმებული სათანადო ხელშეკრულებები, მივლინების თანხები გაცემულია არასწორად. კერძოდ, არ არის მითითებული ბრძანების ნომრები, მივლინების ვადები, არ არის წასვლა-ჩამოსვლის დამადასტურებელი ჩანაწერები, სამივლინებო თანხები გაცემულია განმეორებით ერთიდაიგივე მივლინებებზე, ზედმეტადაა ანაზღაურებული სადღელამისო ხარჯები. შესყიდვების გეგმები შემუშავებული და შედგენილია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნების დარღვევით. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციები შევსებულია არასწორად. სტუდენტებზე არ არის გახსნილი ბარათები სწავლის საფასურის გადახდის მდგომარეობის, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შესახებ. ინსტიტუტის კუთვნილი ძირითადი საშუალებების აღრიცხვა არ წარმოებს შესაბამის ბარათებზე. დადგინდა, რომ შესრულებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა ღირებულება გაზრდილია 172.895 ლარით.

ასეთია ამ დარღვევათა არასრული ჩამონათვალი, რომელიც აღრიცხულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის ვასილ გედევანიშვილის მოხსენებით ბარათში, რომლითაც მან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბატონ ნიკა გვარამიას მიმართა. ამ დარღვევებს „შეეწირნენ" მხოლოდ მთავარი ბუღალტერი და ადმინისტრაციის უფროსი, რასაც ეთანხმება ბატონი ნიკა გვარამიაც და რასაც მოწმობს მის მიერ მოხსენებით ბარათზე ხელმოწერილი რეზოლუცია – „ვეთანხმები".

ერთი მთავარი საკითხიც – **შრომითი დავები,** რომელიც ვერა და ვერ განიხილა და გადაწყვიტა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის მიერ ინსტიტუტის აკადემიურ პერსონალთან, 30-მდე პროფესორ-მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გამო, ინსტიტუტის აკადემიურ საბჭოში არ არსებობს ის რაოდენობა წევრებისა, რომელიც სავალდებულოა ინსტიტუტის მართვის ორგანოების არჩევნების ჩასატარებლად. რექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის 2008 წლის 24 ივლისის ბრძანებით გამოცხადებული რექტორის არჩევნები ჩაიშალა. შესაბამისად ინსტიტუტს ახლაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დანიშნული რექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი. ეს „დროებითობა" კი ორი წელია გრძელდება და კიდევ რამდენ ხანს გასტანს, გაურკვეველია.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდიდან.**

**SIC!**

**დღეს მსოფლიოსთვის სიახლეს აღარ წარმოადგენს, რომ რფ-ს მიერ აღიარებული საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე შექმნილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისთვის უფრო დიდი თავსატეხია, ვიდრე მისდამი ვასალურ მდგომარეობაში მყოფი „ქვეყნები".**

**ყველასათვის ცნობილია, რომ თავის დროზე „მშვიდობისმყოფლებად" მონათლული რუსეთის ჯარი თავიანთ სამოქმედო ზონაში კონტრაბანდით, ყაჩაღთა მფარველობით უფრო იყვნენ დაკავებულნი, ვიდრე მშვიდობის დამყარების მცდელობით.**

# აფხაზეთს კრიმინალები ხრავენ...

## ჩვენმა ხელისუფლებამ აფხაზეთის ლეგიტიმური სამართალდამცავი სტრუქტურების გაუქმებით მთავარი არტერია გადაიჭრა...

### რატომ არ ტეხდა განგაშს ჩვენი პოლიტიკური ელიტა?

**აფხაზეთის დევნილობაში მყოფი ყოფილი უშიშროების სამინისტროს თანამშრომლის როლანდ ძაძამიას განმარტებით, აფხაზეთში, ფაქტობრივად, უმართავი კრიმინოგენური ვითარებაა. არნახულად გაიზარდა მძიმე დანაშაულები. აფხაზეთის დე ფაქტო შსს-ს მონაცემებით, ბოლო 10 წლის მანძილზე ქვეყანაში აღნუსხულია 216 გატაცების შემთხვევა. მათგან 99-ია გახსნილი. როგორც ირკვევა, გამტაცებელთაგან მხოლოდ ერთი დაისაჯა 15-წლიანი პატიმრობით. დანარჩენებს 10 წელზე მეტი არ მისჯიათ.**

დასასვენებლად შვილთან ერთად ჩასულ საშუალო ბიზნესის წარმომადგენელ მოსკოველ ელენე კოსოროგოვას სანატორიუმ „ნაართთან" 18 წლის ვაჟი გასტაცეს. ქალს შვილის გამოსასყიდად 50 ათასი დოლარი მოსთხოვეს, თან მკაცრად გააფრთხილეს, რომ მომხდარის შესახებ მილიციაში არ განეცხადებინა. დედა მაინც მივიდა სამართალდამცავებთან, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია. გამწარებული კოსოროგოვა იძულებული გახდა თავისი ხარჯებით ჩამოეყვანა გამომძიებელი მოსკოვიდან. ჩამოსული თავიდანვე სწორ გზას დაადგა. დააკავეს ერთ-ერთი გამტაცებელი აფხაზი ეროვნების ლაგვილავა.



ბანდის ერთ-ერთი წევრის დაკავებულიდან მეორე დღეს რუს გამომძიებელს სასტუმროში მუქარის წერილი გაუგზანეს – ხელი აეღო გამოძიებაზე და სახლში წასულიყო. კიდევ ერთი დღის შემდეგ სასტუმროში დაცხრილეს გამომძიებლის ოთახის ფანჯრები, იგი იძულებული გახდა ისევ მოსკოვში დაბრუნებულიყო. ამის პარალელურად გამტაცებლებმა კოსოროგოვას ვაჟის გამოსასყიდი 50 ათასიდან 150-მდე გაუზარდეს. დედას ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა. მან ვალა ითხოვა, ჩავიდა მოსკოვში და დასახელებული თანხა სოხუმში ჩაიტანა. მძევალის გადაცემა მოხდა გალში, „მშვიდობისმყოფელების" საგუშაგოსთან. „ცისფერჩაფხუტიანების" თანდასწრებით მოხდა გამოსასყიდი თანხის გადაცემა!!!

ამის შემდეგ მოხდა საინტერესო რამ, გვიხსნის ჩვენი რესპონდენტი – მოსკოვში ჩასულმა ბიზნესმენმა ქალმა საჩივარი შეიტანა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. იგი ითხოვს მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებას. კოსოროგოვა ხელმძღვანელობდა რა საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ფულის გადახდას ჩვენი ქვეყნისაგან ითხოვდა, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, აფხაზეთიც საქართველოს შემადგენელ ნაწილად ითვლება.

დღეს ეს უვე ამგვარად აღარ არის.

### ბიზნესმენებს კლავენ, ოჯახებს უნადგურებენ

**ჩვენი ინტერვიუერის განმარტებით ხშირია ბიზნესის წარმომადგენლებზე თავდასხმის ფაქტები. მათგან ითხოვენ ხარკს, „წილში" ჩაჯდომას და ა. შ.**

სოხუმი-გუდაუთის ავტობუსში 6 ადგილობრივი ბიზნესმენი იჯდა. როგორც ჩანს, კრიმინალებმა კარგად იცოდნენ, რომ საქმიანი წრეების წარმომადგენლებს სოლიდური თანხა ხელზე ჰქონდათ. შეიარაღებულმა ნიღბოსნებმა ავტობუსი გააჩერეს. ყველა მგზავრი გარეთ გამოყარეს, გარდა ბიზნესმენებისა. მოძალადეებმა მათგან ფული მოითხოვეს. უარყოფითი პასუხის მიღებისთანავე ორი ბიზნესმენი ავტობუსშივე მოკლეს. დანარჩენები იძულებულნი გახდნენ მთელი თანხა გამოეჩინათ. მომხდარი ფაქტი არ დაფიქსირებულა და ცხადია სისხლის სამართლის საქმეც არ აღძრულა, – ირწმუნება ძაძამია.

იხ. 15 გვ.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" კოსტავას 12
98-65-87; 899 32-85-76.

◉ ძიუდო

# მსოფლიო — თბილისში

**თბილისის სპორტის სასახლეში დღეს დაიწყება და ხვალ დამთავრდება ძიუდოისტთა მსოფლიო თასის გათამაშება, რომელშიც 19 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ.** გულშემატკივრები უცხოელთაგან ტატამზე იხილავენ ოლიმპიურ ჩემპიონ ილიას ილიადისს (90 კგ. საბერძნეთიძ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ კრეიგ ფელონს (60ძ, 2007 წლის მსოფლიო ბრინჯაოს მედალოსან ეუან ბარტონს (81, ორივე — დიდი ბრიტანეთიძ, შარშანდელ ევროპის ჩემპიონს ვან ტიჩელტის (73, ბელგიაძ, 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ ენტონი როდრიგესს (81, საფრანგეთიძ, შარშანდელ ევროპის პრიზიორ ანდრეი კაზუსიონოკს (90, ბელარუსიძ, მსოფლიოს სუპერთასების გამარჯვებულებს — ტაცუაკი ეგუსას (66, იაპონიაძ, სერგიუ ტომას (73, მოლდოვაძ და სხვებს.



ქართველები სტუმრებს თითოეულ წონაში 4-4 სპორტსმენით დაუპირისპირდებიან. გაუწყებთ ჩვენი გუნდის მთლიან შემადგენლობას:

**60 კგ.** ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი, სოსო ნიჟარაძე, ლევან ჩუბინიძე.

**66 კგ.** ნესტორ ხერგიანი, მინდია ხომიზური, გიორგი ფერსაშვილი, შალვა ქარდავა.

**73 კგ.** ზაზა კედელაშვილი, თენგიზ პაპოშვილი, დავით კუპრაშვილი, ამბაკო ავალიანი.

**81 კგ.** გრიგოლ შინჯიკაშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი, ხვიჩა ხუციშვილი, ლევან წიკლაური.

**90 კგ.** ვარლამ ლიპარტელიანი, გიორგი მამრიკიშვილი, მინდია ბოდაველი, რევაზ ჩიკოიძე.

**100 კგ.** ლევან ჟორჟოლიანი, დავით ლორიაშვილი, დიმიტრი ტურაშვილი, ვალერი იმერლიშვილი.

**მძიმე წონა.** ლაშა გუჯეჯიანი, ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ალექსი დავითაშვილი.

მწვრთნელებმა დასვენების უფლება მისცეს ოლიმპიურ ჩემპიონ ირაკლი ცირეკიძეს და ევროპის პრიზიორ დავით ქევხიშვილს, ხოლო ზურაბ ზვიადაურმა სათანადოდ მომზადება ვერ მოასწრო.

◉ ხელბურთი




# გაცხრილვა ხორვატეთში

**ხელბურთელ ვაჟთა XXI მსოფლიო ჩემპიონატს ამ დღეებში ხორვატეთი მასპინძლობს.**

როგორც უმაღლესი რანგის ტურნირებზე ხშირად ხდება ხოლმე, პირველ ჯგუფურ რაუნდში ფავორიტებმა თავს ნახევარი ძალით თამაშის უფლება მისცეს, თუმცა ზოგიერთს მეტისმეტი მოუვიდა, რაც უმედლოდ დარჩენად დაუჯდათ. ეს უპირველესად ესპანეთის, რუსეთისა და რუმინეთის ნაკრებებზე ითქმის. სამაგიეროდ, სასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზეს გულშემატკივრებს სლოვაკეთის, სამხრეთ კორეისა და მაკედონიის გუნდებმა — ისინი პირველად გაერიენ ელიტურ მარაქაში.

გაუწყებთ ბალკანეთში დასრულებული I ჯგუფური ეტაპის შეხვედრათა შედეგებს. აქვე შეგახსენებთ, რომ ბრძოლას ჯილდოებისთვის II ეტაპზე თითოეული ჯგუფიდან 3-3 საუკეთესო კოლექტივი განაგრძობს.

**„ა“ ჯგუფი.** სლოვაკეთი — არგენტინა 27:25, უნგრეთი — ავსტრალია 41:17, საფრანგეთი — რუმინეთი 31:21, სლოვაკეთი — ავსტრალია 47:12, უნგრეთი — რუმინეთი 30:27, საფრანგეთი — არგენტინა 33:26, რუმინეთი — არგენტინა 30:26, უნგრეთი — სლოვაკეთი 24:24, საფრანგეთი — ავსტრალია 42:11, რუმინეთი — ავსტრალია 40:20, უნგრეთი — არგენტინა 31:20, საფრანგეთი — სლოვაკეთი 35:26, არგენტინა — ავსტრალია 36:16, სლოვაკეთი — რუმინეთი 28:23, საფრანგეთი — უნგრეთი 27:22.

საფრანგეთი — 10, სლოვაკეთი, უნგრეთი — 7-7, რუმინეთი — 4, არგენტინა — 2, ავსტრალია — 0 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** ხორვატეთი — სამხრეთ კორეა 27:26, ესპანეთი — კუვეიტი 47:17, შვედეთი — კუბა 41:14, ესპანეთი — კუბა 45:20, შვედეთი — სამხრეთ კორეა 31:25, ხორვატეთი — კუვეიტი 40:21, სამხრეთ კორეა — კუვეიტი 34:19, შვედეთი — ესპანეთი 34:30, ხორვატეთი — კუბა 41:20, სამხრეთ კორეა — კუბა 31:26, შვედეთი — კუვეიტი 30:19, ხორვატეთი — ესპანეთი 32:22, კუბა — კუვეიტი 26:23, სამხრეთ კორეა — ესპანეთი 24:23, ხორვატეთი — შვედეთი 30:26.

ხორვატეთი — 10, შვედეთი — 8, სამხრეთ კორეა — 6, ესპანეთი — 4, კუბა — 2, კუვეიტი — 0 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** პოლონეთი — ალჟირი 39:22, გერმანია — რუსეთი



26:26, ტუნისი — მაკედონია 25:24, მაკედონია — ალჟირი 32:19, გერმანია — ტუნისი 26:24, პოლონეთი — რუსეთი 24:22, მაკედონია — პოლონეთი 30:29, გერმანია — ალჟირი 32:20, რუსეთი — ტუნისი 36:31, რუსეთი — ალჟირი 29:28, გერმანია — მაკედონია 33:23, პოლონეთი — ტუნისი 31:27, მაკედონია — რუსეთი 36:30, გერმანია — პოლონეთი 30:23, ტუნისი — ალჟირი 36:25.

გერმანია — 9, მაკედონია, პოლონეთი — 6-6, რუსეთი — 5, ტუნისი — 4, ალჟირი — 0 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** ნორვეგია — საუდის არაბეთი 39:23, სერბეთი — ეგვიპტე 30:22, დანია — ბრაზილია 40:27, ნორვეგია — ბრაზილია 39:21, ეგვიპტე — საუდის არაბეთი 26:18, დანია — სერბეთი 37:36, ბრაზილია — სერბეთი 32:30, ნორვეგია — ეგვიპტე 30:20, დანია — საუდის არაბეთი 32:13, ბრაზილია — საუდის არაბეთი 26:24, სერბეთი — ნორვეგია 27:26, დანია — ეგვიპტე 26:17, დანია — ნორვეგია 32:28, სერბეთი — საუდის არაბეთი 38:29, ეგვიპტე — ბრაზილია 25:22.

დანია — 10, სერბეთი, ნორვეგია — 6-6, ეგვიპტე, ბრაზილია — 4-4, საუდის არაბეთი — 0 ქულა.

**მეორე ჯგუფურ რაუნდში გუნდები ასეთი მონაგრით ჩაებმებიან.**

**I ჯგუფი.** საფრანგეთი, ხორვატეთი — 4-4, შვედეთი — 2, უნგრეთი, სლოვაკეთი — 1-1, სამხრეთ კორეა — 0 ქულა.

**II ჯგუფი.** გერმანია, დანია — 4-4, სერბეთი, მაკედონია — 2-2, ნორვეგია, პოლონეთი — 0-0 ქულა.

◉ კალათბურთი

# სეზონს თასით ვხსნით



**დღეს რუსთავში იწყება სეზონის პირველი ოფიციალური ასპარეზობა — ეროვნული თასის გათამაშება.**

**გთავაზობთ მეოთხედფინალური წყვილების შემადგენლობას.**

12.00. სსსუ — თსუ.
14.00. ნტდ — „დინამო“.
16.00. „ავიამშენი“ — „ბათუმი“.
18.00. „ენერჯი ინვესტი“ — შსს.

**ნახევარფინალური შეხვედრები მეტალურგთა ქალაქში ხვალ გაიმართება, ხოლო ფინალს 27 იანვარს თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს.**

◉ ტყვიის სროლა

# ისევ ნინომ იმარჯვა



**ოლიმპიური ჩემპიონის — ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში დაიწყო საქართველოს ღია ჩემპიონატში პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში.** პირველობისთვის მასპინძლებთან ერთად აზერბაიჯანელი ჩუბინებიც იბრძვიან. ასპარეზობის პირველ დღეს ცეცხლის ხაზზე მანდილოსნები დადგნენ. 479,9 ქულით ყველას ნინო სალუქვაძემ აჯობა. მეორე ადგილზე გავიდა ნინო უჩაძე (476,7ძ, რომელმაც 0,1 ქულით გაუსწრო თამილა ასათიანს. პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ბაქოელი ირადა აშუმოვა ამჯერად მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

**გოგონებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:** 1. თეონა იაშვილი, 2. ნინო ფანჩულიძე, 3. თამუნა მერებაშვილი.

◉ ფაქტი

# მადლობა კაკას

**„მილანის“ შტაბ-ბინასთან „როსონერის“ ტიფოზებმა გრანდიოზული საზეიმო ცერემონიალი მოაწყვეს, რითაც მადლიერება გამოხატეს გუნდის ლიდერის კაკას მიმართ. როგორც ცნობილია, ამ დღეებში ბრაზილიელმა ვარსკვლავმა უარით გაისტუმრა „მანჩესტერ სიტის“ ემისრები, რომლებიც მის გადაბირებას ასტრონომიულ ფასად — 107 მილიონ გირვანქა სტერლინგად ცდილობდნენ.**

ლომბარდიული გრანდის ქომაგებმა საპასუხოდ კიდევ ერთ ფორმას მიაგნეს — მას შემდეგ, რაც წლევანდელი სეზონის ბოლოს კარიერას ლეგენდარული პაოლო მალდინი დაასრულებს, კაპიტნის სამკლაური, მათი აზრით, 26 წლის სამხრეთ ამერიკელს უნდა გადაეცეს. მის კანდიდატურას „კორიერე დელო სპორტის“ ვებ-გვერდზე მიმდინარე გამოკითხვის მონაწილეთა 79 პროცენტი უჭერს მხარს.



შეგახსენებთ, რომ 2007 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, რომელსაც ყველა მნიშვნელოვანი ტურნირი აქვს მოგებული (მათ შორის „მუნდიალი“ და ჩემპიონთა ლიგაძ, მშობლიური „სან პაულუდან“ იტალიაში 2003 წელს გადაბარგდა. მან აპენინელთა „შავ-წითელი“ მაისურით გამართულ 173 შეხვედრაში 61 გოლის გატანა მოახერხა.

◉ ინტერნეტიდან

## არმსტრონგს ობამასი სწამს



**ლეგენდარული ამერიკელი ველომრბოლელი ლენს არმსტრონგი ახლა მონაწილეობს მრავალდღიან ველორბოლაში ავსტრალიის გზებზე. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, თითქმის მთლიანად ენახა ამერიკის ახალი პრეზიდენტის ბარაკ ობამას ინაუგურაციის ცერემონიის ტელეტრანსლაცია.**

სიტყვამ მოიტანა და, ამ ცერემონიას ესწრებოდნენ ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მორბენალი საშუალო დისტანციებზე პაბელა ჯელიმო (კენიის დელეგაციის შემადგენლობაშიძ და ლეგენდარული მოკრივე მოჰამედ ალი (თავისი ინიციატივითძ.

## გააძევეს... თუთიყუში

**ფეხბურთის გულშემატკივრები რაღას არ მოსწრებიან — ფეხბურთელების, მწვრთნელების, მინდორზე შევარდნილი შიშველი ქომაგების გაძევებას. იყო შემთხვევა, როდესაც რუსმა მსაჯმა იგორ ზახაროვმა მინდორზე შევარდნილი ძოფაკი „ოფიციალურად“ გააძევა. ეს შემთხვევა კი ინგლისში მოხდა, თუმცა არც თუ ძალზე მაღალი დივიზიონის მატჩზე მსაჯმა გერი შეილიმ უხეშობისთვის გააძევა... თუთიყუში.**

ერთ-ერთი ადგილობრივი ლიგის თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩზე მეორე ტაიმის მე-10 წუთზე თუთიყუშმა, რომელიც სტადიონზე ერთ-ერთ გულშემატკივარ ქალბატონს გალიით მიეყვანა, დაიწყო მსაჯის სასტვენის გამოჯავრება, რამაც მინდორზე, რამაც მინდორზე რამდენიმეჯერ გაუგებრობაც და აურზაური გამოიწვია. მატჩი შეწყვიტეს, ქალბატონი კი თუთიყუშით სტადიონიდან გააძევეს.



მატჩის შემდეგ მსაჯმა განაცხადა, რომ თავიდან მას ეცინებოდა, მაგრამ შემდეგ მატჩის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა გაუთავებელი სტვენის გამო.

სახლში დაბრუნებულმა ქალბატონმა ყველაფერი ქმარს უამბო. მან კი ხელი დასტაცა „დამნაშავეს“ და იმ მაღაზიაში მიიყვანა, სადაც ის შეიძინა. მაგრამ გამყიდველმა კატეგორიული უარი განაცხადა ფრინველის დაბრუნებაზე. აბა, ვის უნდა თუთიყუშად გამოწყობილი მსაჯი სახლსა თუ მაღაზიაში?

## რესტლინგიდან — „პლეიბოიმდე“

**ის ცნობილი გახდა რესტლინგის წყალობით, რის შემდეგ კანადელმა ლამაზმანმა რაშელ ლოუენმა სწრაფი კარიერა გაიკეთა და ახლა ყველაზე მოთხოვნადი მოდელი გახდა.**



კანადელმა ლამაზმანმა კარიერა ჭიდაობით დაიწყო. ის ქვედა თეთრეულის საფეხბურთო ლიგაშიც „თამაშობდა“. მაგრამ სწორედ ჭიდაობით მიიპყრო საჭირო ხალხის ყურადღება. ვინც მას სხვაგან თავის გამოჩენა ურჩია. ასე აღმოჩნდა რაშელი სამოდელო ბიზნესში. ახლა ის „პლეიბოის“ მუდმივი მონაწილეა და მთელს მსოფლიოში უამრავი თაყვანისმცემელი გააჩნია.

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

# განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავისი წესდების მე-10 თავის შესაბამისად აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:

| სპეციალობა | ვაკანსიათა რაოდენობა |
|---|---|
| 1 | 2 |
| მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება | |
| მათემატიკა | 1 |
| ფიზიკა | 1 |
| დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება | |
| გეოლოგია | 2 |
| გეოგრაფია | 1 |
| გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება | |
| გამოყენებითი მექანიკა, მანქანათმშენებლობა, ტექნიკის ისტორია | 1 |
| სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნოლოგია და ორგანიზაცია, ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები, მართვის სისტემები | 1 |
| ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება | |
| ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები | 2 |
| ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება | |
| მემბრანოლოგია, ენზიმოლოგია | 1 |
| მცენარეთა ბიოლოგია (მოლეკულური ბიოლოგია, გენეტიკა, ციტოლოგია, ბიოქიმია, ბიოტექნოლოგია) | 1 |
| პალეოანთროპოლოგია | 1 |
| ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება | |
| ფიზიოლოგია | 2 |
| კარდიოლოგია | 1 |
| ნევროლოგია | 1 |
| პედიატრია | 1 |
| სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება | |
| აგროტექნოლოგია | 1 |
| საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება | |
| საქართველოს და აღმოსავლური ქვეყნების ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ქართული ხელოვნების ისტორია | 2 |
| ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებები | 1 |

| | |
|---|---|
| 1 | 2 |
| ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება | |
| ქართული ენა, ქართველური ენათმეცნიერება | 1 |
| ქართული ლიტერატურისმცოდნეობა | 1 |
| კავკასიური ენები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება | 1 |
| აღმოსავლური ენები, აღმოსავლური ფილოლოგია | 1 |
| ზოგადი ენათმეცნიერება | 1 |

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს მეცნიერი – საქართველოს მოქალაქე, რომელმაც საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი შეიტანა მეცნიერების განვითარებაში და მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტით სარგებლობს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრს (წევრებს), საჯარო სამართლის იურიდიული პირის მქონე სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს, სამეცნიერო საზოგადოებებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა შესახებ აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა (ორ ცალად): სამეცნიერო საბჭოს ან აკადემიის წევრის (წევრების) წარდგენა სათანადო დასაბუთებით, კანდიდატის ავტობიოგრაფია, სამეცნიერო ხარისხების დიპლომების ასლები, მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება და ფოტოსურათი (4X6).

აღნიშნული განცხადება განთავსებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებ-გვერდზე www.science.org.ge.

საბუთები რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისათვის იგზავნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი 8, რუსთაველის პროსპექტი 52, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (კადრების სამსახური, IV სართული, ოთახი 409, ტელ. 93-29-86).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
პრეზიდენტი, აკადემიკოსი

**თამაზ გამყრელიძე**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი

**ოთარ ნათიშვილი**

**ინფორმაცია**

## რა მოჰყვა „ენგურჰესის“ გასხვისებას

**სოფელი** საბერიო, სადაც ენგურჰესის მართვის პულტია განთავსებული, ოკუპირებული ზონის შიგნით კიდევ დამატებით არის ბლოკირებული.

ამის შესახებ განცხადება პარლამენტის ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

გარდა ამისა, აფხაზეთში იქმნება ფილტრაციის ზონები, რითაც ქართველ მოსახლეობას აიძულებენ აღიარონ აფხაზეთის დამოკიდებლობა და აიღონ იქაური პასპორტები.

დავითაიას თქმით, ბაღაფშის გალში ვიზიტი არის იმ დიდი თამაშის ნაწილი, რომელსაც რუსეთი განაგებს. იგი მიზნად ისახავს საბერიოს, ანუ იმ წერტილის ბლოკირებას, სადაც „ენგურჰესის“, მართვის პულტია განთავსებული. ასევე აფხაზეთის მოსახლეობის მოწყვეტას დანარჩენი საქართველოსგან.

როგორც დავითაიამ განაცხადა, ახალი ბლოკპოსტების შექმნის შედეგად საბერიოში მყოფი ქართველი ენერგეტიკოსები მძევლები აღმოჩნდებიან.

ბრიფინგზე დავითაია შეეხო ასევე შამბას განცხადებას ქართულ მხარესთან მოლაპარაკების მზადყოფნის შესახებ „ენგურჰესთან“, დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს რუსული თამაშის ნაწილია და ამით აფხაზეთი უნდა განისაზღვროს, როგორც მხარე.

## „მათე ბიჭი“ რუსებმა დააკავეს

**რუსეთის** შს სამინისტროს ცენტრალური ფედერალური ოლქის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ყოფნის კანონის დარღვევის გამო 45 წლის საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

რუსი სამართალდამცველების მიერ დაკავებულ „კანონიერ ქურდს“ როინ უგულავას კრიმინალურ სამყაროში „როინად“ და „მათე ბიჭად“ იცნობენ.

ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი სპეციალურ გამანაწილებელშია მოთავსებული და იქ დარჩება, ვიდრე მისი საქართველოში ექსტრადიციისათვის საჭირო ყველა პროცედურა არ დასრულდება.

გავრცელებული ინფორმაციით, როინ უგულავა ქუთაისური ქურდული კლანის წევრია.

როინ უგულავა 2007 წელს უკვე იყო დაკავებული იგივე მიზეზით, იგივე სამართალდამცავების მიერ. მაშინ მისი დეპორტაციის საკითხი ორი ქვეყნის დიპლომატიურ უწყებებს შორის ვერა და ვერ მოგვარდა, ამის გამო კი, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დაკავებულის განთავისუფლების გადაწყვეტილება მიიღეს.

ჯი-ეიჩ-ენი

**ინფორმაცია**

## „სავარძლებში უსაქმოდ მოკალათებულთ“ ხელფასები მოემატათ

**„ლეიბორისტები“** თვითმმართველობის და სხვა სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელი პირებისთვის ხელფასების მომატებას აპროტესტებენ.

როგორც „ლეიბორისტების“ პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განაცხადა, თვითმმართველობის წარმომადგენლებს, გამგებლებს, საკრებულოს თავმჯდომარეებს და საბავშვო ბაღების გამგეებს ხელფასები მოემატა.

გუგავას თქმით, მათ ხელფასების მომატება ხელისუფლებისგან საჩუქრად იმიტომ მიიღეს, რომ ისინი „ნაციონალური მოძრობის“ წარმომაგენლები და არჩევნების გაყალბებაში დახელოვნებულები არიან.

„ლეიბორისტების“ პოლიტიკური მდივნის ინფორმაციით, საბავშვო ბაღებში რამდენიმე საჭირო შტატი გაუქმდა და სანაცვლოდ გამგის მოადგილის თანამდებობა შეიქმნა, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ უბნის კოორდინატორები დანიშნეს.

გუგავას თქმით, უბნის კოორდინატორებს საბავშვო ბაღებში არაფერი ესაქმებათ და „სავარძელში მოკალათებულები უსაქმურობენ“.

„ლეიბორისტები“ აღნიშნულ კონტინგენტს სამშობლოს მოღალატეებად მიიჩნევენ. „ლეიბორისტები“ „ნაციონალური მოძრაობის“ „მაამებლებს“ გამოავლენენ და ყველა დასახლებულ პუნქტში მათ შესახებ ინფორმაციას „სამარცხვინო ბოძზე გამოაკრავენ“.

## მუკუზნელ მოსწავლეებს სკოლაში აწვიმთ

**„კახეთის** საინფორმაციო ცენტრის“ ინფორმაციით, სოფლის საჯარო სკოლის შენობა, სადაც 129 მოსწავლე სწავლობს, იმდენად დაზიანებულია, რომ წვიმის დროს წყალი საკლასო ოთახებში ჩადის.

სკოლის დირექტორის მაია სიდამონიძის განცხადებით, მწირი დაფინანსების გამო სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას ვერ ახერხებენ. რამდენიმე თვეა დახმარებისათვის განათლების სამინისტროს მიმართეს, მაგრამ სამინისტროში ამ საკითხით ამ დრომდე არავინ დაინტერესებულა.

იმ შემთხვევაში, თუ სკოლის შენობის სახურავი სასწრაფოდ არ შეკეთდა, გაზაფხულზე წვიმების გამო, შესაძლოა, სკოლაში სასწავლო პროცესი ჩაიშალოს.

ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი

SIC!

# აფხაზეთს კრიმინალები ხრავენ...

**(მეთორმეტე გვერდიდან)**

სოხუმელი ვლადიმერ ბადოიანი ხელშეუხებლობის გარანტიის სანაცვლოდ, ერთ-ერთ კრიმინალურ დაჯგუფებას „წილს" უხდიდა. მან ყოველივე ეს „ხარკის" ასაკრეფად მისულ სხვა ყაჩაღურ ჯგუფს აუხსნა. მოძალადეებმა მასპინძლის ახსნა-განმარტება ყურად არ იღეს. ბადოიანს ფულის გადახდის ვადა დაუთქვეს და წავიდნენ. დათქმულ დროს მოძალადეები ისევ გამოჩნდნენ. როდესაც იგივე პასუხი მიიღეს, მეწარმე დააბეს და აწამეს. დაბმულის წინ ოთხმა ყაჩაღმა მისი ცოლი ჯერ გააუპატიურა, მერე მოკლა. დაზარალებულს პოლიციაში არ უჩივლია. იცოდა შედეგი არ ექნებოდა — გვიხსნის ჩვენი ინფორმატორი.

როდესაც ანზორ ბაქიშბამ ათეულობით ყუთი ჩატვირთა „ტრაილერში" და სოჭში გააგზავნა, შინ მისულს სახლში ყაჩაღები დახვდნენ. აქაც ხარკი მოითხოვეს და გადასახდელი ვადა დაუნიშნეს. როდესაც დათქმულ დროს საქმოსანმა კვლავ ურჩობა დაიწყო, მომხვდურებმა ბულდოზერი მოიყვანეს და სათბურები დაუნგრიეს, სახლს ცეცხლი წაუკიდეს. მეწარმე, მართალია არ უწამებიათ, მაგრამ... გული ცუდად გაუხდა. ბანდიტებმა იგი უმძიმეს მდგომარეობაში მიატოვეს. ბაქიშბა გულის შეტევისაგან გარდაიცვალა. არც ამ საქმის გამოძიებით დაინტერესებულა ვინმე.




### ყაჩაღებმა გავლენის სფეროები დაინაწილეს

**მოწოდებული ინფორმაციით, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში გავლენის სფეროები გადანაწილებულია. მათში უცხო ელემენტების ჩართვაც კი მკაცრად ისჯება.**

დასავლეთ აფხაზეთის ყაჩაღური დაჯგუფების ძირითადი სამოღვაწეო სფერო ნავთობისა და საკვები პროდუქტების გადატანაა.

გაგრის სომეხი ეროვნებით დაკომპლექტებული ბანდფორმირება ხე-ტყის ექსპორტს აკონტროლებს.

ტყვარჩელისა და ოჩამჩირის ნავთობის ბიზნესს, პრეზიდენტყოფილის არძინბას ნათესავები უწევენ კონტროლს, როდესაც მათთვის თარბების კლანმა სცადა კონკურენციის გაწევა, მათ დაუწვეს ბენზინმზიდები, შესანახი ტერმინალები. ერთ-ერთი სისხლიანი შეტაკების დროს კლანის შუათანა ძმა მოკლეს.

ძაძამიას მონათხრობიდან ირკვევა, რომ ყაჩაღურ დაჯგუფებებში ცალკე სფეროა ქართულ მოსახლეობაზე ყაჩაღური თავდასხმები, მათი ძარცვა. ამ საქმიანობას დღესაც განაგრძობს რამოდენიმე წლის წინათ ვალერი ბუთბას მიერ ჩამოყალიბებული დაჯგუფება. ამ ბანდფორმირების პირველმა წევრებმა წვრთნა რუსულ სამხედრო ბაზაზე (აფხაზეთშიძ გაიარეს და ინსტრუქტორებიც რუსები ჰყავდათ.

როგორც ირკვევა, აფხაზეთში იშვიათობას წარმოადგენენ ე. წ. „ინტერნაციონალური" ბანდ დაჯგუფებები. მათი ერთმანეთისგან განსხვავება ხელწერითაა შესაძლებელი. აფხაზები ნიღბებს იშვიათად იყენებენ, ქართველები პირიქით. სომეხთა დაჯგუფებები კი ხან იყენებენ ნიღბებს, ხან არა. მიუხედავად იმისა, გვამცნობს ჩვენი ინფორმატორი, რომ სეპარატისტების კონტროლირებად ტერიტორიაზე შეინიშნება ეროვნულ ნიადაგზე დაპირისპირებები, ყაჩაღები ამას არად დაგიდევენ. საერთო ენას უცებ პოულობენ და საქმეებსაც ერთად არჩევენ.

ცოტა ხნის წინათ გავლენის სფეროების გადანაწილების დროს მომხდარი კამათის შემდეგ ოჩამჩირელმა ქართველმა ზაურ კვეკვესკირმა და გუდაუთელმა აფხაზმა შოთა ბრაუმმა, საქმის გარჩევის დროს მოკლეს ეროვნებით ქართველი კრიმინალი ხუნტული გვარამია.

ცნობილი ხდება, რომ ბანდფორმირებებში ქალებიც ერთიანდებიან. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალდაბაში ალუმინის ნადავლის გაყოფის დროს ორ დაჯგუფებას შორის ატეხილ სროლებს რამდენიმე ადამიანი ემსხვერპლა. დაპირისპირებულ მხარეებში მოკლულია ორი აფხაზი ეროვნების ქალიც — ლამარა ქარჩავა და არდა ხარბედია.

### მონებიც ჰყოლიათ

**სოხუმის მთავრობის ოფიციალური ინფორმაციით, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ხშირია ამოუცნობი გვამების აღმოჩენის შემთხვევები. ისინი ძირითადად სლავური გარეგნობისანი არიან. მათი უმეტესობა ბომჟია. ისინი თბილ ქვეყნებში (აფხაზეთშიძ, ძირითადად ლუკმა-პურის საშოვნელად ჩადიან.**

ოპერატიულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ძაძამია აცხადებს, რომ ძირით სამუშაოდ აყვანილთ, ურიგდებიან თანხაზე, ამუშავებენ 18-20 საათის განმავლობაში (უმძიმეს სამუშაოებზეძ, დათქმული ვადის გასვლის შემდეგ, ანგარიშსწორების დროს დამქირავებლები მათ მარტივი მეთოდით იშორებენ თავიდან — კლავენ. არსებობს ინფორმაციები, რომ ზოგიერთი ჩასული იქ ნებაყოფლობით რჩება, ან იძულებით იტოვებენ. ამ კატეგორიის ხალხი მონური შრომისა და ყოფისთვისაა განწირული. მათ იმ პერიოდამდე ამუშავებენ, ვიდრე მონას ფიზიკურად შეუძლია. შემდეგ კი ჩვეული მეთოდით იშორებენ.

**ზაზა ბილიხოძე**

თეატრალური პრემიერა

# „ჩუპრი-ჩუპარ, დარეჯან!"

## როცა პერსონაჟი ილიას ეკამათება

**რეჟისორმა კოტე მირიანაშვილმა მიხეილ თუმანიშვილის თეატრში ახალი სპექტაკლი შემოგვთავაზა — „ჩუპრი-ჩუპარ, დარეჯან!"**

თეატრმცოდნეები ამ წარმოდგენას ასე აფასებენ: ეს სპექტაკლი არ ჰგავს დღევანდელ სხვა წარმოდგენებს, თუმცა აქ სიმღერაც არის და ცეკვაც. მაყურებელს სპექტაკლის ხელმეორედ ნახვის სურვილი ებადება. როდესაც საფიქრალი გაგიჩნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ნახე ისეთი რაღაც, რასაც არ ელოდი.



სპექტაკლი ილია ჭავჭავაძის მოთხრობების „კაცია ადამიანის" და „კაკოს" მიხედვით დაიდგა. შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ „კაცია ადამიანის" პირველი ვარიანტი, რომელიც 1858-1859 წლის რედაქციით თარიღდება, ილიამ ჯიმშერიძის ფსევდონიმით გამოაქვეყნა, პირველ ვარიანტში დარეჯანსა და ლუარსაბს შვილი უჩნდებათ. მეორე ვარიანტი კი 1863 წლის რედაქციითაა, სადაც ილია დარეჯანსა და ლუარსაბს უშვილძიროდ ტოვებს.

„ახალგაზრდები, სტუდენტები ხშირად კლასიკისადმი გულგრილნი არიან. რაღაც გახევებულია, ჩარჩოებშია მოქცეული. მას გაცოცხლება, გაახლებული თვალთახედვა სჭირდება, და ეს მზერა გამიჩნდა." — ამბობს კოტე მირიანაშვილი — „როდესაც მოთხრობა „კაკო" წავიკითხე, გადავწყვიტე, რომ დარეჯანი თავის ავტორს ეკამათოს, ოღონდ კარგად არ იცის ეს ილიაა თუ ჯიმშერიძეა, ვინ არის, ვის ეკამათოს, არ იცის. მთავარია, იკამათოს, ტყუილი დამწამესო. ამას ებრძვის ჩვენი დარეჯანი. ეს არის სპექტაკლის იდეა.

რეჟისორის თქმით, ამ სპექტაკლის იდეა მის ბავშვობასაც უკავშირდება. „ჩემი ქართულის მასწავლებელი ცნობილი პედაგოგი ლიზა ვახვახიშვილი ჩემი დეიდა იყო. მას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ილიასადმი, ალმერთებდა. მაშინ, ილია წმინდანად შერაცხული არ იყო. დეიდაჩემს ხატებთან ეკიდა მისი სურათი და ეკამათებოდა: ლუარსაბი და დარეჯანი, ძალიან გასწირაო. ილიას პორტრეტს, როგორც ცოცხალ არსებას ისე ესაუბრებოდა. დეიდაჩემიც თავადიშვილი იყო, იგი ამბობდა: ილიამ თავის ფენაზე და წრეზე დაწერა „კაცია ადამიანიო?!" ზოგადად ქართველზე ლაპარაკობდა, ფეოდალი არაფერ შუაშია. დღევანდელი ლუარსაბები და დარეჯანები ჩვენ ვართო."

„ჩუპრი-ჩუპარ, დარეჯან!" მონოსპექტაკლია. და საათსა და ათ წუთს გრძელდება. ცნობილმა მსახიობმა ლაურა რეხვიაშვილმა რეჟისორის ინტერპრეტაცია მაქსიმალურად მიილო, აიტაცა და გაითავისა ეს ყველაფერი.

ბატონმა კოტემ თუმანიშვილის თეატრი, სადაც ქართული ლიტერატურის გასცენიურების ტრადიცია სუფევს, საგანგებოდ შეარჩია.

**თამარ ბუზალაძე**



# სს „აგროინვესტბანკის" განცხადება

**სს „აგროინვესტბანკი" აცხადებს საჯარო აუქციონს. გასაყიდად გამოტანილი იქნება უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №150, არასაცხოვრებელი ფართი 964,38 კვ.მ. და 210 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მიმდებარედ. მიწის (უძრავი ქონებისძ საკადასტრო კოდი №01/13/08/01/014, ზონა 01, სექტორი დიდუბე 13, ნაკვეთი 01/014, კოდი 01/502, ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო-სამეურნეო, დაუზუსტებელი ფართობი 14844,00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 14. გასაყიდი ობიექტის მომავალ მფლობელს პერსპექტივაში აქვს მოახდინოს დაუზუსტებელი ფართიდან ინდივიდუალური გამიჯვნა და მის საკუთრებაში გადავიდეს მნიშვნელოვანი რაოდენობის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. საწყისი ფასი 2.000.000 (ორი მილიონიძ აშშ დოლარი, 3.300.000 (სამი მილიონ სამასი ათასიძ ლარი დღგ-ს ჩათვლით. აუქციონში მონაწილეობისათვის „ბე" შეადგენს გასაყიდი ქონების 10 პროცენტს — 200 000 (ორასი ათასიძ აშშ დოლარს 330 000 (სამას ოცდაათი ათასიძ ლარს.**

ბიჯი — 4000 (ოთხი ათასი ლარიძ აშშ დოლარი 6600 (ექვსი ათას ექვსასიძ ლარი.

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 6 თებერვალს, 15 საათზე, სს „აგროინვესტბანკში" ბანკის ადმინისტრაციულ მისამართზე, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №79.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა აუქციონის კომისიას უნდა მიმართოს შემდეგი დოკუმენტაციით:

აძ განცხადება აუქციონში მონაწილეობის სურვილის შესახებ;

ბძ ბეს შეტანის დამადასტურებელი ქვითარი, ბე — გადახდილი უნდა იქნას უნაღდო ანგარიშსწორებით, შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „აგროინვესტბანკი", (საქართველოს ეროვნული ბანკიძ კოდი 220101703, ანგარ. №700161403 ლარში, ანგარ. №700070303 დოლარში, საიდენტიფიკაციო კოდი 201947572, შიდა საბანკო ანგარიში №164501 ლარში, შიდა საბანკო ანგარიში №104511 აშშ დოლარში.

გძ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მოქმედებს წარმომადგენლის სახელით.

დძ იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და იურიდიული პირის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება, აუქციონში მონაწილეობის შესახებ განცხადება და დოკუმენტები უნდა წარმოდგენილი იქნას არა უგვიანეს 2009 წ. 6 თებერვლის — 14-30 საათისა.

ყველა სხვა პირს, რომელთაც აქვს უფლებები აუქციონზე გასაყიდ ნივთზე, ვალდებული არიან ამ უფლებების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

**დამატებითი ინფორმაცია გასაყიდი ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სს „აგროინვესტბანკის" ადმინისტრაციის მისამართზე: ტელ: 96-99-68, 96-94-81.**

**სააუქციონო კომისია**


გახსენება

# გია მჭედლიძე



25 იანვარს ერთი წელი გახდება, რაც ამ წუთისოფელს გაეცალე და ზეცაში დასახლდი. უეცარი და მოულოდნელი იყო შენი გარდაცვალება. ერთ წუთში გათავდი ორმეტრიანი ვაჟკაცი. წახვედი და დარდი და მწუხარება დატოვე.

ცოლ-შვილი მაინც დაგრჩენოდა. სხვებზე გადაყოლილს საკუთარი თავი დავიწყებული გყავდა. შენ სიკვდილს ვერ გაუძლო მამაჩემმა და შენი საყვარელი ბიძა წამოვიდა შენთან... დარდისაგან დაილია დედაშენი, მწუხარებამ შეცვალა შენი და.

25 იანვარს ყველა შენ საფლავთან მოვალთ. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩვენო ძვირფასო გია.

**გულიკო მჭედლიძე**

ინფორმაცია

## ბევრს იმგზავრებ ნაკლებს გადაიხდი

**თბილისის მერმა, გიგი უგულავამ საზოგადოებას ავტობუსით მგზავრობის აღრიცხვიანობის ახალი სისტემა გააცნო.**

უგულავას განცხადებით, აღრიცხვიანობის ახალი სისტემის მიხედვით, მოქალაქეები პირველ მგზავრობაში 40 თეთრს, ხოლო დღის განმავლობაში დანარჩენი მგზავრობისას 20 თეთრს გადაიხდიან.

თბილისის მერის განცხადებით, იგივე რჩება შეღავათები სოციალურად დაუცველი პირებისათვის, სოციალურად დაუცველი პირები 10 თეთრს, სტუდენტები 20 თეთრს გადაიხდიან. მოსწავლეებისათვის მგზავრობა კვლავ უფასო რჩება. აღრიცხვიანობის ახალ სისტემაში გათვალისწინებულია შეღავათები პედაგოგებისათვის. პედაგოგები მგზავრობის საფასურს 20 თეთრს გადაიხდიან.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ მწერალი და დრო

# ბოლო რომანს „ბარონი“ ჰქვია

გორელი მწერალი გერონტი გოგინაშვილი თავისი დაბადების მეოთხმოცე წლისთავს უკეთეს საჩუქარს ვერც მოუმზადებდა: სწორედ იუბილეს დღეებში გამოვიდა მისი ახალი რომანი „ბარონი“, ხოლო გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში მისულმა ქალაქის საზოგადოებრიობამ იუბილარ მწერალს გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

გერონტი გოგინაშვილი ხელხვავიანი მწერალია. მისი რომანები „კაცი-რაინდი“, „დაწყევლილნი“, „ქალბატონი“ (ორ წიგნად), პიესები თუ მოთხრობები საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ისტორიულ კუთხეში – ქართლში ბოლო საუკუნის მანძილზე განვითარებულ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს ასახავენ.

იუბილარს, თავისი კუთხის წარსულის პირველ მეისტორიეს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გორის ორგანიზაციის თავმჯდომარე პოეტი ჯემალ ინჯია, საქართველოს სახალხო არტისტი ზურაბ ქაფიანიძე, ჟურნალ „განთიადის“ რედაქტორი, მწერალი ავთანდილ ყურაშვილი, ბორჯომელი და გორელი პოეტები მარიზა ჯიქია, ნოდარ მდინარაძე, ვახტანგ ჭანკოტაძე, პროფესორები შალვა ვანიშვილი, ნიკო ოთინაშვილი, ვალერი სუხიშვილი და სხვები.

მწერალმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისთვის, ილაპარაკა შემოქმედებით გეგმებზე, ახალ რომანზე, რომელზეც უკვე მუშაობს.

**გურამ ვაშაკიძე,**
**გორიდან.**

◉ ჩვენებურზე

# ძეგლი — გოგოლის ბულვარზე



**მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი II-ის ორმოცზე ცნობილი გახდა გამოჩენილი მოქანდაკის ზურაბ წერეთლის განზრახვის შესახებ – ხელოვანი აპირებს, რომ განსვენებულს ძეგლი აღუმართოს.**

თვით ქანდაკება ჯერ კიდევ 2003 წელს შეიქმნა და ახლა დგას რუსეთის სამხატვრო აკადემიის სამუზეუმო-საგამოფენო კომპლექსში. ზურაბ წერეთელი სკულპტურის დადგმას მოსკოვის შუაგულში გეგმავს, გოგოლის ბულვარზე, ხელოვნების ცენტრთან. აქვე სათქმელად, ეს ადგილი ახლოს არის მაცხოვრის ტაძართან და პატრიარქის ხიდთან – რამდენიმე წუთის სავალზე.

ბრინჯაოში ჩამოსხმული მონუმენტი მაღალი არ გახლავთ, სულ ორნახევარი მეტრია, რაც ხელოვანისათვის არცთუ დამახასიათებელი – ხალხი მის თვალუწვდენელ ქმნილებებს მიეჩვია.

დადგმის ადგილს დედაქალაქის რამდენიმე ინსტანციაში დასჭირდება შეთანხმება.

**ამას იუწყება „კომსომოლსკაია პრავდა“.**

◉ მეზობლებთან

# ტყემლის ბიზნესიც ყოფილა



**საბჭოურ ხანაში იყო ასეთი მოსკოველი ტელედედოფალი, თუ გნებავთ, ტელეპრინცესა ტატიანა ვედენეევა, ლამაზი ქალბატონი, მილიონობით მაყურებლის კერპი, ბავშვებისათვის „ღამე მშვიდობისა, პატარებო!“ წამყვანი დეიდა ტანია და დიდებისათვის პროგრამის „დილა მშვიდობისა“ გამძღოლი.**

ტატიანა ახალი ქორწინებით მისთხოვდა ბიზნესმენ იური ბეგალოვს, მკვეთრად შეიცვალა ცხოვრება, წავიდა ცისფერი ეკრანიდან და 15 წელი იცხოვრა ახალ ქმართან, რომელსაც ახლა თურმე გაეყარა. ეს ჩვენი მკითხველისთვის ისეთი არაფერი საგულისყუროა, მაგრამ სხვა რამეა საცნობისწადილო: ცხოვრების მკვეთრად შეცვლა ის იყო, რომ ტელეწამყვანი ერთობ იღბლიანი მივიდა ბიზნესში: ქმართან ერთად მოაწყო სახელგანთქმული ქართული საწებლის ტყემლის წარმოება. განქორწინებას სულაც არ დაუზარალებია ეს ბიზნესი: ტატიანა და იური ტოლფარდ ტყემალ-პარტნიორებად რჩებიან...

მეგობრები თეიმურაზ ჯანაშია, ნოდარ თოფურია და სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენის“ პერსონალი უდიდესი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქ. თბილისში საბინაო მშენებლობის დიდი მოამაგე, სამშენებლო ინდუსტრიაში მრავალი ნოვატორული იდეის ავტორი და განმხორციელებელი, სახელმწიფო ჯილდოების ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და მშენებელი ყოფილი სამშენებლო ტრესტი „მაღლივმშენის“, შემდგომ სააქციო საზოგადოება „მაღლივმშენის“ ხელმძღვანელი, შესანიშნავი მოქალაქე და გულანთებული მამულიშვილი

**დავით გაბრიელის ძე ჯობავა**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს. პანაშვიდი 23, 24 I, დაკრძალვა 25 I, 14 საათზე. მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი №51, II კვარტალი, კორპუსი 8.

სს კარკასულ-პანელოვანი ქარხანა „მაღლივმშენის“ კოლექტივი მწუხარებით იუწყება

**დავით ჯობავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რომეო თუთაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა

**დავით ჯობავა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◉ ინფორმაცია

# დააკავეს სომეხი ეროვნების ჯაშუშები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნის, მომზადებისა და ჯაშუშობის ფაქტებზე.

შს სამინისტროს ცნობით, აღნიშნულ საქმეზე 22 იანვარს ეჭვმიტანილის სახით დააკავეს გრიგოლ მინასიანი და სარქის აკოფჯანიანი.

სხვა ოფიციალური ინფორმაცია ჯერ არ ვრცელდება.

**ინტერპრესნიუსი**

**რეკლამა** *კოსტავას 12*
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**98-65-87; 899 32-85-76.**

◉ ანეკდოტები

– ექიმო, იქნებ დამეხმაროთ, სუნთქვა მიჭირს, – ეუბნება ტიპი მაღალმთიანი სანატორიუმის დირექტორს.

– როგორ თუ გიჭირთ, აქ, სადაც ასეთი გამჭვირვალე ჰაერია? – უკვირს ექიმს.



– სწორედაც, მეტისმეტად გამჭვირვალეა. ჩემთან, სახლში კი თითქმის ვხედავ, რასაც ვსუნთქავ.

* * *

– საიდან დაასკვენით, რომ თქვენი ცოლი მკვდარია? – ეკითხება ექიმი ივანიჩს.

– საიდან და იქიდან, რომ როდესაც წიხლი ჩავცხე, არც განძრეულა.

* * *

– ეს რა მოგიტანიათ საანალიზოდ, შარდი კი არა, ვაშლის წვენია!

– ღმერთო ჩემო, მაშ რა გავატანე შვილს სკოლაში?!

* * *

– რამდენი წლისა ხართ? – ეკითხება ექიმი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალს.

– ორმოცს ვუახლოვდები.

– რომელი მხრიდან?

* * *

– ექიმო, დამესიზმრა, რომ კაციჭამია ვარ და ჩემი ცოლის მსგავსი ქალი შევჭამე მთელ ტომთან ერთად.

– მერე რას ნერვიულობ, განა ცოტა რამ შეიძლება დაესიზმროს ადამიანს? არა უშავს, სიზმარი არაფერს ნიშნავს.

– ჰო? მაშინ იქნებ ამიხსნათ, სად გაქრა ჩემი ცოლი?

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.